# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 23 მაისი 2005 №113 (2436) ფასი 50 თეთრი


# შავი ქვევით გათეთრდა, ზემოთ ისევ შავია



22 მაისს ქართული ფეხბურთის კარიბჭე-ქალაქი უმაღლესი ლიგის გარეშე დარჩა. ცალი ფეხით ქვედა ლიგაში მყოფმა ფოთის „კოლხეთმა" მეორე ფეხიც ჩაყო იქ, სადაც ჯერ არასოდეს ყოფილა — კოლხები პირველად გამოეთხოვნენ უმაღლესს, მაგრამ ზღვისპირელთა დრამა გუშინ არ დაწყებულა: უსახსრო და სულთმობრძავი გუნდი აქამდეც თითქმის გამოტირებული იყო.

მოკლედ, ქვევით ყველაფერი გაირკვა, ზევით კი ინტრიგა შენარჩუნებულია: „დინამომ" ერთი ამოსუნთქვით მოუგო „დილას", მაგრამ საჩემპიონო შამპანურს 30 მაისს „ბათუმის" ძლევის შემდეგ დალევს.

მოიგეს დინამოელთა მდევრებმაც, „ტორპედომ" და „თბილისმა". განსაკუთრებით დედაქალაქელებმა იყოჩაღეს — წლეულს წაუგებელ „ლოკომოტივს" 4:1 გადაურბინეს. ამავე შეხვედრაში შეწყდა ზვიად სტურუას მშრალი სერიაც: რკინიგზელთა მეკარემ 23 წუთიც მიამატა რეკორდს, რომელიც ახლა 923 წუთის ტოლია.



## სტავის სტვირი ისევ უკრავს

ნეშმა ფინიქსი ფერფლიდან აღადგინა

11



## სანამ ბატონ გერლახს აუჩოგნდებოდეს

როლან გაროსი იწყება

13



## ერთი კინკილა ბრინჯაო

14

# ვინც იგებდა, ისევ იმან მოიგო

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში დასრულდა ვაჟ ხელბურთელთა მე-15 ეროვნული ჩემპიონატი. შარშან შემოდგომაზე დაწყებულ მარათონულ პირველობაში კვლავ დამაჯერებლად გაიმარჯვა უცვლელმა ჩემპიონმა „სტუ-შევარდენმა". მეორე ადგილზე გავიდა „ხელბურთის კლუბი თბილისი", მესამეზე კი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „მამული". ხელბურთელთა ამბებს დაწვრილებით ხვალინდელ „სარბიელში" იხილავთ.



ჩემპიონთა კაპიტანმა ვლადიმერ რუსიამ სეზონში 300 გოლი გაიტანა

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVI ჩემპიონატი

## უმაღლესი ლიგა — მეორე ეტაპი 35 ტური



გაჟრი კეთილაძის ფოტო

ლევან მელქაძემ ბომბარდირის მარაგი ორი გორული გოლითაც შეივსო

# დინამოს დილ-დილა-ოდელა

## ერთიც ვთქვათ და თორმეტი გახდება

გორი. 22 მაისი. 17 საათი. თენგიზ ბურჯანაძე. 400 (ტევადობა 8 230)

### დილა 0:3 დინამო

0:1 მელქაძე (14), 0:2 დვალიშვილი (33), 0:3 მელქაძე (46)

**დილა:** თ. ილურიძე, ზექალაშვილი, დ. ხანიშვილი, დ. მაისურაძე, მასურაშვილი, ლ. გოჩაშვილი, რევაზიშვილი, კ. ხანიშვილი, სულთანიშვილი (ლ. თურმანიძე 70), სამადაშვილი, ჯალაბაძე (სადალაშვილი 46)
*სათადარიგონი:* ნასყიდაშვილი; გ. ნადირაძე, ა. ლაბაძე, თომაშვილი, ტლაშაძე
**მწვრთნელი:** რევაზ მამესწარაშვილი

**დინამო:** ზოიძე, ალადაშვილი, სილაგაძე, ქიქჟეიშვილი, კანდელაკი, დ. ოდიკაძე (გ. ჭელიძე 64), ლ. ნოზაძე, კ. მახარაძე, ნავალოვსკი, დვალიშვილი (დვალი 72), მელქაძე (გ. მიქაძე 72)
*სათადარიგონი:* მამალაძე; ლ. ჭელიძე, ჩირიკაშვილი, კაკალაძე
**მწვრთნელი:** კახა ცხადაძე

**გაფრთხილება:** დვალიშვილი (38)

**მსაჯები:** ლ. სილაგავა (თბილისი); ი. აფციაური (დუშეთი), ლ. მიქელაძე (სამტრედია); მ. მალაღურაძე (თბილისი)

**ინსპექტორი:** ბ. ქარქაშაძე

**ილია ნანობაშვილი** გორიდან

„დინამომ" თავისი გასაკეთებელი გააკეთა და ცალი ფეხით მოუგო მაჩანჩალა „დილას", მაგრამ საჩემპიონო ზეიმი ჯერ ვერ მოიწყო. „ტორპედო" და „თბილისი" მოსვენებას არ აძლევენ კახა ცხადაძის ბიჭებს, თუმც ცოტა გადავაჭარბეთ — განა ვინმეს ეეჭვება, რომ დინამოელები 30 მაისს „ბათუმს" მოუგებენ?! ახლა გუშინდელ შოტლანდიურ ზღაპარს ნუ მოიყვანთ მაგალითად და ნუ იტყვით, ყველაფერი ხდებაო: სელტიკ-რეინჯერსული ამბავი სხვაა და დინამოურ-ბათუმური სხვა. თანაც ასეთი ზღაპრები საუკუნეში ერთხელ ხდება.

„დინამომ" აშკარად დაინდო „დილა", მსაჯებმაც მოწყალება გაიღეს უიმედო აუტსაიდერისთვის და სტუმრებს პირველი ტაიმის ბოლოს ორი გოლი გაუუქმეს: ვლადიმერ დვალიშვილის ცარიელ კარში გატანილიც და კახა მახარაძის ლამაზი თავურიც თამაშგარეს გამო არ ჩაითვალა, თუმცა რაღაც საეჭვოდ კი ჩანდა.

გეხსომებათ, მესამე წრეში „დინამომ" 9:0 გაანადგურა გორელები, ლევან მელქაძემ კი თავის წილად 5 გოლი შეაგდო. ლევანმა გუშინაც აწვალა „დილას" დაცვა, ჯერ მე-14 წუთზე ნაკუთხურალ ბურთს შეაგება საგოლე თავური, მეორე ტაიმის დასაწყისში კი მარცხნიდან ჩაკიდებული იოლად აფართხალა ბადეში.

მელქაძის გოლებსშუა დინამოელთა მეორე ფორვარდმა დვალიშვილმაც იხეირა, როდესაც ილია კანდელაკის გრძელი პასის შემდეგ გორელი მცველი ჩამოიშორა და ახლო კუთხეში შეუცურა ბურთი თამაზ ილურიძეს.

ალაგ-ალაგ „დილაც" იკბინებოდა, პირველ ტაიმში სამადაშვილმა ოდნავ ააცილა ირაკლი ზოიძის ჩარჩოს, თამაშის მიწურულს კი ლევან გოჩაშვილს საგოლედ მოქნეული ფეხიდან ააცალეს ბურთი. დანარჩენი დრო კი „დინამო" ბატონობდა მინდვრის ყველა კუთხე-კუნჭულში. განსაკუთრებით მარჯვენა ფლანგიდან შეაწუხეს მასპინძლები, სადაც მცველად გამწესებული კახა ალადაშვილი და დავით ოდიკაძე დაჰქროდნენ.

ცხადაძემ ჯაბა დვალისა და გიორგი მიქაძის გამოყვანით სცადა ანგარიშის გამდიდრება, მაგრამ მათზე აქტიურად გიორგი ჭელიძე ჩაერთო თამაშში — ერთხელ ხარიხასაც გაარტყა ბურთი. მოკლედ, ბოლო 10-12 წუთი გუნდებმა უბრალოდ, თამაში ჩაამთავრეს.

*კახა ცხადაძე:* „დილა" ბოლო ადგილზეა, მაგრამ ჩვენ სერიოზულად მივუდექით ამ თამაშს. დაცვით კმაყოფილი ვარ, ფორვარდებს კი მეტი აგრესია მართებთ. ბოლო მატჩებია, თავდამსხმელების მიმართ პრეტენზიები მაქვს.

*რევაზ მამესწარაშვილი:* უკვე ხუთი თვეა, „დილას" უბედურებაზე ვლაპარაკობ. მგონი, მსოფლიოში ერთადერთი გუნდი ვართ, რომელსაც არც შეკრება გაუვლია, არც ვარჯიშობს და არც საჭმელი უჭამია. რაღაცის იმედი მაინც მაქვს, ამხელა რაიონში ღვთისნიერი კაცი გამოჩნდება.

ბოლნისი. 22 მაისი. 17 საათი. თამაზ სტეფანია. 500 (ტევადობა 3 500)

### სიონი 2:1 ზესტაფონი

0:1 გოცირიძე (16), 1:1 ავალიანი (31), 2:1 გოგოლაძე (83)

**სიონი:** ბობღიაშვილი, სიდამონიძე, ი. ვაშაკიძე, ოქროპირიძე, ავალიანი (გოგოლაძე 80), დოლიძე, ბაჯელიძე, ალავიძე, დათვაძე, გიორგი შენგელია (ქარდავა 80), რუსია (ისიანი 66)
*სათადარიგონი:* ასლანაძე; უგრეხელიძე, ლაბაძე, ჩხაიძე
**მწვრთნელი:** გიორგი ყიფშიძე

**ზესტაფონი:** სომხიშვილი (ქვაჩახია 48), გვარუციძე (ხინჩაგა 68), ფეზუაშვილი, კაპანაძე (მარამონოვი 20), ბესარაშვილი, ბ. ნოზაძე, ნუდნი, კვერნაძე, სულაკაძე, ბ. გოცირიძე
*სათადარიგო:* არავინ
**მწვრთნელი:** თემურ მახარაძე

**გაფრთხილება:** რუსია (27), დოლიძე (46), ქარდავა (80)

**მსაჯები:** ა. შილაკაძე; მ. ურუშაძე, მ. ელიკაშვილი; მ. მაისურაძე (ყველა თბილისი)

**ინსპექტორი:** ი. მჭედლიშვილი

# ბოლნისმა უმაღლესი ფეროთი გამოჭედა

**დავით თავართქილაძე** ბოლნისიდან

ბოლნისის „სიონმა", რომელიც შარშან ჩემპიონობისთვის იბრძოდა, წლეულს დასახული მიზანი შეასრულა და უმაღლეს ლიგაში დარჩა. რომ არა გუშინდელი გამარჯვება, „სიონს" ბოლო ტურში ფოთში მოუწევდა გადამწყვეტი ბრძოლა „კოლხეთთან", რომელიც გუშინ გამოემშვიდობა უმაღლეს ლიგას.

გუშინვე „სიონი" იმ „ზესტაფონს" მასპინძლობდა, სათასო სწორება და სმენა 26 მაისისკენ რომ აქვს. ჰოდა, „ზესტაფონმაც" მეორე შემადგენლობა გაიყვანა ბოლნისელებთან, თუ არ ჩავთვლით ლევან შავგულიძეს. მოკლედ, საქმეს ისეთი პირი უჩანდა, „სიონს" უნდა მოეგო, მაგრამ ამისთვის თუ უმძიმესი ბრძოლა გადახდებოდა თავს, ალბათ ყველას როდი სჯეროდა — ჩემპიონატში უმოტივაციოდ დარჩენილმა და, ფაქტობრივად, სარეზერვო შემადგენლობით მოთამაშე „ზესტაფონმა" შლეგი ბრძოლა გაუმართა მასპინძელს — ვერანაირი სიმპტომი ვერ დავინახეთ იმისა, რომ მატჩი გარიგებული იყო.

გიორგი შენგელიას დარტყმული გიორგი სომხიშვილმა მოიგერია — ეს მატჩის პირველი სახიფათო მომენტი იყო, თუმც პირველი ტაიმის დასაწყისი „ზესტაფონის" უპირატესობით წარიმართა. ფეროელები მეტოქეზე უკეთ აგორებდნენ ბურთს, რაც დაუფასდათ კიდეც — ბექა გოცირიძის მონადირებული ჯარიმა სერგეი ნუდნიმ ჩააწოდა, რევაზ კვერნაძემ თავით დააგდო ბურთი და ტანმორჩილმა გოცირიძემაც თავურითვე გადაგზავნა ის ახლოდან მინდია ბობღიაშვილის კარში.

ამის შემდეგ რამდენიმე წუთი ისე გაილია, „სიონი" ვერაფერს ახერხებდა, მაგრამ მერე დავით დათვაძემ იკისრა რეიდი და ჯარიმა მოინაგრა, რომელიც ოციოდე მეტრიდან ზურაბ ავალიანმა დააქუხა საგოლედ.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, ტრავმირებული სომხიშვილის ნაცვლად „ზესტაფონის" კარში ზურაბ ქვაჩახია რომ ჩადგა, ვინც სასწაული ბურთი მოიგერია — არჩილ ალავიძეს ახლოდან არ დაანება თავურით გატანა.



მატჩის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე დავით დათვაძე იყო

„ზესტაფონი" უკვე ისე ველარ უტევდა, როგორც პირველ ტაიმში, ფეროელები დაცვაზე გადავიდნენ და „სიონსაც" მეტი რა უნდოდა — ჯერ დათვაძემ მოუსინჯა „ზესტაფონის" კარს ხარიხა კუთხურიდან, მერე ალავიძემ ბურთი დაატრიალა, მაგრამ ძელს გაარტყა.

უმაღლეს ლიგაში დამრჩენი გოლი კი, ასე ვთქვათ, დაივაძემ გააკეთა — საჯარიმოში შეჭრილმა მეტოქე გააცურა და კარის გასწვრივ ისე ჩააწოდა, რომ დავით გოგოლაძემ ერთი მეტრიდან ფაქტობრივად ცარიელი კარი დალაშქრა — „სიონი" გადარჩა.

არ იქნება, ზესტაფონელთა ჭაბუკი შემტევი გოცირიძე არ გამოვარჩიოთ — მან თითქმის ყველა პასი მიიღო და ერთობ სწორად თამაშობდა. გოცირიძეს უკნიდან ხშირად ურტყამდნენ მეტოქე მცველები, მაგრამ მატჩის არბიტრს საამისოდ ბარათებზე ხელი არ წასცდენია.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 35 | 22 | 6 | 7 | 70:27 | 72 |
| ტორპედო | 35 | 20 | 10 | 5 | 56:28 | 70 |
| თბილისი | 35 | 21 | 6 | 8 | 60:37 | 69 |
| ლოკომოტივი | 35 | 16 | 14 | 5 | 41:23 | 62 |
| ზესტაფონი | 35 | 16 | 5 | 14 | 37:45 | 53 |
| ვიტ ჯორჯია | 35 | 12 | 9 | 14 | 51:40 | 45 |
| ბათუმი | 35 | 9 | 12 | 14 | 35:30 | 39 |
| სიონი | 35 | 11 | 4 | 20 | 32:57 | 37 |
| კოლხეთი | 35 | 9 | 5 | 21 | 32:59 | 32 |
| დილა | 35 | 2 | 3 | 30 | 20:88 | 9 |

# მსხვრევა

## თბილისმა ლოკომოტივს რეკორდები გაუჩერა



მატჩი გოგი ფიფიას ამ გოლით დასრულდა

კახა შალამბერიძე

ერთბაშად სამი რეკორდი „გაუჩერა" „თბილისმა" გუშინ „ლოკომოტივს". სათითაოდ მივყვეთ: 1 „ლოკომოტივს" ოცი მატჩი არ წაეგო; 2 „ლოკომოტივს" თერთმეტ მატჩში არ გაეშვა გოლი; 3 რკინიგზელთა მეკარე ზვიად სტურუა 900 წუთი გოლგაუშვებლად ინახავდა კარს.

თანაც, საქართველოს თასის ფინალისტმა დიდი ანგარიშით ბოლოს ექვსი თვის წინ წააგო — 2004 წლის 21 ნოემბერს „ლოკომოტივი" „დინამოს" 2:5 დაეჩაგვრინა. ბარემ ისიც გავიხსენოთ, რომ რკინიგზელებს სამი ან მეტი გოლი ბოლოს სწორედ „თბილისმა" გაუტანა, როცა შარშანდელ 27 ნოემბერს 3:1 მოუგო.

მოკლედ, გუშინდელი დღე რეკორდების მსხვრევის დღე იყო და ამას თავისი მიზეზიც ჰქონდა: ნოდარ აკობიამ ძირითადი შემადგენლობის ბირთვი საფინალოდ დაასვენა და ერთბაშად რვა წამყვანი ფეხბურთელი არ ათამაშა.

არ გეგონოთ, ამით „თბილისის" ღირსეული მოგების დაკნინება გვსურდეს, უბრალოდ, ფაქტი აღვნიშნეთ და ეგ არის.

საბოლოო ჯამში ლოკომოტიველთაგან „გამარჯვებული" მაინც სტურუა გამოდგა — გუნდის კაპიტნად მოვლენილმა ზვიადმა თავისივე 900-წუთიანი რეკორდი 23 წუთით გააუმჯობესა — სერია ბექა ღლენტმა შეუწყვიტა საჯარიმოდან ზუსტი, მოჭრილი დარტყმით.

იქამდე კი ძელების ჭახა-ჭუხი იყო: ჯერ შოთა ჯიქიას ნარიკოშეტალი ბურთი მოხვდა სტუმართა ხარიხას, მოგვიანებით კი რკინიგზელ გიორგი ალავერდაშვილის ჩაწოდებული თუ დარტყმული აისხლიტა „თბილისის" კარის მარჯვენა ძელმა.

პირველ ტაიმში სხვა საინტერესო არაფერი მომხდარა, თუმცა მასპინძლებს ორჯერაც შეეძლოთ გატანა, მაგრამ იმავ სტურუამ იყოჩაღა.

შესვენების შემდეგ „თბილისის" უპირატესობა უფრო გამოიკვეთა და ორწუთიან მონაკვეთში ანგარიში 3:0 გახდა — ჯერ თორნიკე აფციაურმა გადაავლო თავზე ბურთი პირისპირ შეყრილ მეკარეს, მერე გოგი ფიფიამ მოჭრა შორეულ კუთხეში.

ლოკომოტიველთა პასუხი ბრაზილიური გამოდგა — სტუმართაგან აშკარად საუკეთესო რამონი ცრუმოძრაობებით გაძვრა „თბილისის" მცველებში და ტექნიკური დაბალი დარტყმით „დაასველა" ანგარიში — 3:1.

მატჩის ბოლო, 90-ე წუთზე კი თბილისელები იმავ ფიფიამ გაახარა, როცა გრძელი რეიდი უზუსტესი დარტყმით დააგვირგვინა — 4:1.

ასე მოიგო „თბილისმა" და ერთადერთი, რამაც გული დასწყვიტა ამ გუნდს, მცხეთაში „ტორპედოს" მოგება იყო — ცაკარიასის ბიჭები ხომ უეფას თასზე გამსვლელი მეორე ადგილისთვის იბრძვიან და, როგორც იტყვიან, ყველაფერი მათ ხელშია — ბოლო ტურში სწორედ ქუთათურებს ხვდებიან.

თბილისი. 22 მაისი. 17 საათი. ოლიმპი. 1 000 (ტევადობა 3 000)

### თბილისი 4:1 ლოკომოტივი

1:0 ღლენტი (23), 2:0 აფციაური (55), 3:0 ფიფია (57), 3:1 რამონი (77), 4:1 ფიფია (90)

**თბილისი:** გრიშიკაშვილი, მეხსი, მიქიაშვილი, გ. ფოფხაძე (ბოჭორიძე 68), ლოლაძე, ბ. ღლენტი, აფციაური (მინ ჩოი 84), გენაძე, შ. ჯიქია, ფიფია, ს. იაშვილი (რევაზ ბარაბაძე 78)
*სათადარიგონი:* გ. ჯინჭარაძე; ხიდეშელი, გ. კვარაცხელია, ლილუაშვილი
**მწვრთნელი:** ლუის ცაკარიასი

**ლოკომოტივი:** სტურუა (ზ. ჩალაძე 60), ექონია, გიგაური, დ. ფოფხაძე, სეთურიძე (სანიკიძე 62), მძინარიშვილი (კირვალიძე 46), ბენდელიანი, კახელიშვილი, გ. ჩივაძე, რამონი, ალავერდაშვილი
*სათადარიგონი:* მახვილაძე, გ. ონიანი, სირბილაძე
**მწვრთნელი:** ნოდარ აკობია

**გაფრთხილება:** რამონი (53), იაშვილი (74), დ. ფოფხაძე (74)

**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი (თბილისი); გ. ცირდავა (გულრიფში), ზ. ჯვარიძე; ლ. ფანიაშვილი (ორივე თბილისი)

**ინსპექტორი:** ა. შალამბერიძე; **დირექტორი:** შ. ბაქრაძე



მორჩა: ზვიად სტურუას მშრალი რეკორდი 923 წუთია

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I შესარჩევი ჯგუფი

## ჩვენი მეტოქე



სტატის ტავლარიდისი

**საბერძნეთის** ნაკრების თავკაცმა ოტო რეჰაგელმა შესარჩევი ეტაპის მოახლოებული ორი მატჩისთვის შერჩეულ ფეხბურთელთა სია გამოაქვეყნა, ოღონდ არასრული სახით — გერმანელმა სპეციალისტმა ჯერ მხოლოდ ლეგიონერების ვინაობა გაამხილა, საბერძნეთის ჩემპიონატში მოთამაშეთ კი მოგვიანებით შეარჩევს.

შეგახსენებთ, რომ 4 ივნისს ბერძნები თურქეთს, ხოლო 8 ივნისს უკრაინას ეთამაშებიან და ამ მატჩებზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული — თუ ელინებს მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში სურთ, სულ მცირე, ოთხი ქულა მაინც უნდა აიღონ.

რეჰაგელის სიაში ერთადერთი დებიუტანტია — ფრანგული „ლილის" მცველი სტატის ტავლარიდისი აქამდე საბერძნეთის ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობდა.

*მეკარე: კოსტას ხალკიასი (პორტსმუთი, ინგლისი);*

*მცველები: პანაიოტის ფისასი (ბენფიკა, პორტუგალია), გეორგიოს სეიტარიდისი (პორტუ, პორტუგალია), მიხალის კაპსისი (ბორდო, საფრანგეთი), სოტირის კირიაკოსი (რეინჯერსი, შოტლანდია), სტატის ტავლარიდისი (ლილი, საფრანგეთი);*

*ნახევარმცველები: თეოდოროს ზაგორაკისი (ბოლონია, იტალია), გეორგიოს კარაგუნისი (ინტერი, იტალია), სტელიოს იანაკოპულოსი (ბოლტონი, ინგლისი), ვასილის ლაკისი (კრისტალ პალასი, ინგლისი), ვასილის ცარტასი (კიოლნი, გერმანია);*

*თავდამსხმელები: ზისის ვრიზასი (სელტა, ესპანეთი), იოანის ამანატიდისი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), ანგელოს ხარისტეასი (აიაქსი, ჰოლანდია).*

კახა შალამბერიძე






ბადრი კეთილაძის ფოტო

გიორგი ნერგაძის „ტორპედომ“ მცხეთიდან 3 ქულა წაიღო

# ტორპედოს მცხეთაში იმედი შერჩა
# სად იქნება ოქრო?

მცხეთა. 22 მაისი. 17 საათი. არმაზი. 500 (ტევადობა 3 000)

## ვიტ ჯორჯია 1:2 ტორპედო

1:0 სახოკია (27), 1:1 ბოლქვაძე (48), 1:2 კოშკაძე (53)

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, აბშილავა, ა. კვახაძე, იმედაშვილი (დ. ლომაია 46), ვ. გოჩაშვილი (რაზმაძე 71), გ. დათუნაიშვილი (ლ. მანწკავა 77), ლ. კვარაცხელია, გველესიანი, მარცვალაძე, ებანოიძე, სახოკია<br>სათადარიგონი: მუჯრიშვილი; გ. კვახაძე, ინწკირველი, ფეიქრიშვილი<br>მწვრთნელი: ჯანი კარნევალი | ტორპედო: მერლანი, ბაქრაძე, რაქვიაშვილი, გამეზარდაშვილი, მემარნიშვილი, ბოლქვაძე, კოშკაძე (წუწუნავა 59), ნერგაძე, ებრალიძე, რ. ჯიქია, მეგრელაძე<br>სათადარიგონი: გ. გაბელია; დ. ონიანი, ლ. მერებაშვილი, ჯანჯღავა, სოსელია, რატი ბარაბაძე<br>მწვრთნელი: ოთარ გაბელია |

გაფრთხილება: იმედაშვილი (17)

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ზ. მენთეშაშვილი; ა. მეშკოვი (ორივე თბილისი)

ინსპექტორი: ს. კუტივაძე

**კობა ინასარიძე** მცხეთიდან

**საჩემპიონო** შანსს „ტორპედო“ გუშინ რომ არ დაკარგავდა და ცხრილის შუაგულში დამკვიდრებულ „ვიტ ჯორჯიასთან“ ქულებს არ გაანიავებდა, მატჩამდეც ცხადი იყო. რასაც ველოდით, ის მოხდა — ქუთაისელებმა მოიგეს და ახლა, ბოლო ტურში „დინამომ“ შინ „ბათუმთან“ თუ წააგო, ხოლო მათ „თბილისი“ დაამარცხეს, მკერდს ოქროთი დაიმშვენებენ.

მცხეთაში „ტორპედომ“ საქმე მეორე ტაიმის დასაწყისშივე მოითავა. მასპინძელთა მცველების უხეში შეცდომებით ჯერ დავით ბოლქვაძემ ისარგებლა და გაიტანა, ხუთ წუთში კი ალექსანდრე კოშკაძემ დასაჯა უსუსური „ვიტ ჯორჯია“. როგორც ვთქვით, სტუმრებმა გამთანაბრებელი და გამარჯვების გოლები თამაშის განახლებისთანავე გაიტანეს, თუმც ერთი რეალური მომენტი იქამდე გააცუდეს — მცველმა ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა.

ალვნიშნოთ, რომ მეორე ტაიმი „ვიტ ჯორჯიამ“ საკვირველად ინერტულად დაიწყო და ბავშვური შეცდომებით „ტორპედო“ აზეირა. სტუმრებმა კი, თავი ქუდში რომ დაიგულეს, მას შემდეგ ერთი მომენტიც არ შეუქმნიათ და არც „ვიტ ჯორჯია“ აქტიურობდა ისე, ანგარიში შეეტრიალებინა. მოკლედ თუ ვიტყვით, კოშკაძის გოლის შემდეგ მოედანზე საინტერესო არაფერი მომხდარა და გოლი რომ გვენახა, სასწაული უნდა მომხდარიყო. სასწაული კი...

მაინცდამაინც სასეირო არც პირველი ტაიმი ყოფილა, თუმც მეტოქეებს მეტი ჟინი კი ეტყობოდათ და ის გოლიც, ზაზა სახოკიამ რომ გაიტანა, მისი და პარტნიორების ფანტაზიის შედეგი იყო. მასპინძლებმა იბრძოლეს და სტუმრებს მოედნის ცენტრში დაატოვებინეს ბურთი, მერე სახოკიას უპასეს, მან კი „ტორპედოს“ მცველებს რეტი დაასხა და გაიტანა — „ვიტ ჯორჯიას“ ფორვარდი ერთბაშად სამ მეტოქეს გაუსწორდა, მათ ბურთი თავზე გადაუგდო და ერთი შეხედვით უხერხული პოზიციიდან მეკარეს ახლო კუთხეში გაუტანა.

ბათუმი. 22 მაისი. 17 საათი. დინამო. 400 (ტევადობა 5 000)

## ბათუმი 3:0 კოლხეთი

1:0 დარჩიძე (43), 2:0, 3:0 ხომერიკი (85, 90)

| | |
|---|---|
| ბათუმი: თოთლაძე, ი. მახარაძე (ბესიკ თედორაძე 86), ბეგლარ თედორაძე, დუმბაძე, გალოგრე, ლლონტი (გოგიშვილი 72), გ. მანწკავა, ხმალაძე, პ. ჩოხელი (ცანავა 63), დარჩიძე, ხომერიკი<br>სათადარიგონი: ი. ბალაძე; დ. ჯინჭარაძე, რამიშვილი, მეტრეველი<br>მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე | კოლხეთი: გიზო შენგელია, დ. ნარსია, კილასონია, აკობია, კუნჭულია, თაყაძე, ძარია (სიზანიშვილი 42), მელიქია (ნაბრია 68), მიკუჩაძე, ტყებუჩავა (ნ. ნარსია 46), მარგალიტაძე<br>სათადარიგონი: მიქავა; ყურაშვილი, გორონია<br>მწვრთნელი: სერგო გაბელაია |

გაფრთხილება: მელიქია (37), თაყაძე (45), დ. ნარსია (80), გოგიშვილი (85)

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); კ. გაბრიაძე (ქუთაისი), ა. სამხარაძე (სოხუმი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა)

ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი

# ბათუმმა გამოცურა
# ფოთში ზღვა ძალიან შავია

**გიორგი მურვანიძე** ბათუმიდან

**ფოთის „კოლხეთის“** ბედი ზღვისპირულ დერბიში გადაწყდა — საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში კოლხები პირველად გავარდნენ უმაღლესი ლიგიდან.

ბათუმელები კი, პირიქით, ლიგაში დარჩენას ისე ზეიმობდნენ, თითქოს „კოლხეთთან“ მოგებით ჩემპიონები გახდნენ.

თამაში დაძაბული გამოდგა. საწყის ნახევარ საათში „კოლხეთი“ ურიგოდ არ გამოიყურებოდა, მაგრამ ტაიმის ბოლოს ფეხბურთელებს დალლა დაეტყოთ და...

„ბათუმმა“ შეტევები გააძლიერა. ვიტალი დარჩიძემ მეკარესთან პირისპირ პაატა ჩოხელი გაიყვანა, მაგრამ მისი დარტყმული უზუსტო გამოდგა.

ერთხელაც სერგო გაბელაიას შეგირდებმა აალელვეს ირაკლი თოთლაძე — ედიშერ მაგრალიტაძემ სუსტად კი დაურტყა, მაგრამ მეკარეს ბურთი გაუსხლტა და ბეწვზე გადარჩა ბათუმელთა კარი.

მასპინძლები მარწუხებს უფრო და უფრო უჭერდნენ და, როგორც იტყვიან, გოლიც „მომწიფდა“. 43-ე წუთზე მოედნის ცენტრიდან ჩოხელმა მიაწოდა ბურთი ლევან ხომერიკს, რომელიც მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა, მცველი მოატყუა და უზადო პასით გაატანინა დარჩიძეს — 1:0.

„კოლხეთმა“ ანგარიშის გასათანაბრებლად გაიწია. ბათუმელთა საჯარიმოში შეჭრილი მიხეილ თაყაძე დავით გალოგრესთან ორთაბრძოლაში წაიქცა, თუმცა არბიტრმა მომხდურს სიმულაციისთვის ყვითელი უჩვენა.

მეორე ტაიმი ბათუმელთა სრული უპირატესობით ჩაიავლა.

ჯერ ხომერიკი გამოირჩა, როცა საჯარიმოში ჩასულ დარჩიძეს ზუსტად ჩააწოდა. ვიტალიმ თავით დარტყმას ფეხით დარტყმა არჩია და კარს ააცილა.

ხუთიოდ წუთში იმავ ხომერიკმა ისევ დარჩიძე შენიშნა და მეკარეს პირისპირ შეატოვა, მაგრამ გიზო შენგელიამ იხსნა კარი.

კოლხები მეორე გოლს მაინც ვერ გადაურჩნენ. 85-ე წუთზე ჩოხელმა მარჯვენა ფლანგიდან კუთხური ჩააწოდა, მცველები სიტუაციაში ვერ გაერკვნენ და უყურადღებოდ მიატოვეს ხომერიკი, რომელმაც ბურთი დაამუშავა და 2:0.

მეორე გოლს მესამეც მიჰყვა — ხომერიკმა შორი მანძილიდან შეურდულივის ქვასავით გაუშვა ბურთი — 3:0

*სერგო გაბელაია:* გუნდი ორი თვეა, არ ვარჯიშობს. მეორე ტაიმებსაც დაღლილობის გამო ვაგებთ. რაც უნდა სამწუხარო იყოს, ფაქტია, რომ უმაღლესი ლიგიდან უყურადღებობის გამო გავვარდით. დარწმუნებული ვარ, ოდნავი მხარდაჭერაც რომ ყოფილიყო, ლიგაში დავრჩებოდით.

*ამირან გოგიტიძე:* მესმის ჩემი კოლეგის გასაჭირი და მორალურად მის გვერდით ვარ. ჩვენ უმაღლეს ლიგაში დავრჩით. მადლობას ვუხდი ყველას, ვინც გასაჭირში გვერდით დაგვიდგა. იმედია, მომავალი სეზონიდან გავარდნა-არგავარდნაზე არ ვიფიქრებთ და უფრო დიდი მიზნები გვექნება.

# თქვენი ინტერვიუ
# ალენ ჟირესთან

*თქვენი კითხვების მორიგი ადრესატი საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალენ ჟირესი გახლავთ. მუსიე ჟირესი, მოგეხსენებათ, ფრანგია, მაშასადამე, ევროპელი და, ალბათ, „ჩამჭრელ“ და „მკვლელ“ კითხვებს მისთვის არ დაინანებთ. ჟირესი და „სარბიელი“ თქვენს კითხვებს 25 მაისამდე დაელოდებიან, ხოლო „თქვენ ინტერვიუს“ ჟირესთან 1 ივნისამდე იხილავთ.*

მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net



## გერმანია

### ბუნდესლიგა. XXXIV ტური

**ფრაიბურგი 2:3 შალკე**

0:1 სანდი (6), 1:1 იაშვილი (11), 1:2 ბორდონი (55), 2:2 ანტარი (78), 2:3 ბორდონი (89)
ფრაიბურგი: გოლცი, ს. რიტერი, ჰერმელი, ბ. დიარა, იბერცბერგერი, აოგო (ბაირამოვიჩი 68), კაირო (პიტროიპა 62), ს. კულიბალი, სანუ (ანტარი 72), იაშვილი, კუჯუ
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
შალკე: ფ. როსტი, უდე კამპუისი, ვალდოხი, ბორდონი, კრსტაიჩი, ვერმანტი, ასამოა (კ. პოულსენი 27), პოზიაშვილი, ლინკოლნი, სანდი, აილტონი (ჰანკე 68)
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
გაფრთხილება: სანუ, ანტარი, სანდი, ბორდონი
მსაჯი: ვაინერი
24 500 მაყურებელი

**შტუტგარტი 1:3 ბაიერნი**

0:1 ბალაკი (27), 0:2 სალიჰამიჯიჩი (30), 0:3 მაკაი (72), 1:3 საბიჩი (88)
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, ფ. მეირა, მ. ბაბელი, ჰ. გერბერი (ელსონი 46), სოლდო (საბიჩი 71), მაისნერი, შტრანცლი, ა. გლები, კურანი, კაკაუ (შტრელერი 46)
მწვრთნელი: მათიას ზამერი
ბაიერნი: კანი (რენსინგი 46), სანიოლი, ლუსიო, რ. კოვაჩი, ლიზარაზუ, დემიკელისი, სალიჰამიჯიჩი, შვაინსტაიგერი (სანტა კრუზი 77), დაისლერი (შოლი 39), ბალაკი, მაკაი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: შტრანცლი, გერბერი, დაისლერი, სანიოლი
მსაჯი: ფანდელი
48 600 მაყურებელი

**კაიზერსლაუტერნი 1:2 ვერდერი**

0:1 ბოროვსკი (13), 0:2 ვალდესი (42) 1:2 ალტინტოპი (45)
კაიზერსლაუტერნი: თ. ერნსტი, ლემბი, ჰერჩი, მეტომო, ჩატო, მ. ლემანი (ზაიცი 73), რიდლი, ენგელჰარდტი, ზანდი (მიკიჩი 46), ჰალილ ალტინტოპი, ამანატიდისი
მწვრთნელი: ჰანს ვერნერ მოზერი
ვერდერი: რაინკე, სტალტერი (ფარენჰორსტი 15), ისმაელი, პასანენი, შულცი, ფ. ბაუმანი, ბოროვსკი, ფ. ერნსტი, მიკუ, კლოზე (კლასნიჩი 86), ნ. ვალდესი
მწვრთნელი: თომას შაფი
გაფრთხილება: ბაუმანი, ბოროვსკი
მსაჯი: ვაკი
40 315 მაყურებელი

**ჰერთა 0:0 ჰანოვერი**

ჰერთა: ფიდლერი, ა. ფრიდრიხი, ვან ბურიკი, შიმუნიჩი (ჯ. რეინა 73), ფატი (ვიშნიარეკი 60), ნ. კოვაჩი, ნოინდორფი, ბაშთურქი, ჟილბერტო, მარსელინიო, რაფაელი (მადლუნგი 65)
მწვრთნელი: ფალკო გიოტცი
ჰანოვერი: ენკე, ჩერუნდოლო, მერტესაკერი, ზურავი, ტარნატი, ლალა, ვინისიუსი, კრუპნიკოვიჩი (დაბროვსკი 80), შრიოტერი (კაუფმანი 69), ბარნეტა (ჰალფარი 85), სტაინერი
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
გაფრთხილება: ნოინდორფი, კოვაჩი
მსაჯი: ფლაიშერი
74 500 მაყურებელი

**ლევერკუზენი 5:1 მიონხენგლადბახი**

0:1 ნოიველი (2), 1:1, 2:1 ბერბატოვი (41, 58), 3:1 ვორონინი (59), 4:1 ბერბატოვი (61), 5:1 ფრანსა (69)
ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, ჟუანი, რამელო, როკე ჟუნიორი, ბ. შნაიდერი, კასტრო, ბაბიჩი, ფრაიერი (ბიროფკა 72), კრჟინოვეკი (ოზტიურკი 75), ბერბატოვი, ვორონინი (ფრანსა 65)
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
მიონხენგლადბახი: კ. კელერი, კორჟინეცი, ვან კერკჰოვენი (ციგე 40), შტრასერი, იანსენი, კლუგე, ტიისი, ბროიხი (დემსი 82), ჰაინკი (ულიხი 65), ვან ჰუტი, ნოიველი
მწვრთნელი: ჰორსტ კოეპელი
გაფრთხილება: ტიისი, კორჟინეცი
მსაჯი: კინჰოფერი
22 500 მაყურებელი

**დორტმუნდი 2:1 ჰანზა**

0:1 ვორბეკი (15), 1:1 კრუშკა (52), 2:1 კოლერი (67)
დორტმუნდი: ვაიდენფელერი, კ. მეცელდერი, ბრჟენსკა, ვიორნსი, დედე, ს. კელი, როსიცკი, კრუშკა, ევერტონი, რიკენი (ო. ადო 82), კოლერი
მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი
ჰანზა: შობერი, ჰარტმანი, მიორლე, ჰილი, მაული, რიდლევიჩი, სებასტიანი, დ. რასმუსენი (შაპურზადეჰი 87), ლიტმანენი, ვორბეკი (არვიდსონი 63), პრიკა (დი სალვო 63)
მწვრთნელი: იორგ ბერგერი
გაფრთხილება: ჰარტმანი, პრიკა
მსაჯი: კემლინგი
80 400 მაყურებელი

**ჰამბურგი 0:1 ბოხუმი**

0:1 დიაბანგი (3)
ჰამბურგი: ვიხტერი, ბენჯამინი, ბულარუზი, ვან ბუიტენი, კლინგბილი, ვიკი, იაროლიმი (ტროხოვსკი 46), ბაინლიხი, დ. მორეირა (ბარბარესი 46), ე. მპენზა, ტაკაჰარა (მაჰდავიკია 47)
მწვრთნელი: თომას დოლი
ბოხუმი: სკოვგაარდსენი, ბემბენი, ფ. ტაპალოვიჩი, მალტრიცი, ჰ. ბიონიგი, ცდებელი, პრეისი, ვოში (ტამი 90), დიაბანგი, ედუ (გროტე 90), ლოკვენცი (მისიმოვიჩი 46)
მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი
გაფრთხილება: ბულარუზი, ბენჯამინი, კლინგბილი, ვან ბუიტენი, ლოკვენცი, ბიონიგი, ედუ
გაძევება: დიაბანგი (84)
მსაჯი: შმიდტი
54 178 მაყურებელი

**არმინია 1:2 ვოლფსბურგი**

1:0 ვატა (35), 1:1 პეტროვი (43), 1:2 ბრდარიჩი (56)
არმინია: ჰაინი, ოვომოიელა, ლანგკამპი, ბორგესი, ბოგუში, კაუფი, დამაიერი (ლეონი 80), პინტო (დიალოვიჩი 62), შკელა (პორკელიო 62), კუცელი, ვატა
მწვრთნელი: ფრანკ გეიდეკი
ვოლფსბურგი: ლენცი, თ. რიტერი, ტიამი, ჰოფლანდი, შნოორი, კარჰანი, ფიშერი, მენსეგეში (ჰრგოვიჩი 78), დალესანდრო (მაკიადი 76), მ. პეტროვი, ბრდარიჩი (ტოპიჩი 90)
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
გაფრთხილება: ვატა, ჰოფლანდი
მსაჯი: ფროილიხი
22 112 მაყურებელი

**ნიურნბერგი 1:2 მაინცი**

0:1 ვაილანდი (15), 1:1 მინტალი (18პ), 1:2 ტიურკი (87)
ნიურნბერგი: შეფერი, დ. რაინჰარდტი (ბოზაცკი 46), კანტალუპი, პაულუსი, ლ. მიულერი, ვაგეფელდი, ს. მიულერი (ვიბლიშაუზერი 69), სლოვაკი (ბანოვიჩი 61), მინტალი, დაუნი, კესლინგი
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
მაინცი: ვეტკლო, აბელი, მ. ფრიდრიხი (ნიკოლიჩი 87), ნოვესკი, ვაიგელტი, ბალიტჩი, ბაბაცი, კრამნი (დემირტასი 77), ნ. ვაილანდი (კეისი 77), ტიურკი, აუერი
მწვრთნელი: იურგენ კლოპი
გაფრთხილება: ბოზაცკი, ნოვესკი, ბალიტჩი, აბელი
მსაჯი: კირხერი
41 886 მაყურებელი

# ვერდერმა ჩემპიონთა ლიგის მუსიკა დაუკრა



AFP ბერლინიდან

ჰერთა — ჰანოვერი. მარსელინიომ და ბერლინელებმა სტუმართა მეკარე რობერტ ენკეს ვერაფერი დააკლეს

„შტუტგარტი“ ჩემპიონთა ლიგაში პირდაპირ მოხვედრაზე ოცნებობდა, საბოლოოდ კი უეფას თასის საგზური შერჩა, რადგან მიუნხენის „ბაიერნმა“ ჩემპიონის საკადრისად ითამაშა და ფელიქს მაგათის გუნდმაც მათიას ზამერისას მოუგო.

მიხაელ ბალაკმა და ჰასან სალიჰამიჯიჩმა პირველი ტაიმის სამწუთიან მონაკვეთში ორჯერ გაუტანეს ტიმო ჰილდებრანდს, როი მაკაიმ კი შესვენების შემდეგ მესამე მიაყოლა და 22 გოლი მოაგროვა — ჰოლანდიელი ფორვარდი ორით ჩამორჩა ნიურნბერგელ მარეკ მინტალს, რომელიც 24 გოლით ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახლა, მინტალმა სეზონი საუცხოოდ ჩაატარა. „ნიურნბერგის“ 55 გოლიდან, თითქმის ნახევარი მის ანგარიშზეა და სლოვაკ თავდამსხმელს, რა თქმა უნდა, ევროპული ბობოლა კლუბების რიგი დაუდგება.

გელზენკირხენის „შალკემ“ „ფრაიბურგს“ მეორე ბუნდესლიგისკენ გზა „დაულოცა“. სეზონის ბოლო გოლი ამ მატჩში გავიდა, რომელიც მარსელო ბორდონმა მიითვალა. ბრაზილიელმა მეორე ტაიმში დუბლი შეასრულა, მანამდე კი „შალკე“ ებე სანდის წყალობით დაწინაურდა, თუმც ალექსანდრე იაშვილმა მალე გაათანაბრა. ბორდონმა შესვენების შემდეგ „ხუმარები“ კვლავ წინ გაიყვანა, მაგრამ როდა ანტარმა გაქვითა. შეხვედრის დასრულებამდე წუთით ადრე სტუმართა ბრაზილიელმა ლეგიონერმა თავური დარტყმით გამარჯვებისა გაიტანა. „ფრაიბურგმა“ მხოლოდ სამი მატჩი მოგება შეძლო და ეს ყველაზე უარესი შედეგია ბუნდესლიგის ბოლო ათი წლის ისტორიაში.

ბრემენის „ვერდერმა“ კაიზერსლაუტერნში ჩემპიონთა ლიგის „მუსიკა დაუკრა“. ტიმ ბოროვსკისა და ნელსონ ვალდესის გოლებით ბრემენელები პირველივე ტაიმში დაწინაურდნენ, ჰალილ ალტინტოპმა კი მხოლოდ ერთი საპასუხოს გატანა მოახერხა. „ვერდერის“ სასიხარულოდ, „შტუტგარტმა“ წააგო, ხოლო „ჰერტამ“ „ჰანოვერს“ ვერ მოუგო. აქედან კი ის გამოვიდა, რომ ბრემენელმა „მუსიკოსებმა“ მესამე ადგილზე აინაცვლეს და ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშებენ.

ბერლინის „ჰერტას“, „შტუტგარტს“ და ლევერკუზენის [illegible] უეფას თასის ვიზები [illegible]. დორტმუნდის [illegible] „ჰამბურგი“ და „ვოლფსბურგი“ [illegible] ინტერტოტოს თასის გათამაშებაში [illegible] ერთვებიან.

მიონხენგლადბახის „ბორუსია“ [illegible] ლევერკუზენში ოლივერ ნოიველის გოლით მეორე წუთზე იგებდა და [illegible] რველ გასვლით გამარჯვებაზე ფიქრობდა, მაგრამ მატჩი [illegible] ტოვის ბენეფისად იქცა. ბულგარელმა ფორვარდმა ოცი წუთის განმავლობაში სამი გოლი გაიტანა, [illegible] კი ვორონინმა და ფრანსამ [illegible].

ერთი სიტყვით, მიონხენგლადბახის „ბორუსიამ“ სეზონი ისე დაასრულა, რომ სტუმრად ვერც ერთი [illegible].

„ბოხუმმა“ კარი გაიჯახუნა და მეორე ბუნდესლიგაში [illegible] დაქვეითების წინ ჰამბურგში, მისმა დიაბანგის მესამე წუთზე გატანილი გოლით იმარჯვა — [illegible] სეზონის ბოლო [illegible] თავის ანგარიშზე მიითვალა და [illegible] წითელი ბარათით დაჯმშვიდდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| ბომბარდირები | |
|---|---|
| მინტალი (ნიურნბერგი) | 24 |
| მაკაი (ბაიერნი) | 22 |
| ბერბატოვი (ლევერკუზენი) | 20 |
| მარსელინიო (ჰერტა) | 18 |

| საბოლოო ცხრილი | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ბაიერნი | 34 | 24 | 5 | 5 | 75:33 | 42 | 77 | 17 | 14 | 2 | 1 | 44:14 | 30 | 44 | 17 | 10 | 3 | 4 | 31:19 | 12 | 33 |
| 2 შალკე | 34 | 20 | 3 | 11 | 56:46 | 10 | 63 | 17 | 11 | 2 | 4 | 33:24 | 9 | 35 | 17 | 9 | 1 | 7 | 23:22 | 1 | 28 |
| 3 ვერდერი | 34 | 18 | 5 | 11 | 68:37 | 31 | 59 | 17 | 9 | 4 | 4 | 33:15 | 18 | 31 | 17 | 9 | 1 | 7 | 35:22 | 13 | 28 |
| 4 ჰერთა | 34 | 15 | 13 | 6 | 59:31 | 28 | 58 | 17 | 8 | 8 | 1 | 34:13 | 21 | 32 | 17 | 7 | 5 | 5 | 25:18 | 7 | 26 |
| 5 შტუტგარტი | 34 | 17 | 7 | 10 | 54:40 | 14 | 58 | 17 | 12 | 2 | 3 | 34:15 | 19 | 38 | 17 | 5 | 5 | 7 | 20:25 | -5 | 20 |
| 6 ლევერკუზენი | 34 | 16 | 9 | 9 | 65:44 | 21 | 57 | 17 | 12 | 3 | 2 | 42:18 | 24 | 39 | 17 | 4 | 6 | 7 | 23:26 | -3 | 18 |
| 7 დორტმუნდი | 34 | 15 | 10 | 9 | 47:44 | 3 | 55 | 17 | 8 | 5 | 4 | 24:18 | 6 | 29 | 17 | 7 | 5 | 5 | 23:26 | -3 | 26 |
| 8 ჰამბურგი | 34 | 16 | 3 | 15 | 55:50 | 5 | 51 | 17 | 9 | 1 | 7 | 27:22 | 5 | 28 | 17 | 7 | 2 | 8 | 28:28 | 0 | 23 |
| 9 ვოლფსბურგი | 34 | 15 | 3 | 16 | 49:51 | -2 | 48 | 17 | 10 | 1 | 6 | 35:20 | 15 | 31 | 17 | 5 | 2 | 10 | 14:31 | -17 | 17 |
| 10 ჰანოვერი | 34 | 13 | 6 | 15 | 34:36 | -2 | 45 | 17 | 8 | 2 | 7 | 21:19 | 2 | 26 | 17 | 5 | 4 | 8 | 13:17 | -4 | 19 |
| 11 მაინცი | 34 | 12 | 7 | 15 | 50:55 | -5 | 43 | 17 | 9 | 3 | 5 | 28:21 | 7 | 30 | 17 | 3 | 4 | 10 | 22:34 | -12 | 13 |
| 12 ლაუტერნი | 34 | 12 | 6 | 16 | 43:52 | -9 | 42 | 17 | 8 | 2 | 7 | 20:21 | -1 | 26 | 17 | 4 | 4 | 9 | 23:31 | -8 | 16 |
| 13 არმინია | 34 | 11 | 7 | 16 | 37:49 | -12 | 40 | 17 | 7 | 3 | 7 | 21:21 | 0 | 24 | 17 | 4 | 4 | 9 | 16:28 | -12 | 16 |
| 14 ნიურნბერგი | 34 | 10 | 8 | 16 | 55:63 | -8 | 38 | 17 | 4 | 6 | 7 | 25:25 | 0 | 18 | 17 | 6 | 2 | 9 | 30:38 | -8 | 20 |
| 15 გლადბახი | 34 | 8 | 12 | 14 | 35:51 | -16 | 36 | 17 | 8 | 5 | 4 | 26:21 | 5 | 29 | 17 | 0 | 7 | 10 | 9:30 | -21 | 7 |
| 16 ბოხუმი | 34 | 9 | 8 | 17 | 47:68 | -21 | 35 | 17 | 6 | 5 | 6 | 30:29 | 1 | 23 | 17 | 3 | 3 | 11 | 17:39 | -22 | 12 |
| 17 ჰანზა | 34 | 7 | 9 | 18 | 31:65 | -34 | 30 | 17 | 4 | 5 | 8 | 17:31 | -14 | 17 | 17 | 3 | 4 | 10 | 14:34 | -20 | 13 |
| 18 ფრაიბურგი | 34 | 3 | 9 | 22 | 30:75 | -45 | 18 | 17 | 2 | 6 | 9 | 18:31 | -13 | 12 | 17 | 1 | 3 | 13 | 12:44 | -32 | 6 |

## მეორე ბუნდესლიგა

### XXXIV ტური

**კიოლნი 4:0 დუისბურგი**

1:0 პოდოლსკი (49), 2:0 სინკალა (68), 3:0, 4:0 პოდოლსკი (70, 86)

**ალემანია 0:1 ფიურტი**

0:1 ალბერტცი (82)

**დინამო 2:1 ერფურტი**

0:1 ტრაუბი (9), 1:1, 2:1 ლავრიჩი (11, 64)

**აინტრახტი 3:0 ბურგჰაუზენი**

1:0 ბ. კელერი (17), 2:0 მეიერი (66), 3:0 ბაიერლე (90)

**კარლსრუე 3:2 კოტბუსი**

1:0 თ. როსტი (1ს.კ.), 1:1 გიუნკელი (32), 1:2 საჰინი (45), 2:2 შვარცი (73), 3:2 ფრაისი (90)

**მიუნხენი 3:4 ალენი**

1:0 შეფერი (12), 1:1 ასანინი (23), 1:2 ბ ნდოაიე (25), 2:2 მეირი (30), 2:3 ასანინი (56), 3:3 შაო (68), 3:4 მიკოლაიჩაკი (71)

**ობერჰაუზენი 1:1 აუე**

1:0 პელდერმანსი (9), 1:1 დემირი (53)

**ესენი 0:1 უნტერჰახინგი**

0:1 ბარუტი (81)

**ზაარბრიუკენი 1:1 ტრირი**

0:1 ბეკერი (7), 1:1 თ. როიტერი (39)

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 34 | 20 | 7 | 7 | 62:33 | 67 |
| დუისბურგი | 34 | 19 | 5 | 10 | 50:37 | 62 |
| აინტრახტი | 34 | 19 | 4 | 11 | 65:39 | 61 |
| მიუნხენი | 34 | 15 | 12 | 7 | 52:39 | 57 |
| ფიურტი | 34 | 17 | 5 | 12 | 51:42 | 56 |
| ალემანია | 34 | 16 | 6 | 12 | 60:39 | 54 |
| აუე | 34 | 15 | 6 | 13 | 49:40 | 51 |
| დინამო | 34 | 15 | 4 | 15 | 48:53 | 49 |
| ბურგჰაუზენი | 34 | 13 | 9 | 12 | 48:55 | 48 |
| კარლსრუე | 34 | 11 | 10 | 13 | 46:47 | 43 |
| უნტერჰახინგი | 34 | 13 | 3 | 18 | 38:45 | 42 |
| ზაარბრიუკენი | 34 | 11 | 7 | 16 | 44:50 | 40 |
| ალენი | 34 | 10 | 9 | 15 | 42:49 | 39 |
| კოტბუსი | 34 | 10 | 9 | 15 | 35:48 | 39 |
| ტრირი | 34 | 9 | 12 | 13 | 39:53 | 39 |
| ობერჰაუზენი | 34 | 8 | 10 | 16 | 40:62 | 34 |
| ესენი | 34 | 6 | 15 | 13 | 35:51 | 33 |
| ერფურტი | 34 | 8 | 9 | 17 | 36:58 | 33 |

## ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

### XXXVI ტური

ბრაუნშვაიგი — უნიონი 1:0; ლიუბეკი — დიუსელდორფი 0:1; ქემნიცი — დორტმუნდი (მ) 3:1; მიუნსტერი — პადერბორნი 3:3; ვოლფსბურგი (მ) — ზანქტ პაული 2:2; იურდინგენი — ჰამბურგი (მ) 3:0; ვუპერტალი — კიოლნი (მ) 1:0; ვერდერი (მ) — არმინია (მ) 3:1; ჰერთა (მ) — ოსნაბრიუკი 1:1

## სამხრეთ რეგიონალლიგა

### XXXII ტური

მიუნხენი (მ) — მაინცი (მ) 3:2; აალენი — ნოტინგენი 5:2; დარმშტადტი — ჰოფენჰაიმი 3:2; კობლენცი — ოფენბახი 2:1; პფულენდორფი — რეგენსბურგი 2:1; აუგსბურგი — კიკერსი 2:2; ვეჰენი — ფოიხტი 1:1; ზიგენი — ბაიერნი (მ) 2:1; შტუტგარტი (მ) — ელვერსბერგი 5:2

## იტალია

### სერია A. XXXVII ტური

**მილანი 3:3 პალერმო**

1:0 სერჟინიო (8), 1:1 კოსტაკურტა (9ს.კ.), 2:1 სერჟინიო (16), 3:1 ტომასონი (32), 3:2 ტონი (77პ), 3:3 ბარონე (79)
მილანი: აბიატი, მარძორატი (პერტიკონე 73), შიმიჩი, კოსტაკურტა, პანკარო, ბროკი, რუი კოშტა, დორასო, სერჟინიო, ტომასონი, კრესპო (ფ. ინძაგი 64)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
პალერმო: გუარდალბენი, ძაკარდო, ტერლიცი (ფერი 70), ბარძალი, სანტანა, კორინი (მუტარელი 58), ბარონე, გროსო, ე გონსალესი, ძაული (მორონე 87), ტონი
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
გაფრთხილება: რუი კოშტა, ტონი, ბარონე, კოსტაკურტა, ტერლიცი, ძაული
მსაჯი: ტომბოლინი
60 872 მაყურებელი

**ლივორნო 2:2 იუვენტუსი**

0:1 ნედვედი (10), 1:1 პროტი (47), 2:1 ლუკარელი (55), 2:2 ტრეზეგე (66)
ლივორნო: მარეჯინი, მელარა, ვარგასი, გალანტე, პფერცელი, ვიჯანი (რუოტოლო 46), პასონი, გრაუზო, ჯალლომბარდო, პროტი (დანილევიჩუსი 60), კ. ლუკარელი (პაულინიუ 84)
მწვრთნელი: რობერტო დონადონი
იუვენტუსი: ბუფონი (კიმენტი 46), პესოტო, ტურამი, ფ. კანავარო, ძამბროტა, ნედვედი, ემერსონი (ბლაზი 84), აპია, კაპო, იბრაჰიმოვიჩი (ზალაიეტა 46), ტრეზეგე
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
მსაჯი: მესინა
20 000 მაყურებელი

**სამპდორია 0:1 ინტერი**

0:1 ადრიანო (36)
სამპდორია: ანტონიოლი, კ. ძენონი, პავანი, მ. კასტელინი, მ. პიზანო, დიანა (გასბარონი 71), ვოლპი, პალომბო (ედუსეი 46), ტონეტო, ფლაკი, კუტუზოვი (როსინი 65)
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
ინტერი: ტოლდო, ზე მარია, ი. კორდობა, მატერაცი, ხ. ძანეტი, დ. სტანკოვიჩი, კ. ძანეტი, კამბიასო, კილი გონსალესი, ადრიანო (ო. მარტინსი 80), ხ. კრუზი (ვიერი 72)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: კასტელინი, კორდობა, კ. ძანეტი, სტანკოვიჩი
მსაჯი: რაკალბუტო
32 000 მაყურებელი

**კალიარი 1:1 უდინეზე**

0:1 იაკინტა (48), 1:1 ესპოზიტო (67)
კალიარი: იეცო, დ. ლოპესი, მალტალიატი, ბეგა, ფ. პიზანო (ბრამბილა 64), აბეიხონი (ალბინო 64), გობი, ბუდელი, მ. ესპოზიტო, ბიანკი, ძოლა
მწვრთნელი: დანიელე არიგონი
უდინეზე: პანდაროვიჩი, ბერტოტო, ფელიპე, კროლდრუპი (ბელერი 73), დ. ძენონი, პინცი, პაზიენცა, მაური (ფავა 90), პიერი, იაკინტა, დი მიკელე (დი ნატალე 73)
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
გაფრთხილება: პიერი, ლოპესი
მსაჯი: ფარინა
15 000 მაყურებელი

**ატალანტა 0:1 რომა**

0:1 კასანო (50)
ატალანტა: კალდერონი, რივალტა, ნატალი, სალა, მინგაცინი (პაგანო 55), მილაჩიო (ლაცარი 78), ბერნარდინი, მარკოლინი (მონტოლივო 64), ადრიანუ, ბუდანი, მაკინვა
მწვრთნელი: დელიო როსი
რომა: კურჩი, კუფრე, მექსეში (სკურტო 60), მ. ფერარი, კივუ (შავიერი 72), მანსინი, პეროტა, დე როსი, ვირგა, მონტელა, ა. კასანო (აკილანი 64)
მწვრთნელი: ბრუნო კონტი
გაფრთხილება: ფერარი, დე როსი, კასანო
მსაჯი: ბერტინი
16 000 მაყურებელი

# სკუდეტო ფეხბურთის გარეშე



AFP ლივორნოდან

ტურინელებმა 28-ე სკუდეტო უთამაშებლად მოიგეს

**ლაციო 1:1 ფიორენტინა**

0:1 მარესკა (2), 1:1 სივილია (18)
ლაციო: პერუცი, სივილია, ჯანიკედა, ძაური, ოდო, ა. ფილიპინი, ლივერანი (სერიჩი 18), დაბო, ე. ფილიპინი, ბაცანი (პანდევი 73), როკი (დი კანიო 90)
მწვრთნელი: ჯუზეპე პაპადოპულო
ფიორენტინა: ლუპატელი, უიფალუში, ვიალი (არიატი 80), დელი კარი, კიელინი, დი ლივიო, მარესკა, დონადელი, იორგენსენი, მიკოლი (ბოჟინოვი 59), პაცინი (რიგანო 76)
მწვრთნელი: დინო ძოფი
გაფრთხილება: ჯანიკედა, დი ლივიო, ძაური, დაბო
მსაჯი: როზეტი
38 000 მაყურებელი

**პარმა 0:0 სიენა**

პარმა: ს. ფრეი, ბონერა, კარდონე, ბოვო, პიზანუ, ბოლანო (ვინიაროლი 76), სიმპლისიო, ბრეშიანო (გრელა 85), კონტინი, მორფეო, ჯილარდინო
მწვრთნელი: პიეტრო კარმინიანი
სიენა: მანინგერი, არჯილი, ტუდორი, მინანი, ფოლიო (ჩირილო 85), კამორანი (კოცა 73), ვერგასოლა, დავერსა, ფალზინი, ტადეი, მაკარონე (ფლო 90)
მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო
გაფრთხილება: ბოლანო, ვერგასოლა, ბოვო, კარდონე
მსაჯი: როდომონტი
22 000 მაყურებელი

**კიევო 1:0 ბოლონია**

1:0 მანდელი (82)
კიევო: მარკეჯანი, ფ. მორო, მანდელი, დანა, ლანა, სემიოლი, ბრიგი (დ. ფრანჩესკინი 35), ძანკეტა, სამარკო, პელისიერი, ამაური (ფ. კოსატო 64; მარკეზეტი 79)
მწვრთნელი: მარკო დანჯელო
ბოლონია: პალიუკა, ჟუარესი, ლეგროტალე, გამბერინი, სესა, ლ. კოლუჩი (ფერანტე 82), ნერვო, ზაგორაკისი, ჯუნტი, ბელუჩი (ლოკატელი 70), ტარე (ჩიპრიანი 59)
მწვრთნელი: კარლო მაცონე
გაფრთხილება: ლოკატელი, სემიოლი
მსაჯი: კოლინა
12 000 მაყურებელი

**რეჯინა 2:2 ლეჩე**

1:0 ბონაცოლი (9), 1:1 ვუჩინიჩი (15), 2:1 პარედესი (30), 2:2 ვუჩინიჩი (43)
რეჯინა: სოვიერო, კანარზა, დე როსა (ი. ფრანჩესკინი 76), პიკოლო, მესტო, მოცარტი, კ. პარედესი, ესტევესი (მისიროლი 56), ბალესტრი, ნაკამურა, ბონაცოლი
მწვრთნელი: ვალტერ მაცარი
ლეჩე: სიჩინიანო, ანჯელო, დიამუტენე, სტოვინი, რულო, კასეტი, ლედესმა, ხ. ვალდესი, დალა ბონა, ვუჩინიჩი (ერიომენკო 73), პინარდი
მწვრთნელი: ზდენეკ ზემანი
მსაჯი: პაპარესტა
15 500 მაყურებელი

**ბრეშა 2:1 მესინა**

1:0 დი ბიაჯო (62), 2:0 მილანეტო (72), 2:1 ამორუზო (90)
ბრეშა: კასტელაცი, ჟ. მარტინესი, დი ბიაჯო, დომიცი, სტანკევიჩიუსი, სკული (ბერეტა 90), მილანეტო, ძამბრელა (შოპი 46), ვომე, ვონლანტენი (მანინი 49), ნიგაარდი
მწვრთნელი: ალბერტო კავაზინი
მესინა: ელეფთეროპულოსი (სანტორო 46), ზორო კპოლო, ფუსკო, რეზაეი, არონიკა, ჯამპა, კოპოლა (კუჩარი 76), დონატი, მამედე, ნ. ამორუზო, ძამპანა (დი ნაპოლი 76)
მწვრთნელი: ბორტოლო მუტი
გაფრთხილება: შოპი
მსაჯი: დე სანტისი
15 000 მაყურებელი

**ძალიან** უჩვეული ამბავია — გუნდი ისე გახდა იტალიის ჩემპიონი, რომ ტრიუმფის დღეს არ უთამაშია.

„იუვენტუსზე“ მოგახსენებთ, „ბებერმა ქალბატონმა“ პარასკევს ოცდამერვედ მოიგო სკუდეტო, ოღონდ ეს არც მისი გამარჯვების შედეგი გახლდათ და გემრიელადაც ვერ იზეიმა — გულშემატკივრის წინაშე მოედანზე არ იყო. მიზეზი: მეორე შემადგენლობით მოთამაშე „მილანმა“ „სან სიროზე“, „პალერმოსთან“ 3:3 სერია A-ს 37-ე ტურის დანარჩენ მატჩებამდე ორი დღით ადრე პარასკევს ითამაშა, ეს კი იმიტომ მოხდა, რომ ოთხშაბათს, სტამბოლში ჩემპიონთა ლიგის ფინალი ელის და იტალიურმა ლიგამ ხელი შეუწყო, მეტი დასვენებისა და უკეთ მომზადების საშუალება მისცა. „მილანმაც“ „დაისვენა“, „პალერმოსთან“ საბრძოლო შემადგენლობა არ გაიყვანა, მაინცდამაინც არც თავი მოიკლა, მოკლედ ვერ მოიგო და შედეგად, იტალიაში საჩემპიონო რბოლაც „იუვეს“ სასარგებლოდ დასრულდა.

და, სად იყო ამ დროს ჩემპიონი? ჯერ ერთი, შეგახსენებთ, რომ „იუვენტუსს“ იტალიელ ჟურნალისტთა აზრით, ცოტა გაუგებარი ბლეფაუთი აქვს გამოცხადებული — ფეხბურთელები და მწვრთნელები კომენტარს არაფერზე აკეთებენ, მაგრამ ესეც გვერდზე იყოს, თურმე გუნდი ერთად არც ყოფილა თავმოყრილი. აი, მაგალითად, ზლატან იბრაჰიმოვიჩს „მილანის“ თამაში სტეფან აპიასთან სახლში უნახავს და მერე მანქანით ქალაქში გაუსეირნია, ვნახო ერთი, რამე თუ ხდებაო.

აღსანიშნავია, რომ ქალაქის ცენტრში, ტრადიციული ზეიმის ადგილზე მაინცდამაინც არც ქომაგები მისულან. ამბობენ, ნაწილობრივ იმიტომ, რომ პიაცა სან კარლოზე რეკონსტრუქციაა გაჩაღებული, მაგრამ მთლად ამის ბრალი არ უნდა იყოს...

შეგახსენებთ, ეს იყო პარასკევს, გუშინ კი ჩემპიონმა ლივორნოში 2:2 ითამაშა. აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში არც მასპინძლებს [illegible] თავდაუზოგავად [illegible] და შედეგიც შე[illegible] ამასთან, ეს გახლდათ ვეტერანი იგორ პროტის გამოსათხოვარი მატჩი და „სტადიო არმანდო პიკიც“ უკეთეს ზეიმს ვერ ინატრებდა — „იუვენტუსს“ ამ სტადიონზე 1949 წლის შემდეგ არ შეედგა ფეხი. პროტიმ ბურთთან განშორების დღე გოლით დაამშვენა: მეორე ტაიმი წუთნახევრის დაწყებული გახლდათ, როდესაც ჯალომბარდოს ჩაწოდებულს ნახტომში თავური დაჰკრა. საინტერესოა, რომ ამ შეხვედრაში „იუვეს“ მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ არ ათამაშა ალესანდრო დელ პიერო.

მეოთხე, ჩემპიონთა ლიგაზე გამსვლელი ადგილისთვის ბრძოლაში კი ერთი ქულით დაწინაურდა „უდინეზე“, რომელმაც სარდინიაზე „კალიარისთან“ 1:1 ითამაშა. უნდა ითქვას, რომ უდინელებმა უკეთ ითამაშეს, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, მაგრამ დავიდე დი მიკელესა და ვინჩენცო იაკინტას საბოლოო დარტყმებში მეტი სიზუსტე მართებდათ.

ანგარიში მაინც სტუმრებმა გახსნეს — მეორე ტაიმში მათ ჯერ ძელს გაარტყეს ბურთი, ხოლო შემდეგ იაკინტამ დაუმიზნა სარდინიელთა კარს, თუმცა 57-ზე მაურო ესპოზიტომ გაქვითა.

უდინელთა კონკურენტმა გენუის „სამპდორიამ“ კი შინ წააგო მესამე ადგილზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ დამკვიდრებულ „ინტერთან“

გაირკვა ერთი სერია B-ში გადავარდნილის ვინაობაც — ბერგამოს „ატალანტამ“ შინ „რომასთან“ 0:1 წააგო და სერია A-ს სულ ცოტა, ერთი წლით დაემშვიდობა.

**პაპუნა ჭედია**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 იუვენტუსი | 37 | 25 | 8 | 4 | 63:25 | 38 | 83 | 18 | 14 | 2 | 2 | 34:11 | 23 | 44 | 19 | 11 | 6 | 2 | 29:14 | 15 | 39 |
| 2 მილანი | 37 | 23 | 9 | 5 | 62:27 | 35 | 78 | 19 | 11 | 5 | 3 | 38:17 | 21 | 38 | 18 | 12 | 4 | 2 | 24:10 | 14 | 40 |
| 3 ინტერი | 37 | 18 | 17 | 2 | 65:37 | 28 | 71 | 18 | 11 | 6 | 1 | 34:16 | 18 | 39 | 19 | 7 | 11 | 1 | 31:21 | 10 | 32 |
| 4 უდინეზე | 37 | 17 | 10 | 10 | 55:39 | 16 | 61 | 18 | 8 | 6 | 4 | 28:17 | 11 | 30 | 19 | 9 | 4 | 6 | 27:22 | 5 | 31 |
| 5 სამპდორია | 37 | 17 | 9 | 11 | 42:29 | 13 | 60 | 19 | 10 | 3 | 6 | 21:13 | 8 | 33 | 18 | 7 | 6 | 5 | 21:16 | 5 | 27 |
| 6 პალერმო | 37 | 12 | 16 | 9 | 45:41 | 4 | 52 | 18 | 9 | 6 | 3 | 25:19 | 6 | 33 | 19 | 3 | 10 | 6 | 20:22 | -2 | 19 |
| 7 მესინა | 37 | 12 | 11 | 14 | 43:51 | -8 | 47 | 18 | 10 | 6 | 2 | 25:18 | 7 | 36 | 19 | 2 | 5 | 12 | 18:33 | -15 | 11 |
| 8 რომა | 37 | 11 | 11 | 15 | 55:58 | -3 | 44 | 18 | 6 | 7 | 5 | 31:26 | 5 | 25 | 19 | 5 | 4 | 10 | 24:32 | -8 | 19 |
| 9 კალიარი | 37 | 10 | 14 | 13 | 49:56 | -7 | 44 | 19 | 9 | 9 | 1 | 30:17 | 13 | 36 | 18 | 1 | 5 | 12 | 19:39 | -20 | 8 |
| 10 ლივორნო | 37 | 11 | 11 | 15 | 48:59 | -11 | 44 | 19 | 9 | 5 | 5 | 28:25 | 3 | 32 | 18 | 2 | 6 | 10 | 20:34 | -14 | 12 |
| 11 ლაციო | 37 | 11 | 10 | 16 | 45:50 | -5 | 43 | 19 | 6 | 6 | 7 | 26:24 | 2 | 24 | 18 | 5 | 4 | 9 | 19:26 | -7 | 19 |
| 12 ლეჩე | 37 | 10 | 13 | 14 | 63:70 | -7 | 43 | 18 | 8 | 7 | 3 | 37:27 | 10 | 31 | 19 | 2 | 6 | 11 | 26:43 | -17 | 12 |
| 13 რეჯინა | 37 | 10 | 13 | 14 | 36:45 | -9 | 43 | 19 | 7 | 6 | 6 | 21:23 | -2 | 27 | 18 | 3 | 7 | 8 | 15:22 | -7 | 16 |
| 14 კიევო | 37 | 11 | 9 | 17 | 32:49 | -17 | 42 | 19 | 8 | 5 | 6 | 20:18 | 2 | 29 | 18 | 3 | 4 | 11 | 12:31 | -19 | 13 |
| 15 ბოლონია | 37 | 9 | 14 | 14 | 33:36 | -3 | 41 | 18 | 6 | 6 | 6 | 20:17 | 3 | 24 | 19 | 3 | 8 | 8 | 13:19 | -6 | 17 |
| 16 ბრეშა | 37 | 11 | 8 | 18 | 37:51 | -14 | 41 | 19 | 6 | 3 | 10 | 15:22 | -7 | 21 | 18 | 5 | 5 | 8 | 22:29 | -7 | 20 |
| 17 პარმა | 37 | 10 | 11 | 16 | 45:62 | -17 | 41 | 19 | 8 | 9 | 2 | 33:25 | 8 | 33 | 18 | 2 | 2 | 14 | 12:37 | -25 | 8 |
| 18 სიენა | 37 | 8 | 16 | 13 | 42:54 | -12 | 40 | 18 | 4 | 8 | 6 | 19:26 | -7 | 20 | 19 | 4 | 8 | 7 | 23:28 | -5 | 20 |
| 19 ფიორენტინა | 37 | 8 | 15 | 14 | 39:50 | -11 | 39 | 18 | 6 | 7 | 5 | 26:22 | 4 | 25 | 19 | 2 | 8 | 9 | 13:28 | -15 | 14 |
| 20 ატალანტა | 37 | 8 | 11 | 18 | 33:43 | -10 | 35 | 19 | 7 | 6 | 6 | 21:17 | 4 | 27 | 18 | 1 | 5 | 12 | 12:26 | -14 | 8 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| კ. ლუკარელი (ლივორნო) | 23 |
| ჯილარდინო (პარმა) | 22 |
| მონტელა (რომა) | 21 |
| ტონი (პალერმო) | 18 |
| ვუჩინიჩი (ლეჩე) | 18 |

**XXXVIII ტური**

28-29 მაისი

| | | |
|---|---|---|
| სიენა | : | ატალანტა |
| ფიორენტინა | : | ბრეშა |
| იუვენტუსი | : | კალიარი |
| რომა | : | კიევო |
| პალერმო | : | ლაციო |
| მესინა | : | ლივორნო |
| უდინეზე | : | მილანი |
| ლეჩე | : | პარმა |
| ინტერი | : | რეჯინა |
| ბოლონია | : | სამპდორია |

## სერია B

### XXXIX ტური

**კატანძარო 1:4 ტრევიზო**

0:1 ბელოტო (9), 1:1 კორონა (22), 1:2 გალეოტო (27), 1:3 ბელოტო (48), 1:4 დალ აკუა (67პ)

**ჩეზენა 1:2 ასკოლი**

1:0 კიარამიტარო (19), 1:1, 1:2 ბუკი (27, 52)

**ემპოლი 0:0 ჯენოა**

**მოდენა 0:0 ბარი**

**პერუჯა 1:0 არეცო**

1:0 დი ფრანჩესკო (20)

**პესკარა 1:1 ტერნანა**

0:1 ფრიკი (23), 1:1 ანტონინი (63)

**პიაჩენცა 1:1 ალბინოლეფე**

1:0 მასიელო (30), 1:1 მინელი (68)

**სალერნიტანა 1:0 კატანია**

1:0 ფერარეზე (18)

**ტორინო 1:0 ტრიესტინა**

1:0 პინგა (73პ)

**ვენეცია 0:0 კროტონე**

**ვიჩენცა 0:0 ვერონა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ემპოლი | 39 | 18 | 16 | 5 | 55:31 | 70 |
| ჯენოა | 39 | 17 | 18 | 4 | 64:39 | 69 |
| ტორინო | 39 | 19 | 10 | 10 | 44:29 | 67 |
| პერუჯა | 39 | 18 | 11 | 10 | 53:34 | 65 |
| ტრევიზო | 39 | 18 | 9 | 12 | 57:45 | 63 |
| ასკოლი | 39 | 16 | 11 | 12 | 49:49 | 59 |
| ვერონა | 39 | 14 | 14 | 11 | 57:46 | 56 |
| პიაჩენცა | 39 | 16 | 7 | 16 | 42:42 | 55 |
| მოდენა | 39 | 15 | 13 | 11 | 45:35 | 54 |
| ალბინოლეფე | 39 | 14 | 12 | 13 | 53:46 | 54 |
| ტერნანა | 39 | 13 | 14 | 12 | 47:49 | 53 |
| კატანია | 39 | 12 | 15 | 12 | 39:42 | 51 |
| ბარი | 39 | 12 | 15 | 12 | 36:35 | 50 |
| ვიჩენცა | 39 | 12 | 11 | 16 | 58:62 | 47 |
| სალერნიტანა | 39 | 11 | 14 | 14 | 45:51 | 47 |
| ჩეზენა | 39 | 11 | 13 | 15 | 44:57 | 46 |
| პესკარა | 39 | 10 | 15 | 14 | 41:53 | 45 |
| არეცო | 39 | 10 | 14 | 15 | 46:51 | 44 |
| ტრიესტინა | 39 | 11 | 11 | 17 | 39:52 | 44 |
| კროტონე | 39 | 10 | 14 | 15 | 38:43 | 41 |
| ვენეცია | 39 | 7 | 13 | 19 | 30:52 | 34 |
| კატანძარო | 39 | 5 | 10 | 24 | 36:75 | 25 |

*„მოდენას“ დაკლებული აქვს 4, „კროტონეს“ — 3 და „ბარის“ — 1 ქულა*

## ესპანეთი

**პრიმერადივიზიონი. XXXVII ტური**

### ბარსელონა 3:3 ვილიარეალი
0:1, 0:2 ფორლანი (17, 30პ), 1:2 რონალდინიო (34), 2:2, 3:2 ჟიული (37, 48), 3:3 ფორლანი (70)
**ბარსელონა:** ხორკერა, ბელეტი (გაბრი 75), პუიოლი, ოლეგერი, სილვინიო, მარკესი (ედმილსონი 46), ხავი, დეკო, ჟიული (ლარსონი 79), რონალდინიო, ეტოო
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
**ვილიარეალი:** რეინა, ხავი ვენტა, კიკე ალვარესი, გონსალო, არუაბარენა, სენა, ხოსიკო, ჰექტორ ფონტი (პენია 74), სორინი (კალეხა 49), ხოსე მარი (გიარე 86), ფორლანი
მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი
გაფრთხილება: კიკე ალვარესი, ოლეგერი, დეკო, არუაბარენა, რონალდინიო
მსაჯი: ესკინას ტორესი
88 000 მაყურებელი

### რეალი 0:0 ატლეტიკო
**რეალი:** კასილიასი, სალგადო, ვ. სამუელი, პავონი, რობერტო კარლოსი, გრავესენი, ზიდანი, ბექჰემი (ფიგუ 75), რაული, ოუენი, რონალდო (გუტი 75)
მწვრთნელი: ვანდერლეი ლუშემბურგო
**ატლეტიკო:** ლეო ფრანკო, ველასკო, პერეა, პაბლო, სერხი, კოლსა (რაულ მედინა 69), ლუქსენი, იბაგასა, ანტონიო ლოპესი (ნანო 77), ნუნიესი (ხორხე 52), ფ. ტორესი
მწვრთნელი: სეზარ ფერანდო
გაფრთხილება: ბექჰემი, პერეა, კოლსა, რაულ მედინა
მსაჯი: მუნის ფერნანდესი
75 000 მაყურებელი

### ბეტისი 3:2 სარაგოსა
0:1 სავიო (36), 1:1 ხუანიტო (59), 2:1 ოლივეირა (69), 3:1 ფერნანდო (82), 3:2 ოსკარი (90)
**ბეტისი:** პრატსი, მელი, ხუანიტო, რივასი, ლუის ფერნანდესი, არზუ, მ. ასუნსაო, ხოაკინი (ბენხამინი 80), ფერნანდო, ედსონი (ვარელა 46), რ. ოლივეირა (დანი 89)
მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი
**სარაგოსა:** ლუის გარსია, პონციო, ალვარო, გ. მილიტო, ტოლედო, ჩანი (გალეტი 67), მოვილია, სავატერი (კამაჩო 85), ხენერელო (ოსკარი 71), სავიო, ვილა
მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი
გაფრთხილება: ხენერელო, ჩანი, გალეტი, მილიტო, ხოაკინი, ასუნსაო
მსაჯი: ტურინსო ალვარესი
35 000 მაყურებელი

### ხეტაფე 0:0 სევილია
**ხეტაფე:** არაგონესესი, იანგუასი, ნანო, ბელენგერი (ბელედო 80), პერნია, მარიო კოტელო, რ. ალბიოლი, გაბი, ვივარ დორადო, კრაიოვეანუ (რიკი 76), კომე (დ. რივასი 82)
მწვრთნელი: კიკე ფლორესი
**სევილია:** ნოტარიო, დანიელ ალვესი, ხავი ნავარო, სერხიო რამოსი, დავიდ კასტედო, რენატო, მარტი, ხესუს ნავასი, ბაპტისტა, ადრიანო (ხესული 53), მაკუკულა (დარიო სილვა 76)
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
გაფრთხილება: ნანო, ალბიოლი, პერნია, ვივარ დორადო, გაბი, კომე, რიკი, მარიო კოტელო, დავიდ კასტედო
მსაჯი: გონსალეს ვასკესი
14 500 მაყურებელი

### ოსასუნა 1:1 ესპანიოლი
0:1 მაქსი როდრიგესი (3), 1:1 ლოპო (22ს.კ.)
**ოსასუნა:** ელია, ექსპოზიტო, კრუჩაგა, ხოსეჩო, კორალესი, ვალდო (დავიდ ლოპესი 64), პუნიალი, პაბლო გარსია, დელპორტი (მოა 73), ვებო, მორალესი (ალონზო 79)
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
**ესპანიოლი:** კამენი, ლოპო, პოჩეტინო (სოლდევილა 32), ხარკე, იბარა, ალექსი, დე ლა პენია, დომი, მაქსი როდრიგესი (კორომინასი 82), ამავისკა (ველამასანი 58), ტამუდო
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
გაფრთხილება: დელპორტი, ექსპოზიტო, პუნიალი, მორალესი, პაბლო გარსია, კრუჩაგა, ლოპო, ალექსი
მსაჯი: იტურალდე გონსალესი
14 840 მაყურებელი

# ხალტურის ამბები



AFP ბარსელონიდან

ბარსელონა — ვილიარეალი. მეკარე ხოსე რეინამ ლუდოვიკ ჟიულის ჰეთ თრიქი არ გააკეთებინა

### ლევანტე 0:0 ვალენსია
**ლევანტე:** მორა, დესკარგა, ხესულე, ალექსისი, პინილოსი, ეტიენი (ხუანმა 80), დ. კამაჩო, რივერა, ხოფრე, ნაჩო (სერხიო გარსია 60), კონგო (რეგი 71)
მწვრთნელი: ხოსე ლუის ოლტრა
**ვალენსია:** პალოპი, რუისი, აიალა, ნავარო, კარბონი, ალბელდა, ბარახა (ფ. აურელიო 20), რუფეტე, ვისენტე, აიმარი (დი ვაიო 70), ანგულო (სისოკო 60)
მწვრთნელი: ანტონიო ლოპესი
გაფრთხილება: დესკარგა, კამაჩო, სანდრო, ნავარო
მსაჯი: პუენტეს ლეირა
19 545 მაყურებელი

### ბილბაო 0:2 ნუმანსია
0:1 მერინო (8), 0:2 ტევენეტი (89პ)
**ბილბაო:** არანზუბია, ირაოლა, მურილიო, ლაკრუსი (ოულენ გერერო 52), დელ ორნო, ორბაისი, გურპეგი, არიაგა (სოლაბარიეტა 52), ტიკო, ეზკერო, ლორენტე
მწვრთნელი: ერნესტო ვალვერდე
**ნუმანსია:** ხუანმა, ხუანპა, პინიოლი, ოჩოა, ტარანტინო (გრაფი 79), პალასიოსი, პაბლო სანსი (ანტონიო 74), ველასკო, მერინო (როსი 83), ხუანლუ, ტევენეტი
მწვრთნელი: მაქსიმო ერნანდესი
გაფრთხილება: დელ ორნო, გურპეგი, მურილიო, ოჩოა, ტარანტინო, მერინო, ხუანლუ
მსაჯი: დაუდენ იბანიესი
35 000 მაყურებელი

### დეპორტივო 0:3 მალიორკა
0:1 ფარინოსი (10), 0:2 არანგო (37), 0:3 ოკუბო (68)
**დეპორტივო:** მუნუა, მანუელ პაბლო, ჟორჟე ანდრადე, რომერო (ლუკე 55), კაპდევილა, სერხიო, დუშერი (მაურო სილვა 80), ვიქტორი (ფრანი 46), ვალერონი, მუნიტისი, ხისკო
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
**მალიორკა:** მოია, კორტესი, ბალესტეროსი, იულიანო, პოლი, კამპანო, პერეირა, ფარინოსი (დე ლოს სანტოსი 74), არანგო, ოკუბო (ლუის გარსია 81), ვიქტორი (ტუნი 67)
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
გაფრთხილება: პოლი, ვიქტორი (დეპორტივო), პერეირა, ვიქტორი (მალიორკა), რომერო, დუშერი
მსაჯი: ფერნანდეს ბორბალანი
26 000 მაყურებელი

### ალბასეტე 2:2 სოსიედადი
1:0, 2:0 პაჩეკო (9, 32), 2:1 დე პაულა (82), 2:2 გარი ურანგა (90)
**ალბასეტე:** გასპერჩიჩი, სანტი, გასპარი, აგუსი, მინგო, ფრანსისკო (პაბლო გარსია 78), ვიაუდი, ივან დიასი (კანო 61), პენია, პაჩეკო, მიკელი (გატო 66)
მწვრთნელი: მარტინ მონტეაგუდო
**სოსიედადი:** რიესგო, როსატო (ალონსო 46), ლაბაკა, ბრეშე, ზუბიაურე, გარი ურანგა, კარპინი, მლადენოვიჩი (პრიეტო 46), არანბური (აგირეჩე 78), ბარკერო, დე პაულა
მწვრთნელი: ხოსე ამორორტუ
გაფრთხილება: გასპარი, სანტი, გასპარი
გაძევება: გასპარი (90)
მსაჯი: რუბინოს პერესი
5 000 მაყურებელი

### მალაგა 2:0 რასინგი
1:0 ედგარი (18), 2:0 ამოროზო (90)
**მალაგა:** არნაუ, ხერარდო, სეზარ ნავასი, ფ. სანსი, ვალკარსე, ედგარი (ხუან როდრიგესი 68), ხუანიტო, რომერო (მიჩელი 59), დუდა, მიგელ ანხელი, ბაიანო (ამოროზო 80)
მწვრთნელი: ანტონიო ტაპია
**რასინგი:** ტონიო, პედრო ლოპესი, მორა, ბერტინი, რეგრაგი, პაბლო სიერა, ანდერსონ სილვა, ტორადო, ხონათანი (აგანსო 49), აოზი, არისმენდი (ხუანხო 71)
მწვრთნელი: ნანდო იოსუ
გაფრთხილება: დუდა, მორა, ტორადო, ანდერსონ სილვა
მსაჯი: პინო სამორანო
22 000 მაყურებელი

**მოდით,** თხრობა იმით დავიწყოთ, თუ რა ვიცოდით ამ ტურამდე და რა გაირკვა ბოლოსწინა ტურის გასრულების მერე.

პირველ რიგში, ჩემპიონის ვინაობა ვიცოდით — „ბარსელონამ“ მე-17 ტიტული სეზონის დასრულებამდე ორი ტურით ადრე გაინაღდა. ვიცოდით, რომ ესპანეთიდან ჩემპიონთა ლიგაში გასული მეორე გუნდი „რეალია“. ასევე ვიცოდით, რომ „ალბასეტეს“ და „ნუმანსიას“ პრიმერადივიზიონში ვერანაირი ძალა ველარ დატოვებდა, „რასინგს“ კი გავარდნა აღარ ემუქრებოდა.

ახლა ცოტათი წინ წავიწიოთ და ის ვთქვათ, რა ცოდნა შეგვმატა ამ ტურმა. თითქმის ვერანაირი.

მესამე გავარდნილი გუნდი ან „მალიორკა“ იქნება, ანაც „ლევანტე“. ერთი ეგაა, რომ თუ აქამდე მალიორკელები იყვნენ დამოკიდებულები ლევანტელთა შედეგზე, ახლა პირიქითაა. ამის მიზეზი კი ორი ფრიად უცნაური ანგარიში გახლავთ — კუნძულელებმა ფარინოსის, არანგოსა და პერეირას გოლებით „დეპორტივო“ დასცეს მისსავე მოედანზე, „ლევანტემ“ კი ყოფილ ჩემპიონ „ვალენსიასთან“ არ ინება დამარცხება.

უფრო მნიშვნელოვანი კი ის არის, საჩემპიონთალიგო ოთხეულში ვინ მოხვდება უკვე იქ მყოფი „ბარსელონასა“ და „რეალის“ კვალდაკვალ.

ამის შანსი ოთხ გუნდს დარჩა და ეგებ ისეც მოხდეს, მათგან სამმა — „ბეტისი“, „სევილია“ და „ესპანიოლი“ — ს[illegible] [illegible]რი ქულებით ჩაამთავრ[illegible]. თანაბარქულიანობის [illegible] ესპანეთში უპირატესობა [illegible] თშეხვედრათა შედეგებს [illegible].

უკეთესი მდგომარეობა აქვს „ვილიარეალს“, თუმცა [illegible] როცა „ვილიარეალს“ ამ [illegible] ეძლო ოთხეულში ადგილის [illegible] დება: „კამპ ნოუზე“ ნახევარ საათში ორი გოლი გაიტანა, საქმე კი გამარჯვებამდე ვერ მიიყვანა. [illegible] იქით გაუხდა ქულა გადასარჩენი.

ამ მატჩში ორი რამ[illegible] — დიეგო ფორლანის [illegible] სამუელ ეტოოს წარმატებული [illegible].

[illegible] ისიც ვახსენოთ, [illegible] ამ „ლევანტეს“ რომ [illegible] რომც დამარცხებინა, [illegible] ბი მაინც ჩემპიონთა ლიგის [illegible] რჩებოდნენ, მაგრამ ახლა [illegible] სზე გასვლაც საოცრად [illegible] „ესპანიოლის“ დაწყვის შანსი [illegible] დიდი აქვთ, ხოლო მეშვიდე [illegible] ლით ითამაშებს თუ არა [illegible] სამეფო თასის ფინალის [illegible] დამოკიდებული. თასის ფინალში „[illegible]ტისი“ და „ოსასუნა“ ხვდებიან [illegible] თუ თასი პამპლონელებმა [illegible] ფაზე მხოლოდ მეხუთე და [illegible] ადგილებზე გასულები თამაშებენ.

ერთი სიტყვით და თვალის [illegible] გადავლებით, ბოლო ტურში [illegible] ცეპულ დაპირისპირებათა [illegible] რეს არ უნდა ვუჩივლოთ [illegible] კი ფრეების არნახული [illegible] თაც გამოირჩა — [illegible] ხსენებით, ესპანურ ტურნირ[illegible] რიგის დამთავრება [illegible] [illegible] თამაში, [illegible] მადრიდული [illegible] — [illegible] [illegible] გადაწყვეტა [illegible].

**კოტე კეკელია**

|  | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ბარსელონა | 37 | 25 | 8 | 4 | 73:29 | 44 | 83 | 19 | 14 | 4 | 1 | 40:12 | 28 | 46 | 18 | 11 | 4 | 3 | 33:17 | 16 | 37 |
| 2 რეალი | 37 | 24 | 5 | 8 | 68:31 | 37 | 77 | 19 | 15 | 1 | 3 | 43:12 | 31 | 46 | 18 | 9 | 4 | 5 | 25:19 | 6 | 31 |
| 3 ვილიარეალი | 37 | 17 | 11 | 9 | 65:36 | 29 | 62 | 18 | 13 | 4 | 1 | 37:9 | 28 | 43 | 19 | 4 | 7 | 8 | 28:27 | 1 | 19 |
| 4 ბეტისი | 37 | 16 | 13 | 8 | 61:49 | 12 | 61 | 19 | 12 | 5 | 2 | 36:22 | 14 | 41 | 18 | 4 | 8 | 6 | 25:27 | -2 | 20 |
| 5 სევილია | 37 | 17 | 9 | 11 | 44:39 | 5 | 60 | 18 | 10 | 5 | 3 | 25:17 | 8 | 35 | 19 | 7 | 4 | 8 | 19:22 | -3 | 25 |
| 6 ესპანიოლი | 37 | 16 | 10 | 11 | 52:46 | 6 | 58 | 18 | 11 | 5 | 2 | 32:18 | 14 | 38 | 19 | 5 | 5 | 9 | 20:28 | -8 | 20 |
| 7 ვალენსია | 37 | 13 | 16 | 8 | 53:39 | 14 | 55 | 18 | 10 | 5 | 3 | 30:17 | 13 | 35 | 19 | 3 | 11 | 5 | 23:22 | 1 | 20 |
| 8 ბილბაო | 37 | 14 | 9 | 14 | 59:52 | 7 | 51 | 19 | 11 | 4 | 4 | 39:24 | 15 | 37 | 18 | 3 | 5 | 10 | 20:28 | -8 | 14 |
| 9 სარაგოსა | 37 | 14 | 8 | 15 | 51:54 | -3 | 50 | 18 | 11 | 3 | 4 | 34:22 | 12 | 36 | 19 | 3 | 5 | 11 | 17:32 | -15 | 14 |
| 10 დეპორტივო | 37 | 12 | 14 | 11 | 45:49 | -4 | 50 | 19 | 6 | 7 | 6 | 25:29 | -4 | 25 | 18 | 6 | 7 | 5 | 20:20 | 0 | 25 |
| 11 ატლეტიკო | 37 | 13 | 10 | 14 | 38:32 | 6 | 49 | 18 | 11 | 5 | 2 | 26:11 | 15 | 38 | 19 | 2 | 5 | 12 | 12:21 | -9 | 11 |
| 12 მალაგა | 37 | 14 | 6 | 17 | 38:48 | -10 | 48 | 19 | 8 | 4 | 7 | 19:24 | -5 | 28 | 18 | 6 | 2 | 10 | 19:24 | -5 | 20 |
| 13 ხეტაფე | 37 | 12 | 10 | 15 | 36:44 | -8 | 46 | 19 | 11 | 4 | 4 | 23:12 | 11 | 37 | 18 | 1 | 6 | 11 | 13:32 | -19 | 9 |
| 14 სოსიედადი | 37 | 13 | 7 | 17 | 47:56 | -9 | 46 | 18 | 9 | 3 | 6 | 21:24 | -3 | 30 | 19 | 4 | 4 | 11 | 26:32 | -6 | 16 |
| 15 ოსასუნა | 37 | 12 | 10 | 15 | 47:64 | -17 | 46 | 19 | 9 | 6 | 4 | 29:24 | 5 | 33 | 18 | 3 | 4 | 11 | 18:40 | -22 | 13 |
| 16 რასინგი | 37 | 11 | 8 | 18 | 40:58 | -18 | 41 | 18 | 7 | 6 | 5 | 24:23 | 1 | 27 | 19 | 4 | 2 | 13 | 16:35 | -19 | 14 |
| 17 მალიორკა | 37 | 10 | 8 | 19 | 41:62 | -21 | 38 | 18 | 6 | 4 | 8 | 27:30 | -3 | 22 | 19 | 4 | 4 | 11 | 14:32 | -18 | 16 |
| 18 ლევანტე | 37 | 9 | 10 | 18 | 38:54 | -16 | 37 | 19 | 6 | 6 | 7 | 19:20 | -1 | 24 | 18 | 3 | 4 | 11 | 19:34 | -15 | 13 |
| 19 ალბასეტე | 37 | 6 | 10 | 21 | 33:56 | -23 | 28 | 19 | 4 | 7 | 8 | 17:22 | -5 | 19 | 18 | 2 | 3 | 13 | 16:34 | -18 | 9 |
| 20 ნუმანსია | 37 | 6 | 10 | 21 | 29:60 | -31 | 28 | 18 | 4 | 8 | 6 | 18:22 | -4 | 20 | 19 | 2 | 2 | 15 | 11:38 | -27 | 8 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ეტოო (ბარსელონა) | 24 |
| ფორლანი (ვილიარეალი) | 23 |
| რ. ოლივეირა (ბეტისი) | 22 |
| რონალდო (რეალი) | 20 |
| ბაპტისტა (სევილია) | 18 |

### XXXVIII ტური
28-29 მაისი

| | | |
|---|---|---|
| რასინგი | : | ალბასეტე |
| ესპანიოლი | : | ბილბაო |
| ნუმანსია | : | დეპორტივო |
| მალიორკა | : | ბეტისი |
| სარაგოსა | : | რეალი |
| ატლეტიკო | : | ხეტაფე |
| სევილია | : | მალაგა |
| ვალენსია | : | ოსასუნა |
| სოსიედადი | : | ბარსელონა |
| ვილიარეალი | : | ლევანტე |

## სეგუნდადივიზიონი
**XXXVIII ტური**

### ტენერიფე 2:0 კადისი
1:0, 2:0 გავილანი (34, 40)

### ეიბარი 1:0 სპორტინგი
1:0 ინიგო (87)

### ლეიდა 2:0 ხიმნასტიკი
1:0 ჩემა (56), 2:0 კრუსატი (62)

### პონტევედრა 3:1 სელტა
1:0 რუბენი (2), 1:1 ხანდრო (25), 2:1 ხავი როდრიგესი (71), 3:1 ხუან ხესუსი (89)

### ელჩე 0:2 სალამანკა
0:1 ხაიმე (12), 0:2 დეუსი (67)

### ვალიადოლიდი 3:0 მალაგა B
1:0 ლოსადა (5), 2:0, 3:0 ვიქტორი (9, 56პ)

### ხერესი 0:0 უელვა

კორდობა 2:1 პოლი ეხიდო
1:0 ანდერსონი (56), 1:1 კალადო (68პ), 2:1 ბერტრანი (76)

### სიუდად მურსია 3:0 ფეროლი
1:0 გუიზა (21), 2:0 გიბანელი (78), 3:0 კუევასი (89)

### ტერასა 0:2 მურსია
0:1 ხულიო ალვარესი (72პ), 0:2 ივან ალონსო (87)

### ალმერია 0:1 ალავესი
0:1 რუბენ ნავარო (81)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალავესი | 38 | 22 | 6 | 10 | 58:42 | 72 |
| სელტა | 38 | 20 | 10 | 8 | 50:32 | 70 |
| კადისი | 38 | 19 | 11 | 8 | 61:28 | 68 |
| უელვა | 38 | 18 | 11 | 9 | 40:25 | 65 |
| ეიბარი | 38 | 18 | 11 | 9 | 49:37 | 65 |
| ტენერიფე | 38 | 13 | 17 | 8 | 38:35 | 56 |
| ელჩე | 38 | 15 | 9 | 14 | 47:46 | 54 |
| ვალიადოლიდი | 38 | 15 | 9 | 14 | 47:49 | 54 |
| სპორტინგი | 38 | 14 | 11 | 13 | 39:34 | 53 |
| ხიმნასტიკი | 38 | 14 | 11 | 13 | 40:39 | 53 |
| ხერესი | 38 | 12 | 16 | 10 | 33:32 | 52 |
| მურსია | 38 | 14 | 8 | 16 | 38:49 | 50 |
| ლეიდა | 38 | 13 | 10 | 15 | 43:47 | 49 |
| ფეროლი | 38 | 12 | 12 | 14 | 50:46 | 48 |
| პოლი ეხიდო | 38 | 10 | 15 | 13 | 34:40 | 45 |
| [illegible]აგა B | 38 | 11 | 10 | 17 | 29:47 | 43 |
| [illegible]ად მურსია | 38 | 9 | 15 | 14 | 46:54 | 42 |
| [illegible]ნკა | 38 | 11 | 8 | 19 | 44:54 | 41 |
| [illegible]ა | 38 | 10 | 11 | 17 | 31:42 | 41 |
| [illegible]ბა | 38 | 10 | 9 | 19 | 35:45 | 39 |
| [illegible] | 38 | 10 | 8 | 20 | 39:56 | 38 |
| [illegible]ტევედრა | 38 | 8 | 12 | 18 | 44:56 | 36 |

# ყოფნა-არყოფნა
## დარჩენილი ერთი ტურია

**საფრანგეთი**

I დივიზიონი. XXXVII ტური

**რენი 4:0 სტრასბური**
1:0 მაულიდა (43), 2:0 დიდო (58), 3:0 ა. ფრეი (60), 4:0 კალსტრიომი (84)

**ტულუზი 2:3 კაენი**
1:0, 2:0 დ. მორეირა (36, 57), 2:1 მაზური (70), 2:2 ბენ ასკარი (78), 2:3 ენგბარი (81)

**სენტ ეტიენი 2:0 ისტრი**
1:0 პიკიონი (69), 2:0 ფეინდუნო (75)

**ნიცა 1:0 ოსერი**
1:0 აგალი (29)

**მეცი 3:2 პსჟ**
1:0 სინიორინო (7), 2:0 ობრანიაკი (27), 2:1 პიერ-ფანფანი (51), 2:2 იეპესი (58), 3:2 ტუმი (73)

**სოშო 1:0 ნანტი**
1:0 ილანი (11)

**ბორდო 1:1 მონაკო**
1:0 შამახი (80), 1:1 სკილაჩი (90)

**ბასტია 3:1 ლანსი**
1:0 ი. ბაჯი (15), 1:1 კუზინი (20პ), 2:1 ი. ბაჯი (35), 3:1 ჩიმბონდა (56)

**მარსელი 0:1 ლიონი**
0:1 ჟუნინიო პერნამბუკანო (55)

**ლილი 0:2 აიაჩო**
0:1 უადა (12), 0:2 რობინი (71)

**ბოლო** ტურის შემდეგ ცხრილის ქვედა ნაწილში ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა — ფაქტობრივად, მთელი ჩემპიონატის მანძილზე ერთ-ერთმა გამოკვეთილმა აუტსაიდერმა „კაენმა“ ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვა და ახლა ელიტ ლიგაში დარჩენის ჩინებული შანსი აქვს, რადგანაც ბოლო ტურში უკვე გავარდნილ „ისტრს“ სტუმრობს და მოგება არ გაუჭირდება.

აღსანიშნავია, რომ „ტულუზი“ დანიელ მორეირას დუბლით, ერთი შეხედვით დამაჯერებლად იგებდა, მაგრამ „კაენის“ ფეხბურთელებმა ბოლო 20 წუთში სამი გოლის გატანა შეძლეს. მასპინძლებისთვის ეს ზედიზედ მე-7 მარცხი იყო.

ძალიან საჭირო გამარჯვება მოიპოვა „ბასტიამაც“. კუნძულელებმა საკუთარ კედლებში ტრადიციულად, დამაჯერებლად იბურთავეს და თუ ბოლო ტურში, გასვლაზე უმოტივაციო „სტრასბურს“ დაამარცხებენ, ეგებ გავარდნას გადაურჩნენ კიდეც.

წარმატებით ითამაშა კიდევ ერთმა აუტსაიდერმა „აიაჩომ“, როლან კურბისის შეგირდებმა მეორეადგილოსანი „ლილი“ მისსავე მოედანზე დაამარცხეს. პირველი გოლი უადას, ხოლო მეორე რობინის მშვენიერ შორეულ დარტყმას მოჰყვა.

„ლილის“ წარუმატებლობა ვერ ისარგებლა „მონაკომ“. დიდიე დეშანის შეგირდები ბოლო წამებამდე აგებდნენ გადარჩენისთვის მებრძოლ „ბორდოსთან“, მაგრამ დამატებულ წუთებზე სებასტიან სკილაჩის თავურმა „ლუი II“-ის ბინადრებს ქულა მოუტანა.

შედარებით კარგ მდგომარეობაშია „მეცი“, რომელმაც დაძაბულ ბრძოლაში სძლია პსჟ-ს და ბოლო ტურში „ნანტთან“ ფრეც ჰყოფნის. თუმც დიდი შანსია, „მეცი“ წაგების შემთხვევაშიც დარჩეს ლიგაში.

უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდა „ნანტი“, რომელიც უმოტივაციო „სოშოს“ კინკილა ქულასაც კი ვერ გამორჩა. ყველაფერი მე-11 წუთზე გადაწყდა — ილანის დარტყმის შემდეგ სტუმართა ახალბედა გოლკიპერი ალექსის ტებო შეცდა და ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა. მატჩის დასრულების მერე გაბრაზებული „ნანტის“ ქომაგები მოედანზე შეიჭრნენ და არეულობა გამოიწვიეს. რამდენიმე სამართალდამცავი საავადმყოფოშიც მოხვდა.

„ნიცამ“ ვიქტორ აგალის გოლით „ოსერი“ დაამარცხა და ელიტაში ადგილი გაინაღდა, გი რუს გუნდს კი უეფას თასზე გასვლის მიზერული შანსიღა დარჩა.

ჩემპიონმა „ლიონმა“ მორიგი სამი ქულა მიითვალა — პოლ ლე გუენის გუნდმა ამჯერად „მარსელი“ არ დაინდო მატჩის ერთადერთი და ძალიან ლამაზი გოლი ჟუნინიომ გაიტანა. ბრაზილიელი რამდენიმე მცველს ბავშვივით გაუსწორდა და მასპინძელთა მეკარე უშანსოდ დატოვა. „მარსელისთვის“ ეს ზედიზედ მესამე მარცხი იყო „ველოდრომზე“, რის გამოც შესაძლოა, კლუბი ევროთასების მიღმა დარჩეს.

ამით ისარგებლა „რენმა“, რომელმაც „სტრასბური“ გაანადგურა და მეოთხე ადგილზე დამკვიდრდა. მასპინძლებმა მეტოქეს ოთხი უპასუხო გოლი გაუტანეს. აქედან ერთი ალექსანდრ ფრეისა იყო. მას ჩემპიონატში ახლა 20 გოლი მოუგროვდა და საუკეთესო ბომბარდირთა სიას დამაჯერებლად ლიდერობს.




მარსელი — ლიონი. ბენუა პედრეტის (№17) „მარსელი“ მიკაელ ესიენის ჩემპიონ „ლიონს“ ამაოდ ეჭიდავა

**გიორგი ძაძამიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 37 | 22 | 12 | 3 | 56:21 | 78 |
| ლილი | 37 | 17 | 13 | 7 | 49:28 | 64 |
| მონაკო | 37 | 15 | 17 | 5 | 51:34 | 62 |
| რენი | 37 | 15 | 10 | 12 | 47:41 | 55 |
| მარსელი | 37 | 15 | 9 | 13 | 44:39 | 54 |
| სენტ ეტიენი | 37 | 12 | 16 | 9 | 46:33 | 52 |
| ოსერი | 37 | 14 | 10 | 13 | 47:44 | 52 |
| სოშო | 37 | 13 | 11 | 13 | 41:38 | 50 |
| ლანსი | 37 | 12 | 13 | 12 | 44:39 | 49 |
| პსჟ | 37 | 11 | 15 | 11 | 39:41 | 48 |
| ტულუზი | 37 | 12 | 10 | 15 | 36:42 | 46 |
| სტრასბური | 37 | 11 | 12 | 14 | 40:43 | 45 |
| ნიცა | 37 | 10 | 15 | 12 | 3845 | 45 |
| მეცი | 37 | 10 | 14 | 13 | 33:44 | 44 |
| ბორდო | 37 | 8 | 19 | 10 | 34:38 | 43 |
| აიაჩო | 37 | 9 | 15 | 13 | 33:39 | 42 |
| კაენი | 37 | 10 | 12 | 15 | 34:57 | 42 |
| ბასტია | 37 | 11 | 8 | 18 | 32:46 | 41 |
| ნანტი | 37 | 9 | 13 | 15 | 32:38 | 40 |
| ისტრი | 37 | 5 | 14 | 18 | 22:48 | 29 |

II დივიზიონი. XXXVII ტური

ბრესტი — ლორიანი 0:0; შატორუ — ტრუა 3:1; კრეტეი — ლავალი 3:1; გრენობლი — ნანსი 1:1; გენიონი — ნიორი 2:1; ლე ავრი — გენგამი 2:2; ლე მანი — ამიენი 1:1; მონპელიე — დიჟონი 4:2; რეიმსი — კლერმონი 3:0; სედანი — ანჟე 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნანსი | 37 | 20 | 8 | 9 | 53:33 | 68 |
| ლე მანი | 37 | 20 | 7 | 10 | 51:30 | 67 |
| ტრუა | 37 | 19 | 8 | 10 | 59:47 | 65 |
| სედანი | 37 | 16 | 9 | 12 | 37:36 | 57 |
| დიჟონი | 37 | 14 | 14 | 9 | 44:34 | 56 |
| მონპელიე | 37 | 15 | 10 | 12 | 43:37 | 55 |
| ბრესტი | 37 | 13 | 16 | 8 | 3833 | 55 |
| შატორუ | 37 | 13 | 15 | 9 | 49:42 | 54 |
| გენგამი | 37 | 14 | 11 | 12 | 50:42 | 53 |
| გრენობლი | 37 | 12 | 12 | 13 | 44:47 | 48 |
| გენიონი | 37 | 12 | 12 | 13 | 30:36 | 48 |
| ლორიანი | 37 | 13 | 8 | 16 | 45:50 | 47 |
| ლავალი | 37 | 13 | 7 | 17 | 43:51 | 46 |
| ამიენი | 37 | 10 | 14 | 13 | 37:41 | 44 |
| კრეტეი | 37 | 10 | 13 | 14 | 3838 | 43 |
| რეიმსი | 37 | 10 | 13 | 14 | 34:51 | 43 |
| ლე ავრი | 37 | 11 | 9 | 17 | 27:36 | 42 |
| კლერმონი | 37 | 8 | 14 | 15 | 34:39 | 38 |
| ანჟე | 37 | 8 | 14 | 15 | 31:42 | 38 |
| ნიორი | 37 | 8 | 8 | 21 | 32:54 | 32 |

# დინამოს რომანცევის წასვლა მოუხდა
## ლოკომოტივი ერთადერთია

**რუსეთი**

პრემიერლიგა. IX ტური

**რუბინი 1:1 ტერეკი**
1:0 ჩიჟეკი (2), 1:1 ფედკოვი (79)

**შინიკი 1:0 ზენიტი**
1:0 სპაჰიჩი (68)

**მოსკოვი 4:1 ტომი**
1:0 ბრაკამონტე (16), 2:0, 3:0, 4:0 კირიჩენკო (18, 42პ, 61პ), 4:1 კლიმოვი (79)

**როსტოვი 0:3 დინამო**
0:1 სისერუ (38), 0:2, 0:3 დერლეი სილვა (67პ, 80)

**ტორპედო 0:1 ლოკომოტივი**
0:1 იზმაილოვი (13)

**ამკარი 0:0 ალანია**

**სატურნი 1:1 კრილია**
1:0 შიროკოვი (31), 1:1 ბობერი (86)

**სპარტაკი 1:3 ცსკა**
1:0 ბოიარინცევი (28), 1:1 ალდონინი (51), 1:2 ვ. ბერეზუცკი (59), 1:3 ოლიჩი (83)

**მეცხრე** ტური მიილია, დონის „როსტოვმა“ კი ჯერ გამარჯვების გემო არ იცის. სეზონის დასაწყისშივე მწვრთნელების ხშირმა ცვლამ, როგორც ჩანს, გუნდზე ძალიან ცუდად იმოქმედა. როსტოველთა ამჟამინდელი თავკაცი გენადი სტეპუშკინი „დინამოსთან“ მარცხის შემდეგ გაოგნებული იყო. მისმა ფეხბურთელებმა 22-ჯერ დაარტყეს სტუმართა კარში, მაგრამ ერთიც ვერ გაიტანეს. სტუმართა მეკარე რომან ბერეზოვსკი „ხტუნაობის“ ხასიათზე იყო და ბურთი კარში არ შეუშვა.

მოსკოვის „დინამომ“ პირველი მატჩი ითამაშა ოლეგ რომანცევის გათავისუფლების შემდეგ და ზედიზედ ოთხი მარცხის მერე როსტოვში მოიგო. გუნდი ანდრეი კობელევმა ჩაიბარა და ხელიც დაატყო. მოსკოველები სისერუმ შესვენებამდე დააწინაურა, მეორეში კი დერლეი სილვამ პენალტით მეორე გაიტანა. ბრაზილიელისთვის ეს პირველი სამსეზონო გოლი გამოდგა. დერლეიმ მალე კიდევ ერთი მიაყოლა და „როსტოვს“ თამაშის გადარჩენის შანსი არ დაუტოვა.

უკვე სამი წელია, სანკტ პეტერბურგის „ზენიტი“ იაროსლავლში ვერ იგებს, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ „ზენიტმა“ „შინიკს“ სტუმრად სათასო მატჩში 4:1 მოუგო. ამჯერად, ნევისპირელები მეკარე ჩენტოფალსკის შეცდომის გამო დამარცხდნენ. ჩენტოფალსკიმ ბურთის მოხელთება სცადა, მაგრამ ხელიდან გაუვარდა, ემირ სპაჰიჩმა კი ამით ისარგებლა და გაიტანა. აღსანიშნავია, რომ სპაჰიჩმა „ზენიტი“ შარშანაც გაამწარა, როცა ნევისპირელ სტუმრებთან შეხვედრაში დუბლი შეასრულა.




მოსკოველმა დმიტრი კირიჩენკომ ტომსკელებს ჰეთ თრიქით გაისტუმრა

„მოსკოვმა“ მეხუთე მატჩი მოიგო და, ბევრისთვის მოულოდნელად, ლიდერებში გაერია. მასპინძლებმა „ტომთან“ პირველივე ტაიმში გაარკვიეს გასარკვევი. ანგარიში არგენტინელმა ჰექტორ ბრაკამონტემ გახსნა, რასაც დმიტრი კირიჩენკომ ორი მიაყოლა, შესვენების შემდეგ კი მანვე მესამეც გაიტანა და ჰეთ თრიქი მიითვალა. ტომსკელთაგან კი კლიმოვმა მოახერხა ერთის გაქვითვა.

გროზნის „ტერეკმა“ მეკარე ნიგმატულინის წყალობით ყაზანიდან ქულა წაიღო. „რუბინი“ მეორე წუთზე მარტინ ჩიჟეკის გოლით დაწინაურდა, მეორე ტაიმის დასაწყისში კი რონის შესრულებული პენალტი ნიგმატულინმა მოიგერია, რომლის მშობლებიც ყაზანში ცხოვრობენ. ტერეკელ ფედკოვს საპასუხო გოლისას გაუმართლა, რადგან მისი დარტყმული ბურთი ჯერ ხარიხას მოხვდა, მერე მეკარე კოლინკოს ზურგში და კარში ისე შევარდა.

მოსკოვის „ლოკომოტივი“ თანაქალაქელ „ტორპედოს“ ხელოვნურსაფარიან მოედანზე ეწვია და მარატ იზმაილოვის გოლით დაამარცხა. ცხრილში მეზობელი გუნდების მატჩმა სანახაობრივად არ ივარგა. ტორპედოელები „ხელოვნურზე“ თავს უკეთ გრძნობდნენ და სათამაშო უპირატესობაც ჰქონდათ, მაგრამ ნაღდი საგოლე მომენტი ვერ შექმნეს.

„ლოკომოტივი“ ახლა ერთადერთი დაუმარცხებელი გუნდია პრემიერლიგაში.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მოსკოვი | 9 | 5 | 3 | 1 | 10:2 | 18 |
| ლოკომოტივი | 9 | 4 | 5 | 0 | 10:2 | 17 |
| სპარტაკი | 9 | 5 | 1 | 3 | 16:9 | 16 |
| ტორპედო | 8 | 4 | 2 | 2 | 12:5 | 14 |
| ზენიტი | 9 | 4 | 2 | 3 | 15:10 | 14 |
| კრილია | 9 | 3 | 4 | 2 | 89 | 13 |
| რუბინი | 9 | 3 | 3 | 3 | 10:11 | 12 |
| დინამო | 9 | 4 | 0 | 5 | 11:16 | 12 |
| ცსკა | 6 | 3 | 2 | 1 | 11:2 | 11 |
| სატურნი | 8 | 3 | 2 | 3 | 86 | 11 |
| ამკარი | 9 | 2 | 5 | 2 | 6:8 | 11 |
| შინიკი | 8 | 2 | 4 | 2 | 7:7 | 10 |
| ტომი | 9 | 2 | 3 | 4 | 6:11 | 9 |
| ალანია | 9 | 2 | 2 | 5 | 8:17 | 8 |
| ტერეკი | 9 | 2 | 2 | 5 | 6:15 | 8 |
| როსტოვი | 9 | 0 | 2 | 7 | 4:18 | 2 |

# კმაყოფილი ძარცვა
## თასი წავიდა სხვისას






AFP კარდოფოტოდან

პოლ სქოულზს იენს ლემანმა პენალტი აუღო და... „არსენალმაც" ასოციაციის თასი ჩაიხუტა

### ინგლისი

**ასოციაციის თასის ფინალი**

**არსენალი 0:0(პენ.5:4) მანჩესტერი**

**არსენალი:** ი. ლემანი, ლორენი, კ. ტურე, სენდეროსი, ეშლი კოული, ფაბრეგასი (ვან პერსი 86), ვიეირა, ჟილბერტო სილვა, პირესი (ედუ 105), ბერხკამპი (ლიუნგბერგი 65), რეიესი
**მწვრთნელი:** არსენ ვენგერი
**მანჩესტერი:** კეროლი, ვ. ბრაუნი, რ. ფერდინანდი, მ. სილვესტრი, ოში (კ. ფორჩუნი 77), ფლეტჩერი (გიგზი 91), როი კინი, სქოულზი, კ. რონალდო, ვან ნისტელროი, რუნი
**მწვრთნელი:** ალექს ფერგიუსონი
**გაფრთხილება:** კოული, სილვესტრი, ლორენი, სქოულზი, რეიესი, ვიეირა, რეიესი
**გაძევება:** რეიესი (120)
**მსაჯი:** სტაილზი
72 000 მაყურებელი

**„არსენალმა"** მოიგო ინგლისის ისტორიაში პირველი თასის ფინალი, რომლის ბედიც პენალტებით გადაწყდა. „მანჩესტერ იუნაიტედი" თამაშში უკეთესი იყო, ვიდრე არსენ ვენგერის გუნდი, მაგრამ „არსენალმა" სეზონში სამი წაგების შემდეგ, პენალტებით აილო რევანში და ასოციაციის თასიც ასწია.

ცხრა კაცმა პენალტი გაიტანა და ვერ გაიტანა მხოლოდ პოლ სქოულზმა — რიგით მეორე დარტყმა იენს ლემანმა მოიგერია.

გაზეთმა „სანმა" ამ ამბავს „კმაყოფილი ძარცვა" უწოდა. ლემანმა თამაშისასაც ორი მკვდარი ბურთი აუღო მანჩესტერელებს და ამას გარდა, მისი კარი ორჯერ იხსნა ძელმა.

„არსენალმა" საუცხოოდ დაიწყო თამაში, მაგრამ მალელა გამოჩნდა, რომ „მეთოფენი" მეორე ნომრით იქნებოდნენ ამ თამაშში. უკვე მეექვსე წუთზე „მანჩესტერს" წინ გასვლა შეეძლო — სქოულზმა თავური შეაგება კრისტიანო რონალდოს ჩაწოდებულს.

თავისებურად გამოიჩინა თავი მეკარე როი კეროლმაც, რომელიც ერთ შორეულ ბურთს ასცდა, თუმცა მცველებმა მოასწრეს და ხოსე ანტონიო რეიესს არ გაატანინეს.

ყვითლები თავიდანვე იყო — ჯერ ეშლი კოულმა მიიღო, მერე მიკაელ სილვესტრმა. 28-ე წუთზე უეინ რუნის ნაღდი გოლი აუღო ლემანმა. გადმოვარდნილი ბურთი კარში რიო ფერდინანდმა შეაგდო, მაგრამ მსაჯმა რობ სტაილზმა თამაშგარე აღუნიშნა. სულ მალე ლემანი კვლავ წინ აღუდგა რუნის.

საერთოდ, თამაშის პირველი საათის განმავლობაში მინდორზე ერთი გუნდი იყო — „მანჩესტერმა" ისეთივე შტურმით დაიწყო მეორე ტაიმი, როგორითაც პირველი დაამთავრა. რაც გინდა თქვი და „მეთოფეებს" ძალიან აკლდათ ტიერი ანრი.

როცა თამაშის დასრულებამდე თხუთმეტი წუთით ადრე რუნიმ შეუჩერებლად დაარტყა, ლემანი თითებით მისწვდა ბურთს, მაგრამ ეს არაფერი იყო იმ ორ საგოლე შანსთან შედარებით, „მანჩესტერს" რომ ჰქონდა ბოლო ხუთ წუთში: პირველი — როი კინის მიერ ხუთიოდ მეტრიდან დარტყმული პატრიკ ვიეირამ გამოიტანა ხაზიდან, მეორე კი ფრედი ლიუნგბერგმა ვან ნისტელროის თავურის შემდეგ.

„არსენალმა" პირველად დაარტყა კარში შეხვედრის 97-ე წუთზე. ეს გააკეთა დამატებით დროში შემოსულმა რობინ ვან პერსიმ. საერთო სურათი კი ძველებური იყო. სულ ბოლო წუთზე მსაჯ სტაილზს შეცდომა მოუვიდა, რეისს ტყუილად მისცა მეორე ყვითელი.

ხოსე ანტონიო რეიესი გამოდგა ისტორიაში მეორე ფეხბურთელი, თასის ფინალიდან რომ გააძევეს, პენალტები კი საერთოდაც პირველად შეიქნა საჭირო ამ დიდ ისტორიაში.

ალექს ფერგიუსონი [illegible] ლებული [illegible] ზე, თავს [illegible]

გამარჯვებულმა [illegible] კი თქვა: „ძალიან [illegible] გუნდი ასე აგებს, მაგრამ [illegible] შინაარსიანი თამაში იყო [illegible] ნდოდა, რომ პირველებს [illegible] შა გოლი. საუცხოოა, რომ [illegible] ვე პენალტი გავიტანეთ."

ფერგიუსონმა კი განაცხადა: „მე ვამაყობ ამ ბიჭებით. [illegible] ეკუთვნოდათ. კარგი გუნდი [illegible] მთელ წელიწადს ნაღდი [illegible] ვერ გაგვქონდა, მაგრამ [illegible] ნათელია. გვყავს რუნი და [illegible] დო და გვაქვს დიდი [illegible]".

**ირაკლი გამყრელიძე**

**მეორე ლიგა. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩები**

**მაკლსფილდი 1:1 *ლინკოლნი*** (0:1)
***საუთენდი* 1:0 ნორთჰემპტონი** (0:0)

# რეინჯერსი 93:92 სელტიკი

### შოტლანდია

**პრემიერლიგა. XXXVIII ტური**

**ინვერნესი 0:1 დანდი იუნ.**
0:1 რობსონი (823)

**კილმარნოკი 4:0 დანფერმლაინი**
1:0 ლოკი (26), 2:0 დოდსი (46), 3:0 ბოიდი (54), 4:0 ა. მაკდონალდი (64)

**ლივინგსტონი 1:1 დანდი**
0:1 გ. მაკდონალდი (18), 1:1 ისტონი (26)

**აბერდინი 2:0 ჰართსი**
1:0 ბირნი (45), 2:0 ადამსი (49)

**მოზერუელი 2:1 სელტიკი**
0:1 კ. სატონი (29), 1:1, 2:1 ს. მაკდონალდი (88, 90)

**ჰიბერნიანი 0:1 რეინჯერსი**
0:1 ნოვო (59)

**სასწაულის** ავტორს, რომელმაც „რეინჯერსი" ორ წუთში გააჩემპიონა სკოტ მაკდონალდი ჰქვია. მელბურნში დაბადებულმა ავსტრალიელმა ფორვარდმა მატჩის მიწურულს წყვილი გოლი გაუტანა „სელტიკს" და „რეინჯერსს" პირველი ადგილი ხონჩით მიართვა.

როგორც წესი, ბოლო ტურის თამაშები ერთ დროს დაიწყო. მოზერუელში „სელტიკი" პირველ ტაიმში კრის სატონმა დააწინაურა, „ჩაფრებმა" კი ედინბურგში, „ჰიბერნიანთან" შესვენებამდე გოლი ვერ გაიტანეს. ასეთ ვითარებაში მარტინ ონილის გუნდის ჩემპიონობა გადაწყვეტილი იყო, თუმც ედინბურგში, მეორე ტაიმის 59-ე წუთზე ნაჩო ნოვომ „რეინჯერსი" დააწინაურა. ამ მომენტშიც „სელტიკის" პირველობას არაფერი ემუქრებოდა, მაგრამ...

„მოზერუელის" ავსტრალიელმა თავდამსხმელმა სკოტ მაკდონალდმა 88-ე წუთზე ბურთი მკერდით მიიღო და საშინელი ძალით დაჰკრა — 1:1. აქ უკვე „სელტიკი" შეფუცხუნდა, რადგან „რეინჯერსთან" თანაბარქულიანობის (93-93) შემთხვევაში ბურთების უარესი სხვაობით მარტინ ონილის გუნდი პირველ ადგილს კარგავდა. სელტიკელები „მოზერუელის" საჯარიმოს მიაწყდნენ, რითაც მასპინძლებმა ისარგებლეს და კვლავ სკოტ მაკდონალდი — მისი დარტყმული ბურთი მცველის ფეხიდან „სელტიკის" კარში აღმოჩნდა — 2:1 და „რეინჯერსი" ჩემპიონია!

ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ნაკრების თავდამსხმელმა შოთა არველაძემ „რეინჯერსული" კარიერა ოქროთი დაასრულა: გარდა ამისა, „ჩაფრებმა" წლეულს ლიგის თასიც მოიგეს და ფინალში სწორედ... „მოზერუელი" დაამარცხეს.

**მაშა ხუციშვილი**

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **რეინჯერსი** | 38 | 29 | 6 | 3 | 78:22 | 93 |
| სელტიკი | 38 | 30 | 2 | 6 | 85:35 | 92 |
| ჰიბერნიანი | 38 | 18 | 7 | 13 | 64:57 | 61 |
| აბერდინი | 38 | 18 | 7 | 13 | 44:39 | 61 |
| ჰართსი | 38 | 13 | 11 | 14 | 43:41 | 50 |
| კილმარნოკი | 38 | 15 | 4 | 19 | 49:55 | 49 |
| მოზერუელი | 38 | 13 | 9 | 16 | 46:49 | 48 |
| ინვერნესი | 38 | 11 | 11 | 16 | 41:47 | 44 |
| დანდი იუნ. | 38 | 8 | 12 | 18 | 41:59 | 36 |
| ლივინგსტონი | 38 | 9 | 8 | 21 | 34:61 | 35 |
| დანფერმლაინი | 38 | 8 | 10 | 20 | 34:60 | 34 |
| დანდი | 38 | 8 | 9 | 21 | 37:71 | 33 |




სკოტ მაკდონალდი, „სელტიკის" დამაქცევარი

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ნორვეგია. ტიპლიგა | | | | | | |
| | | 23 მაისი | | | | | | |
| 21:00 | 217 | [illegible] | 2.25 | 3.3 | 2.9 | 1.33 | 1.26 | 1.54 |
| | | შვედეთი. ალსვენსკა | | | | | | |
| | | 23 მაისი | | | | | | |
| 21:30 | 233 | [illegible] | 2.45 | 3.3 | 2.5 | 1.4 | 1.23 | 1.42 |
| 21:00 | 234 | [illegible] | 1.6 | 3.4 | 5.0 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| 22:00 | 235 | [illegible] | 1.5 | 3.8 | 5.5 | 1.07 | 1.17 | 2.24 |
| | | 24 მაისი | | | | | | |
| 21:00 | 236 | [illegible] | 1.75 | 3.4 | 4.0 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| | | ჩილე | | | | | | |
| | | 23 მაისი | | | | | | |
| 23:30 | 349 | [illegible] | 2.6 | 3.3 | 2.3 | 1.45 | 1.22 | 1.35 |
| | | ჩემპიონთა ლიგა | | | | | | |
| | | 25 მაისი | | | | | | |
| 22:45 | 350 | მილანი-ლივერპული | 2.0 | 3.0 | 3.9 | 1.2 | 1.32 | 1.69 |
| | | ჩოგბურთი. კაცები Roland Garros | | | | | | |
| | | 23 მაისი | | | | | | |
| [illegible] | 400 | [illegible] | 1.02 | 8.5 | | | | |
| [illegible] | 401 | [illegible] | 1.4 | 2.5 | | | | |
| [illegible] | 402 | [illegible] | 1.18 | 3.8 | | | | |
| [illegible] | 403 | [illegible] | 1.55 | 2.35 | | | | |
| [illegible] | 404 | [illegible] | 1.1 | 4.5 | | | | |
| [illegible] | 405 | [illegible] | 1.55 | 2.1 | | | | |
| [illegible] | 406 | [illegible] | 1.04 | 6.0 | | | | |
| [illegible] | 407 | [illegible] | 1.04 | 6.0 | | | | |
| [illegible] | 408 | [illegible] | 1.6 | 2.0 | | | | |
| [illegible] | 409 | [illegible] | 1.1 | 5.5 | | | | |
| [illegible] | 410 | [illegible] | 1.1 | 4.5 | | | | |
| [illegible] | 411 | [illegible] | 1.07 | 5.5 | | | | |
| [illegible] | 412 | [illegible] | 1.18 | 3.8 | | | | |
| [illegible] | 413 | [illegible] | 1.85 | 1.7 | | | | |
| [illegible] | 414 | [illegible] | 1.3 | 3.0 | | | | |
| [illegible] | 415 | [illegible] | 1.35 | 2.8 | | | | |
| [illegible] | 416 | [illegible] | 1.75 | 1.9 | | | | |
| [illegible] | 417 | [illegible] | 1.06 | 5.5 | | | | |
| [illegible] | 418 | [illegible] | 1.5 | 2.2 | | | | |
| [illegible] | 419 | [illegible] | 1.05 | 6.0 | | | | |
| [illegible] | 420 | [illegible] | 1.12 | 4.5 | | | | |
| 13:00 | 421 | [illegible] | 1.6 | 2.0 | | | | |
| [illegible] | 422 | [illegible] | 1.11 | 4.5 | | | | |
| [illegible] | 423 | [illegible] | 1.15 | 3.7 | | | | |
| [illegible] | 424 | [illegible] | 1.45 | 2.6 | | | | |
| [illegible] | 425 | [illegible] | 1.06 | 6.0 | | | | |
| [illegible] | 426 | [illegible] | 1.06 | 6.0 | | | | |
| [illegible] | 427 | [illegible] | 1.4 | 2.55 | | | | |
| [illegible] | 428 | [illegible] | 1.55 | 2.1 | | | | |
| [illegible] | 429 | [illegible] | 1.4 | 2.5 | | | | |
| [illegible] | 430 | [illegible] | 1.3 | 2.9 | | | | |
| [illegible] | 431 | [illegible] | 1.45 | 2.45 | | | | |
| [illegible] | 432 | [illegible] | 1.45 | 2.3 | | | | |
| [illegible] | 433 | [illegible] | 1.25 | 3.5 | | | | |
| [illegible] | 434 | [illegible] | 1.02 | 9.0 | | | | |
| [illegible] | 435 | [illegible] | 1.06 | 5.5 | | | | |
| [illegible] | 436 | [illegible] | 1.12 | 5.0 | | | | |
| [illegible] | 437 | [illegible] | 1.15 | 3.6 | | | | |
| [illegible] | 438 | [illegible] | 1.75 | 1.95 | | | | |
| [illegible] | 439 | [illegible] | 1.02 | 8.0 | | | | |
| [illegible] | 440 | [illegible] | 1.07 | 6.0 | | | | |
| [illegible] | 441 | [illegible] | 1.3 | 2.9 | | | | |
| [illegible] | 442 | [illegible] | 1.45 | 2.45 | | | | |
| [illegible] | 443 | [illegible] | 1.12 | 4.5 | | | | |
| [illegible] | 444 | [illegible] | 1.2 | 3.8 | | | | |
| [illegible] | 445 | [illegible] | 1.11 | 4.5 | | | | |
| [illegible] | 504 | [illegible] | 1.35 | 3.0 | | | | |
| [illegible] | 505 | [illegible] | 1.25 | 3.5 | | | | |
| [illegible] | 506 | [illegible] | 1.6 | 2.3 | | | | |
| [illegible] | 507 | [illegible] | 1.02 | 8.0 | | | | |
| [illegible] | 508 | [illegible] | 1.55 | 2.25 | | | | |
| [illegible] | 509 | [illegible] | 1.7 | 1.9 | | | | |
| 13:00 | 510 | [illegible] | 1.15 | 4.0 | | | | |
| 13:00 | 511 | [illegible] | 1.4 | 2.8 | | | | |
| 13:00 | 512 | [illegible] | 1.55 | 2.2 | | | | |
| 13:00 | 513 | [illegible] | 1.25 | 3.3 | | | | |
| 13:00 | 514 | [illegible] | 1.3 | 3.0 | | | | |
| 13:00 | 515 | [illegible] | 1.55 | 2.4 | | | | |
| 13:00 | 540 | [illegible] | 1.3 | 3.0 | | | | |
| 13:00 | 541 | [illegible] | 1.6 | 2.2 | | | | |
| 13:00 | 542 | [illegible] | 1.5 | 2.65 | | | | |
| 13:00 | 543 | [illegible] | 1.15 | 4.5 | | | | |
| | | ჩოგბურთი. ქალები Roland Garros | | | | | | |
| | | 23 მაისი | | | | | | |
| 12:00 | 446 | [illegible] | 1.4 | 2.5 | | | | |
| 12:00 | 447 | [illegible] | 1.1 | 4.8 | | | | |
| 12:00 | 448 | [illegible] | 1.25 | 3.4 | | | | |
| 12:00 | 449 | [illegible] | 1.45 | 2.5 | | | | |
| 12:00 | 450 | [illegible] | 1.7 | 1.9 | | | | |
| 12:00 | 451 | [illegible] | 1.15 | 4.5 | | | | |
| 12:00 | 452 | [illegible] | 1.15 | 4.3 | | | | |
| 12:00 | 453 | [illegible] | 1.05 | 6.5 | | | | |
| 12:00 | 454 | [illegible] | 1.2 | 3.5 | | | | |
| 12:00 | 455 | [illegible] | 1.02 | 9.0 | | | | |
| 12:00 | 456 | [illegible] | 1.02 | 9.0 | | | | |
| 12:00 | 457 | [illegible] | 1.06 | 6.0 | | | | |
| 12:00 | 458 | [illegible] | 1.05 | 6.0 | | | | |
| 12:00 | 459 | [illegible] | 1.1 | 5.5 | | | | |
| 12:00 | 460 | [illegible] | 1.05 | 7.0 | | | | |
| 12:00 | 461 | [illegible] | 1.65 | 2.1 | | | | |
| 12:00 | 462 | [illegible] | 1.25 | 3.2 | | | | |
| 12:00 | 463 | [illegible] | 1.1 | 5.0 | | | | |
| 12:00 | 464 | [illegible] | 1.3 | 3.0 | | | | |
| 12:00 | 465 | [illegible] | 1.6 | 2.2 | | | | |
| 12:00 | 466 | [illegible] | 1.04 | 7.0 | | | | |
| 12:00 | 467 | [illegible] | 1.45 | 2.35 | | | | |
| 12:00 | 468 | [illegible] | 1.02 | 8.0 | | | | |
| 12:00 | 469 | [illegible] | 1.05 | 6.0 | | | | |
| 12:00 | 470 | [illegible] | 1.25 | 3.2 | | | | |
| 12:00 | 471 | [illegible] | 1.5 | 2.3 | | | | |
| 12:00 | 472 | [illegible] | 1.7 | 2.0 | | | | |
| 12:00 | 473 | [illegible] | 1.25 | 3.3 | | | | |
| 12:00 | 474 | [illegible] | 1.3 | 3.0 | | | | |
| 12:00 | 475 | [illegible] | 1.05 | 6.5 | | | | |
| 12:00 | 476 | [illegible] | 1.35 | 2.65 | | | | |
| 12:00 | 477 | [illegible] | 1.02 | 9.0 | | | | |
| 12:00 | 478 | [illegible] | 1.25 | 3.5 | | | | |
| 12:00 | 479 | [illegible] | 1.45 | 2.5 | | | | |
| 12:00 | 480 | [illegible] | 1.8 | 1.8 | | | | |
| 12:00 | 481 | [illegible] | 1.45 | 2.3 | | | | |
| 12:00 | 482 | [illegible] | 1.65 | 2.0 | | | | |
| 12:00 | 483 | [illegible] | 1.1 | 4.5 | | | | |
| 12:00 | 484 | [illegible] | 1.3 | 3.0 | | | | |
| 12:00 | 485 | [illegible] | 1.6 | 2.0 | | | | |
| 12:00 | 486 | [illegible] | 1.35 | 3.0 | | | | |
| 12:00 | 487 | [illegible] | 1.15 | 4.0 | | | | |
| 12:00 | 488 | [illegible] | 1.25 | 3.8 | | | | |
| 12:00 | 489 | [illegible] | 1.1 | 5.5 | | | | |
| 12:00 | 490 | [illegible] | 1.7 | 1.9 | | | | |
| 12:00 | 491 | [illegible] | 1.1 | 5.0 | | | | |
| 12:00 | 492 | [illegible] | 1.75 | 1.9 | | | | |
| 12:00 | 493 | [illegible] | 1.65 | 2.1 | | | | |
| 12:00 | 494 | [illegible] | 1.3 | 3.3 | | | | |
| 12:00 | 495 | [illegible] | 1.4 | 2.65 | | | | |
| 12:00 | 496 | [illegible] | 1.7 | 1.9 | | | | |
| 12:00 | 497 | [illegible] | 1.6 | 2.1 | | | | |
| 12:00 | 498 | [illegible] | 1.45 | 2.45 | | | | |
| 12:00 | 499 | [illegible] | 1.35 | 3.0 | | | | |
| 12:00 | 500 | [illegible] | 1.25 | 3.5 | | | | |
| 12:00 | 501 | [illegible] | 1.4 | 2.45 | | | | |
| 12:00 | 502 | [illegible] | 1.35 | 3.0 | | | | |
| 12:00 | 503 | [illegible] | 1.55 | 2.1 | | | | |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13350 | მილანი-ლივერპული | 1.7 | 1.9 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12350 | მილანი-ლივერპული | 1.55 | 2.1 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი [illegible])

| | | | |
|---|---|---|---|
| 14350 | მილანი-ლივერპული | 1.75 | 2.0 |

### ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

| | | ლუწი | კენტი |
|---|---|---|---|
| 17350 | მილანი-ლივერპული | 1.85 | 1.95 |

### თასის აღება

| | | | |
|---|---|---|---|
| 18350 | მილანი-ლივერპული | 1.55 | 2.3 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15350 | მილანი-ლივერპული | 3.0 | 2.8 | 2.0 |

### I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10350 | მილანი-ლივერპული | 2.5 | 1.9 | 3.8 | 1.07 | 1.5 | 1.26 |

### 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11350 | მილანი-ლივერპული | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.2 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## NBA PLAY OFF 2005 მეორე

# სტავის სტვირი ისევ უკრავს

## ნეშმა ფინიქსი ფერფლიდან აღადგინა



ფინიქსელი სტივ ნეში სრულიად „დალასს" გადაახტა

20 მაისი

**დასავლეთი**

ფინიქსი 4:2 დალასი

**დალასი 126:113 ფინიქსი**

ძირითადი დრო 111:111

**დალასი:** ტერი (36), ფინლი (7), ჰოვარდი (21 ქულა, 14 მოხსნა), ნოვიცკი (28 ქულა, 13 მოხსნა, 6 პასი), დამპიე (13); სტეკჰაუზი (19), ჰენდერსონი (2), არმსტრონგი

**ფინიქსი:** ნეში (39 ქულა, 12 პასი, 9 მოხსნა), ჯეკსონი (16), რიჩარდსონი (11 ქულა, 13 მოხსნა), მარიონი (38 ქულა, 16 მოხსნა), სტუდემაიერი (18); ჰანტერი (4), ბარბოსა (4), მაკკარტი

**გავა** წლები და „დალას მავერიკსის" შერეკილი მფლობელი მარკ კუბანი ყველაფერს დაივიწყებს, მანამდე კი...

მანამდე ისიც და მთელი მისი გარემოცვაც ლამის გიჟებს ჰგავანან. ისინი ალბათ კარგა ხანს ვერ აპატიებენ საკუთარ თავს, ამ ერთი წლის წინ ასე უდარდელად რომ შეელივნენ სტივ ნეშს.

თავში კი იცემენ ხელს, მაგრამ რაღა დროს...

ნეშს ზღაპრული სეზონი ჰქონდა „ფინიქსში" და მიუხედავად იმისა, რომ ახალი თანამებრძოლებიც სანაქებონი ჰყავს, თავად ნახევარ გუნდად ღირს და „დალასიც" ლამის მარტომ დაამარცხა. ნეში აღარ დალოდებია მეშვიდე თამაშს — „ფინიქსი" აკი ორჯერ დაწინაურდა და „დალასმაც" ორჯერ გაუთანაბრა. სერიის მეექვსე თამაშშიც თითქოს ყველაფერი იქით მიდიოდა, დალასმა პირველი ტაიმი 9 ქულით მოიგო, მესამე მეოთხედში 16-ით გაიჭრა წინ და... ერთი სიტყვით, ყველა მეშვიდე ჯახის მოლოდინში რომ იყო, ნურას უკაცრავადო, ბრძანა სეზონის უძვირფასესმა მოთამაშემ და როგორც არასდროს, ისე დატრიალდა. ის არც მანამდე აკლებდა ხელს მასპინძლებს, ბოლო მეოთხედში კი საერთოდ დასაბმელი გახდა და რომ ვერ დააბეს, ამას მოთქვამენ დალასელები.

გადამწყვეტ 12-წუთეულში მასპინძლეთა 16-ქულიანმა უპირატესობამ ლღობა იწყო, ხოლო თავად ნეშმა ამ პერიოდის ბოლო წუთში 8 ქულა (!) გააკეთა და, რაც მართლა გმირობად ჩაეთვლება, 108:111 ანგარიშზე სირენამდე 5,7 წამით ადრე სამქულიანი ბომბი ესროლა ყოფილ თავისიანებს, მატჩი ოვერტაიმში გადაიყვანა და გგონიათ, იქ მაინც მოისვენა? ნურას უკაცრავად. „დალასში" მის ნაცვლად მისულმა და ამ მატჩში 36 ქულის მომხვეჭმა ჯეისონ ტერიმ სამქულიანი რომ ჩააგდო და თავისიანები ერთი ქულით წაწია წინ (114:113), ნეშმა თავისი უძირო აბგიდან კიდევ 7 ქულა ამოაძვრინა და უხვქულიან ოვერტაიმში 126:123 დააწინაურა „ფინიქსი". ახლა მასპინძლებს უნდა ეზრუნათ ანგარიშის გასათანაბრებლად და ამისთვის საკმარისი დროც ჰქონდათ. ეს საქმე გადასარევად მოთამაშე დირკ ნოვიცკიმ ითავა და 11 წამით ადრე სტყორცნა კიდეც, თუმც უშედეგოდ და მისი გუნდისთვის სეზონი აქ დამთავრდა.

აღსანიშნავია, რომ „ფინიქსი" მთელი ოთხი მეოთხედის და ოვერტაიმის განმავლობაში 5 ქულაზე მეტით წინ არ გასულა და მაინც გაიტანა თავისი. ამის თაობაზე „სანზის" ერთ-ერთი ლიდერთაგანი შონ მარიონი წარბშეუხრელად ამბობს — „ჩვენთვის 16-ქულიანი ჩამორჩენა არაფერია. 16 ქულას 2-3 წუთში ვაგდებთ. მთელი სეზონი ასე ვთამაშობთ და კარგად ხედავთ, სადამდე მოვედით."

ხოლო კიდევ ერთი ფინიქსელი კვენტინ რიჩარდსონი ისევ სტივ ნეშის საქებრად ხარჯავს სიტყვებს — „გიჟი უნდა იყო, რომ ასეთი მოთამაშე გუნდიდან გაუშვა. პირადად ჩემგან დიდი მადლობა „დალასს", მე ბედნიერი ვარ, სტივის გუნდში რომ ვთამაშობ."

თავად გმირი კი ცოტა მოკრძალებულია — „ძალიან სასიამოვნოა, რომ ახალ სიმაღლეებს ვაღწევთ, მაგრამ ჩვენთვის პლეი ოფი ჯერ არ დამთავრებულა. კი, დიდებული სერია იყო, მაგრამ წინ კიდევ ახალი მეტოქე გველის, არანაკლებ ძლიერი და ჩემებს ვურჩევ, სიხარული დროებით გვერდზე გადადონ."

მაშ ასე, 1993 წლის შემდეგ „ფინიქს სანზი" პირველად გავიდა დასავლეთ კონფერენციის ფინალში და იქ ტიმ დანკანის, მანუ ჯინობილის და ტონი პარკერის „სან ანტონიო სპურზს" შეეტაკება.

**კოტე ყორშია**



## ჯირო დიტალია 2005. 7-29 მაისი



პაოლო სავოლდელიმ ივან ბასოს საერთო ჩათვლაში პირველობა ჩამოართვა

# მთიელო, ფეხი პედალს ჰკარ!

**პარასკევს** ბოლო სპრინტერულმა ეტაპმაც ჩაიქროლა ჯიროზე უკვე ალპებში შესულ პელოტონს აღარ მოუწევს გაჭიმულ გზაზე მდორედ სვლა და ჩქაროსანმა მრბოლებმაც ბოლო საფინიშო ქროლვა გააჩაღეს, რომელშიც მოქმედ ველომხედართაგან ყველაზე ჩაუქმა ალესანდრო პეტაკიმ იმარჯვა და წლეულს სამშობლოში ოდნავ შელახული სახელი აღიდგინა. ეს მისი მეორე გამარჯვება იყო მიმდინარე „ჯირო დიტალიზე".

ალეგედან დაძრულ ქარავანს თავიდანვე დიდი მთა შემოხვდა. 26 კილომეტრის გავლის შემდეგ პასო სან პელეგრინოს უღელტეხილზე ასვლა ბევრს გაუჭირდა. სპრინტერები შეშობდნენ, მთიელები თავიდანვე არ გაგვექცნენ და საფინიშო ქროლვა არ ჩაგვიშხამონო, მაგრამ ამ დაბრკოლების გადალახვის შემდეგ კიდევ კარგა გრძელი გზა რჩებოდა და მთიელებსაც აღარ გაურისკავთ. აღმართზე რამდენიმე წუთიც რომ მოეგოთ, გრძელ ვაკეზე პელოტონი ადრე თუ გვიან აუცილებლად ჩაყლაპავდა. ამიტომ ჯიროს ყველა გამორჩენილი მთიელი წყნარად ატრიალებდა პედლებს...

სამაგიეროდ, პელოტონმა ეს მთა რომ გადალახა, რამდენიმე ნაკლებად ცნობილმა მხედარმა სცადა წინ გაჭრა, მაგრამ მათი თავგამოდება მხოლოდ სარეკლამო ხასიათს ატარებდა — მოგეხსენებათ, ტელეკამერების ობიექტივები მოწინავეებს უფრო უმზერენ და მათი რეკლამებით აჭრელებულ მაისურებსაც ეკრანებზე წარმოაჩენენ — მაგრამ არავის არაფერი გამოუვიდა და ადრე თუ გვიან პელოტონის წინ მორბენალი ყველა კვიცი „მშობელს" დაუბრუნდა.

სპრინტი კი სწორედ ისეთი გამოვიდა, პეტაკი და მისი გუნდი რომ ისურვებენ — „ფასა ბორტოლოს" [illegible] რობლემოდ და [illegible] ის შესატევ პოზიციაზე და სხვას მასი მთავარი კონკურენტი [illegible] ვენი სხვა სპრინტერის [illegible] ლი წვალობდა, პეტაკიმ [illegible] 150 მეტრი ფრენით გაიარა.

სპრინტი იქით იყოს და, [illegible] მე-13 ეტაპი მარილიც [illegible] რად მძიმე გამოდგა — [illegible] 3 იმალაები ველოსპორტისთვის [illegible] დავ მთიელებს, არც მეტი, არც ნაკლები, ხუთი კარგა მაღალი [illegible] ლი შემოხვდათ, რომელთაგან [illegible] 2000 მეტრს აღემატებოდა. [illegible] არცთუ კარგად იბრძოლეს საერთო ჩათვლის ლიდერებმა, არადა, [illegible] უსწორმასწორო გზა მათი [illegible] აქ უნდა მოუგონ კონკურენტებს [illegible] როვანი წამები და წუთები [illegible] ერთ საჩემპიონო გაქანების [illegible] არ გამოუდგათ და [illegible] სულ ცოტა, 4 წუთი წააგეს [illegible] ვებულთან, კოლუმბიელ [illegible] სთან. ვინაიდან ეს ჯგუფი [illegible] ხევარ საათს აგებდა, [illegible] ბამ არცთუ დიდად [illegible] ჩათვლის ლიდერთა [illegible] ცვლილებები მაინც მოხდა: [illegible] სავოლდელი მე-9 ადგილზე [illegible] და, მაგრამ 21-ეზე გასული [illegible] წუთზე მეტით ჩამორჩა [illegible] საერთო ჩათვლის ლიდერის [illegible] რაც დიდი სიამოვნებით [illegible]

**კოტე ყორშია**

**მე-12 ეტაპი. 20 მაისი. ალეგე — როვერეტო. 178 კმ**

| | |
|---|---|
| 1 ალესანდრო პეტაკი (იტალია, ფასა ბორტოლო) | 4 სთ, 50 წთ |
| 2 პაოლო ბეტინი... 2 პარიდე გრილო (იტალია, კერამიკა პანარია) | |
| 3 ისააკ გალვეს ლოპესი (ესპანეთი, ილეს ბალეარსი) | |
| 6 რობი მაკივენი (ავსტრალია, ლოტო) | ყველა იგივე დრო |
| მე-13 ეტაპი. 21 მაისი. მეცოკორონა — ორტისეი. 218 კმ | |
| 1 ივან პარა (კოლუმბია, სელე იტალია) | 6 სთ, 31 წთ, 34 წმ |
| 2 ხუან მანუელ გარატე (ესპანეთი, საუნიე დიუვალი) | 23 წმ |
| 3 ხოსე რუხანო გუილენი (ვენესუელა, სელე იტალია) | იგივე დრო |
| 9 პაოლო სავოლდელი (იტალია, დისკოვერი) | 4 წთ |
| 10 ჟილბერტო სიმონი (იტალია, ლამპრე) | 4 წთ, 7 წმ |
| 11 დანილო დი ლუკა (იტალია, ბიანკი) | იგივე დრო |
| 15 დამიანო კუნეგო (იტალია, ლამპრე) | 4 წთ, 38 წმ |
| 21 ივან ბასო (იტალია, CSC) | 5 წთ, 8 წმ |



# ტოპალოვი აიწონა, პონომარიოვი დაიწონა

## მ-ტელ მასტერსის ტურნირი

სოფია. ბულგარეთი. 11 - 22 მაისი

**VII ტური**

რუსლან პონომარიოვი (უკრაინა)—ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) 0,5:0:5
ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი)—მაიკლ ადამსი (ინგლისი) 0,5:0:5
ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი)—იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) 0,5:0:5

**IX ტური**

ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) — რუსლან პონომარიოვი (უკრაინა)1:0
იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) — ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) 0,5:0:5
მაიკლ ადამსი (ინგლისი) — ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) — 0:1

**მეცხრე** ტურის შემდეგ ტურნირზე ორხელისუფლიანობა დასრულდა და ცხრილს მასპინძელი დიდოსტატი ვესელინ ტოპალოვი მარტოდმარტო ჩაუდგა სათავეში. ბულგარელმა სტომატოლოგმა უშუალო კონკურენტ რუსლან პონომარიოვს სძლია და პირველ ადგილთან ერთად დარბაზში მსხდომთა მქუხარე აპლოდისმენტებიც დაიმსახურა. დარბაზში ხომ უმეტესობა მისი ქომაგი იყო.

ლიდერებმა ძველინდური დაცვა გაითამაშეს. უკრაინელმა მე-5 სვლაზე კუთი იერიში მიიტანა მეტოქის მეფეზე, თუმც მომდევნო სვლაზე თეთრი კუ გამოუხტა და ხიფათი განმუხტა. ტოპალოვი პაიკებით გაიჭრა წინ, რამდენიმე მანევრი განახორციელა, ცენტრში უპირატესობას დაეუფლა და მტრის მეფეზე იერიშისთვის მოემზადა. მე-15 სვლაზე უკრაინელი შეცდა — F ხაზის პაიკი წაწია წინ და საკუთარი ხელმწიფის დაცვა დაასუსტა. ტოპალოვმა შეწირვებს მიმართა. მე-18 სვლაზე მან D ხაზზე მდგარი მხედარი აჩუქა მეტოქეს, რითაც შავ ხელმწიფეს დამცავი კედელი მოუნგრია და ტაქტიკურად მოგებული დარჩა. ბულგარელმა ლაზიერი მოუშვა მტრის ბელადზე, შავებმა მის დასაცავად თავგანწირული ბრძოლა დაიწყეს, მაგრამ არეულ ჯარს თავი ღირსეულად ვერ [illegible] და 30-ე სვლაზე მეფე [illegible]

„პონომარიოვი დავამარცხე, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ [illegible] მოვიგე. წინ კიდევ ბრძოლაა [illegible]" — განაცხადა ტოპალოვმა.

შავი ფიგურებით იმარჯვა [illegible] ლმა ვიშვანათან ანანდმა. მან [illegible] ტურებში უკვე ყველასგან [illegible] ვებული მაიკლ ადამსი დაამარცხა.

მეტოქეებმა რუსული პარტია გაითამაშეს, პაიკები და მსუბუქი ფიგურები გამოყარეს წინ და [illegible] ბრძოლას შეუდგნენ. [illegible] ორმხრივ იერიშებში გაერთულიყო და მოჭადრაკეებმა ფიგურები [illegible] თმანეთს. 42-ე სვლაზე [illegible] D ხაზზე პაიკის გაყვანას [illegible] მოიერიშე პაიკი შავებმა [illegible] ქციეს, ადამსმა მის დასაცავად [illegible] ნავე ლაშქარი გაიძლიერა, თუმც [illegible] ნევრებში გონიერ ინდუსს ვერ [illegible] და მე-60 სვლაზე [illegible]

**ლაშა გეგეჭკორი**

| | |
|---|---|
| 1. ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 5,5 ქულა |
| 2. ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 5 |
| 3. რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) | 4,5 |
| 4. იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) | 4,5 |
| 5. ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) | 4 |
| 6. მაიკლ ადამსი (ინგლისი) | 3,5 |

## ვაჟების ბადე

1/32 — 1/16 — 1/8 — 1/4 — 1/2

ფედერერი (1) — სელა
ალმაგრო — კოლშრაიბერი
როხუსი — ბერენდი
ლოდრა — გონსალესი (25)
ჰრბატი (17) — ტიპსარევიჩი
სხალკენი — ვისენტე
ვიკი — კიმი
მარტინი — მოია (14)
ნალდანდიანი (10) — ბალდატისი
ბერდიხი — მორისონი
ერნანდესი — ხიმენო-ტრავერი
დანიელი — ანჩიჩი (18)
ნელა (31) — შუტლერი
ჰანესკუ — ტაბარა
ორნა — ენელი
სტარაჩე — ჰენმანი (7)
ნადალი (4) — ბურგსმიულერი
ფიში — მალისი
კულელსი — მელუ
ბრასალი — გასკე (30)
გროსჟანი (23) — მონაკო
ასიონი — სანგვინეტი
პავლი — სერა
შრიჩაფანი — შტეპანეკი (16)
სოდერლინგი (33) — ვერდასკო
ლი — კალატრავა
სიმონი — პასიანსი
ვანეკი — პერერი (20)
ნოვაკი (26) — ფაუ
მანტილია — ჟიბი
ტურსუნოვი — კუბეკი
ბენეტო — გაუდიო (5)
კორია (8) — კარლსენი
ჯოკოვიჩი — ჯინეპრი
მელცერი — პარტუსი
მიულერი — იუჟნი (29)
ჰაასი (21) — მაიერი
სპედია — კოსტა
გარსია-ლოპესი — როხუსი
ტურსარი — დავიდენკო (12)
რობრედო (15) — ლუმაკი
ნორმანი — ლინარი
კუერტენი — სანჩესი
დრეიპერი — იოჰანსონი (19)
ვერდერი (32) — ბეკი
სანტორო — ჰერნიხი
ემკვისტი — დლუჰი
სლოიტერი — საფინი (3)
აგასი (6) — ნიემინენი
ბიორკმანი — ანდრეევი
კლემანი — პოპი
კარლოვიჩი — კიფერი (28)
ლოპესი (24) — მათიო
გუჩონე — ვენტურა
მონტანესი — სარქსიანი
მონფი — კანიასი (9)
ლუბიჩიჩი (13) — პუერტა
დუპუი — ფლიგენი
ტენკონი — ბლეიკი
ვავრინკა — მასუ (22)
ვილანდრი (27) — სოლნიე
რუზეცკი — სარეტა
აკასუსო — მირნი
ცონგა — როდიკი (2)

# როლან გაროსი 2005

# ნადალის დებიუტი ფედერერის დემონთა ფონზე



როჯერ ფედერერი



რაფაელ ნადალი

**როლანგაროსობის** პირველივე ჯერზე მოგება მხოლოდ ურჩეულეს მეჩოგნეთა ხვედრია. ბოლო, ვისაც ამგვარი რამ გამოუვიდა, ლეგენდარული შვედი მატს ვილანდერი გახლდათ. 1982 წელს, როცა მან თავის პირველსავე საფრანგეთის ღია პირველობაზე იმარჯვა, ვილანდერი ჯერაც 18 წლისა იყო.

ამდენივე წლისაა ახლა ესპანელი რაფაელ ნადალიც, ვინაც ზეპურითა ხომლში შარშანვე უნდა ამოციაგებულიყო, სათიხნარო ადრესეზონისას კოჭი რომ არ გადაემტვრია. მაგრამ წლეულს ნადალს კოჭიც რიგზე აქვს, გლაჯუნა ცაციაც და ისეთ ჯიგრიან, ღონიერ და დინამიურ ჩოგბურთს აჩვენებს, რომ სეფეთიხნარობის ერთ უმთავრეს ფავორიტად სამართლიანად ითვლება. ეგ მით უფრო, რომ ამ მომენტისთვის წლეულს ნაშოვნ უკვე ხუთ თიხნარტიტულს მოიძევს და, უკეთუ აკაპულკოური, კოშტა დუ საუიპეური და ბარსელონური ჯილდოები მეტისმეტად ძვირად არ ფასობს, მონტეკარლოური და რომაული მასტერსტიტულები მისი მზარდი ფასკუნჯობის დასტურ თვალსაჩინო საბუთებია.

ვინ იცის, ყრმა მალიორკელს ეგებ წინის წინა კვირაში ჰამბურგულ მასტერსზეც ეყოჩაღა, მუშა მარცხენა ხელისგული რომ არ დაწყლულებოდა, მაგრამ ეგ მხოლოდ ვარაუდია. ფაქტი კი ის იყო, რომ მის არყოფნაში ჰამბურგობაზე ამქრის უბადლო პირველოსანმა, როჯერ ფედერერმა იბობოქრა და თავისი მეექვსე საამსეზონო ბროლი — რაიც იმავდროულად მესამე მასტერსგანსხვავებული გამოდგა — სეტისწაუგებლად მიითვალა. ეს ფედერერის ზედიზედ მე-19 მოგებული ფინალი გახლდათ და, შეგახსენებთ, აშშ-ის შარშანდელი ღია პირველობის შემდეგ მას 2 მარცხის წილ უკვე 57 გამარჯვება დაეკვეხება. ამ ორი დათმობილი შეხვედრისასაც — ავსტრალიობის ნახევარფინალში მარატ საფინთან, ხოლო მონტეკარლობის მეოთხედფინალში რიშარ გასკესთან — როჯერს გამარჯვებისგან თითო-ოითო ქულალა აშორებდა და ამდენად, მეტოქეთათვის მუქთად არაფერი დაუთმია.

ასევე ჯიქურ და შეუპოვრად აპირებს ის გარჯას პარიზულ სეფეთიხნარზეც, სადაც აქამომდელი ექვსი მცდელობისას მან მხოლოდ ერთხელ, 2001 წელს უწია მეოთხედფინალს. მისი საროლანგაროსო წარუმატებლობა მით უფრო თვალშისაცემია, რომ როჯერს დიდი მუზარადის დანარჩენ სამივე ტურნირზე უმარჯვია, ხოლო უიმბლდონური კოინდარი საჩემპიონოდ უკვე ზედიზედ ორჯერაც გაუჯეგავს. აი, პარიზში კი ის ვერა და ვერ ახერხებს, მისთვის ჩვეული დამაჯერებლობითა და ჰაეროვნებით თამაშს და — მაგალითისთვის — შარშანდელი როლანგაროსობის მესამე წრეში სულაც სეტისმოუგებლად დანებდა თუმც კი სამგზის ჩემპიონ, მაგრამ მაინც უკვე დაკნინებულ დიად ბრაზილიელ გუსტავო კუერტენს.

ნავსის გატეხვასა და თავისი პარიზული დემონების ერთხელ და სამუდამოდ განდევნას 23 წლის ალპელი წლეულს გამორჩეული სიკერპით გეგმავს. საამისოდ, რათა ფილიპ შატრიეს კორტს გასჩვეოდა და თავისთვის დათარსულ გარემოში თავი ისე ეგრძნო, როგორც მსოფლიოს ნებისმიერ სხვა კორტზე — ანუ სახლში — როჯერ პარიზში ერთი კვირით ადრე ჩავიდა და საბოლოო წინასატურნირო წრთობაც იქ გაიარა. ის ახლა დარწმუნებულია, რომ ტურნირის მოგება ჩოგანეწიფება და, თუკი ამის გაკეთებას ის მართლაც შეძლებს, მოქმედ მეჩოგნეთაგან დიდი მუზარადის ოთხივე ტურნირის მაოხარი მეორე კაცი გახდება. შეგახსენებთ, რომ საკარიერო „დიდი სლემი“ ბოლომ ანდრე აგასიმ შეჰკრა. აგასიმდე კი ეს მიღწევა რამ? წარსულის დიდებს — რენე ლაკოსტს, დონ ბაჯს, როდ ლეივერსა და როი ემერსონს გამოსვლოდათ. ოღონდ, გასათვალისწინებელია, რომ სამსავე საფარზე — ბალახზე, თიხნარსა და ჰარდზე ამათგან მხოლოდ აგასიმ იდიდსლემა. მის მერე ნახსენებ ლეგენდათა დროს კი ავსტრალიის, უიმბლდონისა და აშშ-ის სლემტურნირებიდან სამივე ბალახზე იმართებოდა...

ის, რომ ფედერერს როლანგაროსობის მოგება დასტურ ჩოგანწიფება, სჯერა ტურნირის ორგზის, 1993-94 წლების ესპანელ ჩემპიონ სერხი ბრუგერასაც: „ის ახლა მთელ ამქართან შედარებით ერთი დონით მაღლა თამაშობს. მას რომ აჯობო, ათჯერ უნდა ალემატო — მენტალურადაც, ტაქტიკურადაც და საერთოდ ყველაფრით. თუკი ის შეძლებს, მომდევნო ორი კვირის განმავლობაში თავის დონეზე დარჩეს, დარწმუნებული ვარ, მისი მომგები არავინაა.“

თუკი ტურნირის მთავარფავორიტები წარმატებით მიატანენ ნახევარფინალს, 3 ივნისს ერთმანეთს შეეხვდებიან — ზუსტად იმ დღეს ნადალი 19 წლისა შესრულდება და როჯერს იუბილართან რკენა მოუწევს...

ისე კი, საქმეში ჩახედული ხალხი ფიქრობს, რომ ფედერერისა და ნადალის უმთავრესი მოცილენი შარშანდელი ჩემპიონი გასტონ გაუდიო და მისი სამი თვისტომი — შარშანდელი ფინალისტი გილერმო კორია, ნახევარფინალისტი დავიდ ნალბანდიანი და რეიტინგის მეათეადგილოსანი გილერმო კანიასი იქნებიან. ხოლო თუკი ამათ ოდონდელ ჩემპიონებს — კარლოს მოიას, ხუან კარლოს ფერეროსა და ზემოთ ნახსენებ კუერტენს დავუმატებთ, ცხადი გახდება, რომ როჯერისა და რაფაელს იოლი გასეირნება სულაც არ ელით. მერე ნურც იმას დავივიწყებთ, რომ თიხნარს უსაყვარლეს საფარად მიიჩნევს წლევანდელი ავსტრალიობის გამარჯვებული რუსი მარატ საფინი, რომელსაც — იმის მიუხედავად, რომ იმის მერე მეტი არც არაფერი გაუკეთებია — მაინც დიდ სახიფათო და [illegible]რიზა ვინმეა. ძალიან ითხოვს, ჯეროვნად არ ჩამოვწეროთ ზემოთვე ნახსენები ანდრე აგასიც, ვინაც ტურნირის 1999 წლის ჩემპიონია და თუმც უკვე 35-ს გადაალაჯა, თავის მე-17 როლანგაროსობაზეც გვპირდება ბრძნულისა და ბასრ ჩოგნაობას. და, ვინძლო, მთლად გასაბანძებული არც ამქრის მეორე ჩოგნის, ენდი როდიკის შანსები იყოს. მართალია, წინა ოთხ ჩასვლაზე მან იქ ერთხელაც ვერ შეძლო, მესამე წრეს გასცილებოდა, მაგრამ რა იცით, ეგებ ახლა მაინც გამოუვიდეს რამე.

## როლან გაროსის ჩემპიონები 1961 — 2004



მატს ვილანდერი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1961 | მანუელ სანტანა | 1983 | იანიკ ნოა |
| 1962 | როდ ლეივერი | 1984 | ივან ლენდლი |
| 1963 | როი ემერსონი | 1985 | მათს ვილანდერი |
| 1964 | მანუელ სანტანა | 1986 | ივან ლენდლი |
| 1965 | ფრედ სტოლი | 1987 | ივან ლენდლი |
| 1966 | ტონი როჩი | 1988 | მათს ვილანდერი |
| 1967 | როი ემერსონი | 1989 | მაიკლ ჩანგი |
| 1968 | კენ როზუოლი | 1990 | ანდრეს გომესი |
| 1969 | როდ ლეივერი | 1991 | ჯიმ კურიე |
| 1970 | იან კოდეში | 1992 | ჯიმ კურიე |
| 1971 | იან კოდეში | 1993 | სერხი ბრუგერა |
| 1972 | ანდრეს ხიმენო | 1994 | სერხი ბრუგერა |
| 1973 | ილია ნასტასე | 1995 | ტომას მუსტერი |
| 1974 | ბიორნ ბორგი | 1996 | ევგენი კაფელნიკოვი |
| 1975 | ბიორნ ბორგი | 1997 | გუსტავო კუერტენი |
| 1976 | ადრიანო პანატა | 1998 | კარლოს მოია |
| 1977 | გილერმო ვილასი | 1999 | ანდრე აგასი |
| 1978 | ბიორნ ბორგი | 2000 | გუსტავო კუერტენი |
| 1979 | ბიორნ ბორგი | 2001 | გუსტავო კუერტენი |
| 1980 | ბიორნ ბორგი | 2002 | ალბერტ კოსტა |
| 1981 | ბიორნ ბორგი | 2003 | ხუან კარლოს ფერერო |
| 1982 | მათს ვილანდერი | 2004 | გასტონ გაუდიო |

## როლან გაროსი 2005

# სანამ ბატონ გერლახს აუჩოგნდებოდეს

**შარანდელი** ვირუსიანობის შემდეგ როლანგაროსობის 2003 წლის ჩემპიონი ჟუსტინ ენენ-არდენი კორტს ამ თვენახევარის წინ მოუბრუნდა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ხნის განმავლობაში უკვე სამი თიხნარტიტულის — ჩარლსტონურის, ვარშავულისა და ბერლინურის — მოგება მოასწრო, საფრანგეთის წლევანდელი ღია პირველობის უმთავრეს ფავორიტად სწორედ ის უნდა ვიგულოთ და არა ვინმე სხვა. ჟუსტინი თავადაც ამბობს, რომ ეს ტურნირი მისთვის გამორჩეულია, თუმცა ფავორიტობას მაინც უარობს და დასძენს, რომ ასპროცენტიან ფორმაში ჯერაც ვერ არის.

სამწუხაროდ, ამ რამდენიმე კვირის წინ მარჯვენა მუხლი დაუშავდა და ფავორიტთა ნუსხას გამოაკლდა ტრავმიანობის მერე ჟუსტინზე ოდნავ ადრე დაბრუნებული კიმ კლაისტერსი, რომელიც საუცხოო ფორმაში იყო და რუსქალთა უმთავრეს მმუსვრელადაც გვეიმედებოდა — ეგ მით უფრო, რომ ის ტურნირის ორგზის, 2001 და 2003 წლების ფინალისტია და თიხნარზეც ბარაქიანად ბურთაობს ხოლმე. კიმი პარიზში კი ჩავიდა, მაგრამ ნათქვამი აქვს, რაწამს მუხლის ტკივილს ვიგრძნობ, ჩოგანს მყისვე დავაშალითებო.

ტურნირს ზედ წილისყრის წინ გამოეთიშა კიდევ ერთი ნაფავორიტალი, წლევანდელი ავსტრალიობისა და საკუთრივ როლანგაროსობის 2002 წლის ჩემპიონი სერენა უილიამსი — უმცროსმა უილიასდამ აპრილში მარცხენა კოჭი დაიშავა და, რაკიღა ტრავმა ჯერაც არ მოკეთებია, გარისკვას ისევ ტრიბუნაზე დარჩენა ამჯობინა. სამაგიეროდ, წინა კვირაში პირველ სტამბოლობაზე არიფებში გაილაღა და საპარიზოდ გამარჯვებულის განწყობა შეიმარაგა სერენას უფროსმა დაიკო ვინუსმა, ვისგანაც რიგიან ბურთაობას უახლოეს ორ კვირაშიც მოველით.

ამ ორი კვირის განმავლობაში საკარიერო ნავსის გატეხვასა და — მარტო მშობლიურს ვინ ჩივის — საერთოდ პირველი სლემტიტულის მოგებას ეცდება ამელი მორეზმო, ვინაც ახლახანს რომში ტიტულის დაცვით კარიერის მე-17 ჯილდო მოიხვეჭა და პარიზშიც ჩინებული გუნებით დაბრუნდა.

თუმცა ბუკმეიკერნი მორეზმოზე უმეტეს შანსებს მაინც წანკწლა რუსგოგოს, შარშანდელი უიმბლდონის ჩემპიონ მარია შარაპოვას აძლევენ, რაიც ცოტა გაუგებარიც კია, რადგანაც — თუმც 18 წლის რუსს შანსი აქვს, ლინდსი დევენპორტს ამქრის სეფეჩოგანი ჩამოართვას — საკუთრივ თიხნარობით მას თავი მაინცდამაინც არსად გამოუჩენია.

თავად ლინდსიზე ბევრს არ ლაპარაკობენ — აქაოდა, თიხნარზე ჩაუქად ვერ ირჯება და პარიზშიც ნახევარფინალს ვერ გასცილებიაო. მაგრამ ესეც ცოტა გადამლაშებად გვეჩვენება და ვფიქრობთ, ამაგდარი ამერიკელისგანაც უფრო მეტს უნდა ველოდოთ.

რაც შეეხება შარშანდელ ჩემპიონს ანასტასია მისკინას, მას წლევანდელი სეზონი ისედაც აბრუნდად მიუდიოდა, ახლა კი მხრის ტრავმაც აწუხებს და პარიზში რომ ჩავიდა, ისედაც მიღწევაა. თუმცა მისი მწვრთნელი იენს გერლახი იმედოვნებს, რომ — რაწამს ტასია როლანგაროსულ ბლონდებში გაეხვევა — მყისვე საჩემპიონოდ აბურთავდება. სწორედ ასეთ შემთხვევებში ამბობენ, მანამდე არ აუდგეს ბატონ გერლახს ჩოგანიო...

ხოლო იმას, თუ რა ფასი აქვს ყოველივე ზემოთ თქმულს, ცოტაც დაველოდოთ და, თითოეული ჩვენთაგანი თავადვე განსაზღვრავს. ისე კი, ლუდის შემარაგება არ დაგავიწყდეთ — კარგ ჩოგბურთზე კაცურად მიდის ხოლმე.



მარია შარაპოვა

## ქალების ბადე

1/32 — 1/16 — 1/8 — 1/4 — 1/2

- დევენპორტი (1) — [illegible]
- ანდრიო — პენი
- პანოვა — [illegible]
- რაზანო — საფინა (25)
- პანტუჩოვა (20) — [illegible]
- ხლადკოვა — [illegible]
- ჩერვანოვა — [illegible]
- ტუ — [illegible]
- ზვონარიოვა (9) — [illegible]
- ბირნეროვა — [illegible]
- კოსტანიჩი — [illegible]
- დუშევინა — [illegible]
- პენეტა (32) — [illegible]
- დომახოვსკა — კოენ-ალორო
- კლოიზელი — [illegible]
- ჩი — შნაიდერი (8)
- დემენტიევა (4) — [illegible]
- შაშინი — [illegible]
- მორიგამი — [illegible]
- კამერინი — [illegible] (31)
- ფარინა ელია (18) — [illegible]
- პერი — [illegible]
- ფერგიუსონი — [illegible]
- ფედაკი — [illegible]
- უილიამსი (11) — [illegible]
- სულეიოვა — [illegible]
- ბონდარენკო — [illegible]
- შრუვე — [illegible]
- ფრეზერი (27) — [illegible]
- [illegible] — [illegible]
- პერებიინისი — [illegible]
- სანჩეს ლორენსო — [illegible]
- პეტროვა (7) — [illegible]
- სპირსი — [illegible]
- პეშკე — [illegible]
- პეერი — ბარტოლი (28)
- გოლოვინი (17) — [illegible]
- სერა ძანეტი — [illegible]
- სუხა — [illegible]
- ვენტო-კაბჩი — [illegible] (12)
- იანკოვიჩი (15) — [illegible]
- ვინჩი — [illegible]
- საფაროვა — [illegible]
- წენი — [illegible] (22)
- ივანოვიჩი (29) — [illegible]
- ბენეშოვა — [illegible]
- ყიდკოვა — [illegible]
- დომინიკოვიჩი — მორეზმო (3)
- კუზნეცოვა (6) — [illegible]
- არვიდსონი — [illegible]
- ირვინი — [illegible]
- მირზა — [illegible] (30)
- მალეევა (24) — [illegible]
- მანულა — [illegible]
- რუანო პასკუალი — [illegible]
- მარტინესი — ენენ-არდენი (10)
- დემი (13) — [illegible]
- ტალაია — [illegible]
- ფედოსოვა — [illegible]
- ლიაგოსტერა — სუგიამა (23)
- სუარესი (26) — [illegible]
- ჯუგიჩ-შალკიჩი — [illegible]
- პენი — [illegible]
- ლინეცკაია — შარაპოვა (2)

## როლან გაროსის ჩემპიონები 1961 — 2004



შტეფი გრაფი

| | |
|---|---|
| 1961 | ენ ჰეიდონი |
| 1962 | მარგარეტ სმიტი |
| 1963 | ლესლი ტერნერი |
| 1964 | მარგარეტ სმიტი |
| 1965 | ლესლი ტერნერი |
| 1966 | ენ ჰეიდონ-ჯონსი |
| 1967 | ფრანსუაზ დური |
| 1968 | ნენსი რიჩი |
| 1969 | მარგარეტ სმიტ-კორტი |
| 1970 | მარგარეტ სმიტ-კორტი |
| 1971 | ივონ გულაგონგი |
| 1972 | ბილი-ჯინ კინგი |
| 1973 | მარგარეტ სმიტ-კორტი |
| 1974 | კრის ევერტი |
| 1975 | კრის ევერტი |
| 1976 | სიუ ბარკერი |
| 1977 | მიმა იუსოვეცი |
| 1978 | ვირჯინია რუზიჩი |
| 1979 | კრის ევერტ-ლოიდი |
| 1980 | კრის ევერტ-ლოიდი |
| 1981 | ჰანა მანდლიკოვა |
| 1982 | მარტინა ნავრატილოვა |
| 1983 | კრის ევერტ-ლოიდი |
| 1984 | მარტინა ნავრატილოვა |
| 1985 | კრის ევერტ-ლოიდი |
| 1986 | კრის ევერტ-ლოიდი |
| 1987 | შტეფი გრაფი |
| 1988 | შტეფი გრაფი |
| 1989 | არანჩა სანჩესი |
| 1990 | მონიკა სელეში |
| 1991 | მონიკა სელეში |
| 1992 | მონიკა სელეში |
| 1993 | შტეფი გრაფი |
| 1994 | არანჩა სანჩესი |
| 1995 | შტეფი გრაფი |
| 1996 | შტეფი გრაფი |
| 1997 | ივა მაიოლი |
| 1998 | არანჩა სანჩეს-ვიკარიო |
| 1999 | შტეფი გრაფი |
| 2000 | მარი პირსი |
| 2001 | ჯენიფერ კაპრიატი |
| 2002 | სერენა უილიამსი |
| 2003 | ჟუსტინ ენენ-არდენი |
| 2004 | ანასტასია მისკინა |

# ერთი კინკილა ბრინჯაო

**როტერდამული ევროპის ჩემპიონატიდან საქართველოს ნაკრები ერთი ბრინჯაოთი ბრუნდება. შარშანდელი ევროპირველობის მსგავსად, მედალი ამჯერადაც დავით ქევხიშვილმა (73კგ) მოიპოვა, დანარჩენი ექვსი ძიუდოისტიდან კი ყველაზე უკეთ დავით მარგოშვილმა (66კგ) და ნაკრების დებიუტანტმა ირაკლი ცირეკიძემ (90კგ) იჭიდავეს. მედლამდე ორივეს თითო გამარჯვებაღა დააკლდა და საბოლოოდ მეხუთე ადგილები დაიკავეს. ორი უმსუბუქესი წონის შესახებ შაბათის ნომერში გაცნობეთ, ამჯერად დანარჩენი ხუთეულის ნაჭიდავებზე ვთქვათ.**



დავით ქევხიშვილი

ბადრი [illegible] ფოტო

73 კგ დავით ქევხიშვილს ფეხი ნახევარფინალში გადასასვლელ შეხვედრაში დაუცდა მასპინძელ ჰენრი შემანთან და რეპეშაჟში გადაერთო. მანამდე დავითმა ბელგიელი დირკ ვან ტიჩელტი და აზერბაიჯანელი ელმადინ აშმადოვი დაამარცხა, ხოლო მარცხის შემდეგ ევროპის ორგზის ჩემპიონ უკრაინელ გენადი ბილოდიდს, [illegible] ბაბაიქსა და [illegible] უხერხულ მეტოქე [illegible] ოლიმპიური [illegible] ზელიმხანის გა[illegible] მედლისკენ მიმავალი გზა.

ჩემპიონი უნგრელი აკოშ ბრაუნი გახდა, რომელმაც ევროპირველობის ფინალში ზედიზედ მეორედ გასული ისრაელი იოელ რაზვოზოვი კვლავ ვერცხლს დააჯერა.

81 კგ მთელი შარშანდელი ევროპის ჩემპიონატის სამ წუთში [illegible] ჯარიჯი ზვიადაურმა როტერდამული ტურნირი გამოტოვა და ჩემპიონიც შარშან მასთან ფინალში დამარცხებული გერმანელი ოლე ბიშოფი გახდა. სწორედ ბიშოფთან წააგო ჯგუფური ეტაპის გადამწყვეტი ბრძოლა გრიგოლ მამრიკაშვილმა, ბრინჯაოზე ფიქრი კი რეპეშაჟის ნახევარფინალში ფრანგ ენტონი როდრიგესთან შეხვედრით დასრულდა. არადა, მანამდე გრიგოლმა 81 კილოგრამის ერთ-ერთი უძლიერესი მოჭიდავე, ესტონელი ალეკსეი ბუდოლინი ჩამოიცილა.

90 კგ ნაკრების შემადგენლობაში ხელახლა ზვიადაურის შემცვლელმა ირაკლი ცირეკიძემ ჯგუფური ეტაპი [illegible] ჩაამთავრა, სერიოზული წინააღმდეგობა არავის გააწევინა. არადა, მეტოქეებში რომ არ გაუმართლა, შაბათსაც გაუწყეთ. სპეციალისტთათვის განსაკუთრებით მოულოდნელი უტიტულო ქართველისგან უკრაინელი ევროპის ორგზის ჩემპიონის ძლევა იქნებოდა. თან ცირეკიძემ საქმე იპონით მოამთავრა, გრეკოვამდე კი რუმინელი ელოდ ლაიოს აბრაჰამი და ძლიერი ფრანგი ფრედერიკ შტიგულმანი ჩამოიცილა.

კვარცხლბეკზე მოსახვედრად ორი დარჩენილი შეხვედრიდან ერთი გამარჯვებაც კმაროდა, მაგრამ... ნახევარფინალში იტალიელ რობერტო მონტისთან წააგო, ხოლო რეპეშაჟის ფინალში სახელოვან ჰოლანდიელ მარკ ჰუიზინგასთან.

100 კგ ივერი ჯიქურაული კენჭისყრამ ურთულეს ჯგუფში მოახვედრა და პირველივე მეტოქედ მასპინძელთა ერთ-ერთი ჯილა ელკო ვან დერ გესტი არგუნა. გამარჯვება ჰოლანდიელს დარჩა, მერე ნახევარფინალსაც უწია და ჯიქურაულსაც ბრინჯაოს შანსი გაუჩნდა, თუმცა პირველივე რეპეშაჟულ შეხვედრაში ბოსნიელ ამელ მეკიჩთან წააგო.

+100 ვან დერ გესტის ბარიერი აღმოჩნდა გადაულახავი ლაშა გუჯეჯიანისთვისაც. ჯგუფური ეტაპის ფინალში ჩვენებური ელკოს უფროს და გაცილებით ტიტულიან ძმასთან, დენისთან დამარცხდა, რეპეშაჟში კი ბულგარელ ივან ილიევთან და უძლოდ დარჩა.

**ოთარ მაღლაკელიძე**

ევროპის ჩემპიონატი
როტერდამი, 20-22 მაისი
60 კგ

1 არმენ ნაზარიანი (სომხეთი)
2 ლუდვიგ პაიშერი (ავსტრია)
3 ლავრენტის ალექსანიდისი (საბერძნეთი)
3 რუბენ ჰოუქსი (ჰოლანდია)
9 ვახტანგ ხოსიტაშვილი (საქართველო)

66 კგ

1 ელჩინ ისმაილოვი (აზერბაიჯანი)
2 მიკლოშ უნგვარი (უნგრეთი)
3 ალექსანდრ შლიუკი (ბელარუსი)
3 ბენჟამენ დარბალი (საფრანგეთი)
5 დავით მარგოშვილი (საქართველო)

73 კგ

1 აკოშ ბრაუნი (უნგრეთი)
2 იოელ რაზვოზოვი (ისრაელი)
3 დავით ქევხიშვილი (საქართველო)
3 დანიელ ფერნანდესი (საფრანგეთი)

81 კგ

1 ოლე ბიშოფი (გერმანია)
2 ბორის ნოვოტნი (სლოვაკეთი)
3 იან ბარტონი (ბრიტანეთი)
3 რობერტ კრავჩუკი (პოლონეთი)
7 გრიგოლ მამრიკიშვილი (საქართველო)

90 კგ

1 დავიდ ალარზა (ესპანეთი)
2 რობერტო მელონი (იტალია)
3 მარკ ჰიუზინგა (ჰოლანდია)
3 სერგეი აშვანდენი (შვეიცარია)
5 ირაკლი ცირეკიძე (საქართველო)

100 კგ

1 კრისტოფ ჰუმბერი (საფრანგეთი)
2 არიელ ზეევი (ისრაელი)
3 დანიელ ბრატა (რუმინეთი)
3 რუსლან გასიმოვი (რუსეთი)
9 ივერი ჯიქურაული (საქართველო)

+100 კგ

1 ალექსანდრ მიხაილინი (რუსეთი)
2 იანუშ ვოინაროვიჩი (პოლონეთი)
3 ადრიან კორდონი (ისრაელი)
3 დენის ვან დერ გესტი (ჰოლანდია)
9 ლაშა გუჯეჯიანი (საქართველო)

რაგბი

ზე-თორმეტი

# ჯვაროსნებს მეტოქე გამოუჩნდათ

## ვარატასი ქრაისტჩარჩში გაემგზავრება

ნახევარფინალები

20 მაისი. ქრაისტჩარჩი

**ქრუზეიდერსი 47:7 ჰარიკეინსი**

ქრუზეიდერსი: *6 ლელო: ვირი, ჰამილტონი (3), კარტერი, სომერვილი; 4 გარდასახვა: კარტერი; 3 საჯარიმო: კარტერი*

ჰარიკეინსი: *1 ლელო: გოპერთი; 1 გარდასახვა: გოპერთი*

21 მაისი. სიდნეი

**ვარატასი 23:13 ბულზი**

ვარატასი: *2 ლელო: ტურინუი, გრეი; 2 გარდასახვა: ჰიუეთი; 3 საჯარიმო: ჰიუეთი*

ბულზი: *1 ლელო: როუთსი; 1 გარდასახვა: შტეინი; 2 საჯარიმო: შტეინი*

**ზე-თორმეტის** ფინალი 28 მაისს ქრაისტჩარჩში გაიმართება. ეს ნახევარფინალური მატჩების შემდეგ გაირკვა და რა თქმა უნდა, გადამწყვეტი მატჩის მონაწილეთა ვინაობაც დადგენილია. ახალ ზელანდიაში ერთმანეთს ადგილობრივი „ქრუზეიდერსი" და ავსტრალიური „ვარატასი" შეერკინებიან.

„ქრუზეიდერსმა" ჰარასკევს, 20 მაისს, „ჰარიკეინსს" უმასპინძლა და შინ გაწბილებული გააბრუნა. პირველი წუთებიდან „ჯვაროსნები" მეტოქეს მოაწვნენ და დებიუტშივე ჯარიმა მოიპოვეს. ვერ გაიტანეს, მაგრამ სტუმართა დაცვის რამდენიმე შეცდომის შემდეგ ლელოს გამოიწვიეს და 5:0 დაწინაურდნენ.

„ჰარიკეინსს" მინდორზე დაუჯერე და თითქოს თამაშის შემობრუნებაც სცადა, მაგრამ ის იყო, მასპინძელთა ნახევარს ოდნავ გაუშინაურდნენ, რომ კიდევ ერთი ლელო მიიღეს, რასაც კარტერის 3 საჯარიმოც მიაყოლა „ჯვაროსნებმა" 21:0 გაიჭრნენ წინ და საკითხავი ისღა დარჩა, რამდენი ქულით მოიგებდნენ შეხვედრას.

კარტერმა, რომელმაც ამ თამაშში ჯამში 22 ქულა მოიტანა, მალე თავისივე გატანილი ლელო გარდასახა და ტიტულიანმა ზელანდიელებმაც 28 ქულას უწიეს. კარტერმა მატჩის დამთავრებამდე 23 წუთით ადრე ჰამილტონის ლელო გარდასახა, ცოტა ხანში კი იგივე ჰამილტონის საჰეთთრიქო ლელოს შემდეგ მოახერხა და ჯვაროსნებიც მატჩის დასრულებამდე 16 წუთით ადრე 42:0 იგებდნენ.

მთელი თამაშის განმავლობაში „ქრუზეიდერსის" დაცვამ ალბათ ერთადერთი შეცდომა დაუშვა და ისიც ლელოდ დაუჯდათ. გოპერთიმ თვითონვე გარდასახა, თუმცა მატჩის შემოტრიალება რომ შეუძლებელი იყო, უკვე ყველას ესმოდა.

თამაშს წერტილი იმავ კარტერმა დაუსვა, რომელმაც სომერვილის ლელო გარდასახა და საბოლოო ანგარიში, 47:7 დააფიქსირა ტაბლოზე.

საინტერესო ფაქტია, „ქრუზეიდერსმა" ნახევარფინალში შვიდჯერ ითამაშა და ერთხელაც არ დარჩენილა ფინალს გარეთ, „ჰარიკეინსისთვის" კი ეს შეხლა მესამე ნახევარფინალური თამაში გახლდათ და, როგორც წინა ორში, აქაც გაწბილებულნი გაეცალნენ ტურნირს.

ქრაისტჩარჩისკენ საფინალო გზა შაბათს „ვარატასმაც" გაიკვლია. სიდნეიში ავსტრალიელებმა პრეტორიის „ბულზი" მიიღეს და გამარჯვებაც იზეიმეს.



„ვარატასის" გამარჯვებაში დევიდ ლიონსმაც ლომის წილი დაიდო



ლოტე ტუკირი

მართალია, ეს ის „ბულზი" აღარ იყო, ჩემპიონატის დასაწყისში არასტაბილურად რომ ბურთაობდა და ხუსტ მეტოქეებთან ქულებს კარგავდა. დასტურად ისიც გამოდგება, რომ წლევანდელი გათამაშების მეხუთე ტურში „ვარატასმა" „ბულზისს" 42:12 გაიმარჯვა, ახლა კი სხვაობამ ოდენ 10 ქულას მიაღწია და თამაშიც ძალიან დაძაბული გახლდათ.

პირველი ტაიმის დებიუტში „ვარატასი" დაწინაურდა ჰიუეთის მიერ ზუსტად შესრულებული საჯარიმო დარტყმის წყალობით. თუმცა შემდეგ მოვლენები ისე განვითარდა, რომ სიდნეიში მაყურებელმა გულშემატკივარმა ვერაფერი ინერვიულა. ტაიმი თითქოს „ბულზებისა" იყო. „ხარები" მეტოქეს კარგად აწვებოდნენ და თავსაც ყოჩაღად იცავდნენ. მასპინძლები მათ გატეხვას ცდილობდნენ, თუმცა ნაკლებად გამოსდიოდათ, იყო მომენტი, „ბულზი" 13:6 იგებდა, თუმცა „ვარატასმა" პირველ ნახევარშივე მოახერხა დაწინაურება. ჰიუეთმა ავსტრალიელთა მონაგარი 9 ქულამდე საჯარიმოს წყალობით გაზარდა. საერთოდაც მასპინძელთა 14-მა ნომერმა პირველ ტაიმში სამჯერ მოახერხა საჯარიმოს ზუსტად დარტყმა და ეს 9 ქულაც მისი სიმარჯვის დამსახურებაა.

ამის შემდეგ სტუმრებს ლელოს გატანა შეეძლოთ, თუმც გადამწყვეტ მომენტში ბრაიან ჰაბანამ ვერ იყოჩაღა. ვინ იცის, „ხარებს" რომ გაეტანათ, ეგებ მეორე ტაიმში სხვაგვარად წარმართულიყო თამაში.

როგორც ჩანს, სავებზურთო წესი — ვერ გაიტან, გაგიტანენ, რაგბიშიც მოქმედებს და მალე „ხარებმა" ეს საკუთარ თავზე გამოსცადეს. ჰიუეთმა ტურინუის ლელო გარდასახა და ტაიმის მიწურულს მასპინძლები 16:13 დაწინაურდნენ.

მეორე ნახევარი „ვარატასისა" იყო. დაძაბულ ბრძოლაში მხოლოდ ერთი ლელოღა გავიდა, რომელიც მასპინძელთაგან გრეიმ გაიტანა: გარდასახვა, რა თქმა უნდა, ჰიუეთის ანგარიშზეა.

მაშ ასე, 28 მაისს ქრაისტჩარჩში გაჩაღდებით ფინალურ მატჩზე „ქრუზეიდერსი" „ვარატასს" დაუხვდება.

**ლადო ფულუკიძე**

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

ფორმულა 1. 56-ე მსოფლიოს ჩემპიონატი მეექვსე ეტაპი

# რაიკონენი აღარ ხუმრობს

## ფედერაციამ თავისივე უაზრობა უარყო



კიმი რაიკონენმა როგორც დაიწყო, ასევე პირველმა დაამთავრა

AFP მონტე კარლოდან

**ახლა** უკვე ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე უნდა ითქვას, რომ „ფერარის" მდგომარეობა კატასტროფულია. ჩემპიონატის მესამედი უკან დარჩა, მიხაელ შუმახერს და რუბენს ბარიკელოს კი ერთი რბოლაც ვერ მოუგიათ. ფუჭი გამოდგა მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის იმედი, პრობლემები მოვაგვარეთ და მონაკოდან დავიწყებ მოგებების სერიასო.

„წითელმა ეშმაკებმა" მონტე კარლოში მორიგი უმძიმესი დარტყმა მიიღეს. მიხაელის ბოლიდი ორი კვირის წინ ბარსელონაში სწრაფი კი იყო და პოდიუმსაც იმსახურებდა, მაგრამ ორჯერ ჩაეფუშა „ბრიჯსტოუნის" საბურავი და ბრძოლას გამოეთიშა. ჩემპიონი ამჯერად სხვა პრობლემას გადაეყარა, თუმც უიმისოდაც არ ჰქონია გამარჯვების მისხალი შანსი.

ჯერ იყო და შაბათს პირველ კვალიფიკაციაში მხოლოდ მე-11 დრო ჰქონდა. გუშინ მეორე გასვლაზე სამი პოზიციით კი გამოაკეთა ვითარება, მაგრამ სტარტზე მაინც ყველა ფავორიტის უკან იდგა. ეს განსაკუთრებით საგანგაშოა: შარშან რვა პოულის მომგებს მიმდინარე სეზონში მე-19, მე-13, მე-2, მე-13, მე-8 და... გუშინაც მე-8 სასტარტო პოზიციები ეკავა. მეტი კრიზისი რაღა უნდა იყოს. მოკლედ, „ფერარი" წლეულს ველარ „ქაჩავს". საჯინიბოს ხელმძღვანელობა ამას ძრავის და საბურავების ნაკლით ხსნის, რა მიხაელის ბრალიაო.

მონაკოური პოული კიმი რაიკონენმა მოიგო, ზედიზედ მესამედ, ხოლო კარიერაში მეექვსედ. „ცივი" ფინელი პირველ ცდაზე ყველაზე სწრაფი იყო, გუშინ კი მესამე შედეგი აჩვენა, რაც საბოლოოდ საკმარისი აღმოჩნდა სტარტზე ყველაზე წინ დასადგომად. მის გვერდით სეზონის გმირი ფერნანდო ალონსო მოკალათდა, მეორე რიგში უილიამსელი მარკ ვებერი და ალონსოს თანარენოელი ჯანკარლო ფიზიკელა იდგნენ.

რბოლის არა მარტო დასაწყისი, თითქმის ნახევარიც, პირველ პიტსტოპამდე, გამორჩეულად მშვიდად წარიმართა. სტარტზე ერთი-ორი გადაადგილების შემდეგ ათეულში ცვლილება არ მომხდარა.

მონტე კარლოს ვიწრო და მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში გასწრება თითქმის შეუძლებელია, ამდენად მოწინავე პოზიციიდან რბოლის დაწყებას ლამის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. გუშინაც სწორედ ასე მოხდა — თავიდანვე დაწინაურებულ რაიკონენს ეროხელაც არ დაუთმია ლიდერობა. მისი „მერსედესის" ძრავიანი „მაკი" განსაცვიფრებლად სწრაფი იყო და ათი წრის მერე უკვე ბლომად ჩამოიტოვა მდევრები.

არადა, გასაკვირია — კიმიმ რვაჯერ უსწრაფესად გაიქროლა სამნახევარკილომეტრიანი წრე და ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ცოტა საწვავი ესხა, მაგრამ სხვებივით ერთბოქსიანი ტაქტიკა ჰქონია და ძრავ-მანქანის ასეთი დაფეთებაც დღევანდელი „მაკლარენის" სრულყოფით აიხსნება. რაიკონენმა ზედიზედ მეორე რბოლა უზარმაზარი უპირატესობით მოიგო და ღირსეულად აღნიშნა „მერსედესის" მეორასე საფორმულო ეტაპი.

ქარავანში ამჯერადაც 18 მანქანა იყო, საბენზინო ეშმაკობისთვის დასჯილმა BAR-ელებმა ჯენსონ ბატონმა და ტაკუმა სატომ მეორე ეტაპი გამოტოვეს.

რაიკონენის თანამაკელმა ხუან-პაბლო მონტოიამ რბოლა ბოლოდან დაიწყო. მიზეზი გახდა შაბათის ვარჯიშისას მოსახვევის წინ მისი ნაადრევი დამუხრუჭება, რამაც გამოიწვია ჟაკ ვილნევის, დევიდ კულჰარდის და რალფ შუმახერის ჯგუფური ავარია. სტიუარდებმა ოთხივე პილოტის ახსნა-განმარტება მოისმინეს და დამნაშავედ ხუანი სცნეს.

რბოლის მიწურულს პრობლემები შეექმნა ალონსოს, რის გამოც მეორე ადგილიც დაკარგა. ჯერ იყო და ტრასის ყველაზე სწრაფ ადგილას — გვირაბიდან გამოსვლისას მას დიდოსტატურად აუარა გვერდი ნიკ ჰაიდფელდმა, ფინიშამდე ოთხი წრით ადრე კი ისეთივე მანევრით ნანდო ნიკის თანაუილიამსელმა [illegible] მოიტოვა უკან.

შედეგად, 27 წლის ჰაიდფელდი [illegible]-რბოლიან კარიერაში პირველად [illegible] ადგილზე, ხოლო ვებერი პირველად [illegible] პოდიუმზე.

იყოჩაღა რალფმაც. კვალიფიკაციაში [illegible] რიის გამო სტარტზე მაჩანჩალა [illegible], მაგრამ ისეთი შემართებით [illegible] ნიშზე მეექვსე მივიდა.

და მიხაელი: სტარტზე [illegible] ვერაფრით შეძლო პოზიციის [illegible] ბა და ოცი წრის შემდეგ [illegible] ნახევარ წუთს აგებდა. მერე [illegible] ინციდენტი, რამაც შუმი [illegible] ხია. კრისტიან ალბერსს „მინარდი" [illegible] ვევში მოუსრიალდა და გზაზე [illegible] ლჰარდმა დამუხრუჭება მოასწრო, [illegible] მიხაელის „ფერარი" შოტლანდიელის „წითელ ხარს" მიაზტა და წინა ფრთა დამტვრა. ცხვირის შესაცვლელად [illegible] შუმახერის დაუგეგმავმა სტუმრობამ [illegible] მე-13 ადგილზე გადაისროლა, რის შემდეგაც ჩემპიონმა მხოლოდ [illegible] ამდე ასვლა შეძლო.

მონაკოში კიდევ ერთხელ [illegible] ვანდელი საკვალიფიკაციო [illegible] ზრობა. რაკი პილოტის სასტარტო [illegible] ცია ორი ცდის ჯამური დროით [illegible] ვრება, ერთ-ერთ გასვლაზე [illegible] მაც კი მას რბოლის წინა [illegible] ყების და შესაბამისად წარმატების [illegible] უსპობს. შაბათს პატარა შუმის [illegible] მოსახვევში რკინის სალტეებთან [illegible] მიალეწა. რალფი არ დამშვიდებულა, მხოლოდ ოღნავ თავის ტკივილს უჩიოდა, მაგრამ რაკი უდროოდ დარჩა, მეორე კვალიფიკაციისას „მსოფლიო რეკორდს" [illegible] დაემყარებინა, მაინც ბოლო სასტარტო [illegible] გი „განაღდებული" ჰქონდა.

თანაც მეორე ცდა კვირაობით, რბოლამდე ოთხი საათით ადრე ტარდება და [illegible] მრბოლ-ბოსთა უკმაყოფილებას იწვევს. ყველივე ამის გამო მონტე კარლოში შედგა გუნდების წარმომადგენელთა შეხვედრა ავტოფედერაციის ხელმძღვანელობასთან და [illegible] „რევოლუციური" სიახლე გაუქმდა. ერთი კვირის თავზე, ევროპის დიდ პრიზზე მხოლოდ ერთი საკვალიფიკაციო ცდა გაიმართება.

**გია ახალაძე**



### რბოლის შედეგები

**მონაკოს დიდი პრიზი**
**22 მაისი. მონტე კარლო**
დისტანცია 78 წრე — 260,520 კმ

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | (1) | რაიკონენი (მაკლარენი) | 1:45.15,556 (148,7 კმ/სთ) |
| 2. | (6) | ჰაიდფელდი (უილიამსი) | ჩამორჩა 13,9 |
| 3. | (3) | ვებერი (უილიამსი) | 18,5 |
| 4. | (2) | ალონსო (რენო) | 36,5 |
| 5. | (16) | მონტოია (მაკლარენი) | 36,6 |
| 6. | (18) | რ.შუმახერი (ტოიოტა) | 37,2 |
| 7. | (8) | მ.შუმახერი (ფერარი) | 37,3 |
| 8. | (10) | ბარიკელო (ფერარი) | 37,6 |
| 9. | (11) | მასა (ზაუბერი) | 1 წრით |
| 10. | (5) | ტრული (ტოიოტა) | 1 წრით |
| 11. | (9) | ვილნევი (ზაუბერი) | 1 წრით |
| 12. | (4) | ფიზიკელა (რენო) | 1 წრით |
| 13. | (15) | მონტეირო (ჯორდანი) | 3 წრით |
| 14. | (14) | ალბერსი (მინარდი) | 5 წრით |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | | |
|---|---|---|
| (12) | ლიუცი (რედ ბული) | გაიარა 60 წრე |
| (13) | ფრიზახერი (მინარდი) | 30 |
| (7) | კულჰარდი (რედ ბული) | 24 |
| (16) | კარტიკეიანი (ჯორდანი) | 19 |

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

ბატონი (B.A.R) არ ურბოლიათ
სატო (B.A.R) დისკვალიფიკაციის გამო

**პოული**
რაიკონენი — 2.30,323

**საუკეთესო წრე**
მ. შუმახერი — 1.15,842 (158,5 კმ/სთ)

| F1 | ავსტრალია 6 მარტი | მალაიზია 20 მარტი | ბაჰრეინი 3 აპრილი | სან მარინო 24 აპრილი | ესპანეთი 8 მაისი | მონაკო 22 მაისი | ევროპა 29 მაისი | კანადა 12 ივნისი | აშშ 19 ივნისი | საფრანგეთი 3 ივლისი | დ.ბრიტანეთი 10 ივლისი | გერმანია 24 ივლისი | უნგრეთი 31 ივლისი | თურქეთი 21 აგვისტო | იტალია 4 სექტემბერი | ბელგია 11 სექტემბერი | ბრაზილია 25 სექტემბერი | იაპონია 9 ოქტომბერი | ჩინეთი 16 ოქტომბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ალონსო რენო, ესპანეთი | 6 | 10 | 10 | 10 | 8 | 5 | | | | | | | | | | | | | | 49 |
| 2 რაიკონენი მაკლარენი, ფინეთი | 1 | – | 6 | – | 10 | 10 | | | | | | | | | | | | | | 27 |
| 3 ტრული ტოიოტა, იტალია | – | 8 | 8 | 4 | 6 | – | | | | | | | | | | | | | | 26 |
| 4 ვებერი უილიამსი, ავსტრალია | 4 | – | 3 | 2 | 3 | 6 | | | | | | | | | | | | | | 18 |
| 5 ჰაიდფელდი უილიამსი, გერმანია | – | 6 | – | 3 | – | 8 | | | | | | | | | | | | | | 17 |
| 6 რ. შუმახერი ტოიოტა, გერმანია | – | 4 | 5 | – | 5 | 3 | | | | | | | | | | | | | | 17 |
| 7 ფიზიკელა რენო, იტალია | 10 | – | – | – | 4 | – | | | | | | | | | | | | | | 14 |
| 8 მონტოია მაკლარენი, კოლუმბია | 3 | 5 | | | 2 | 4 | | | | | | | | | | | | | | 14 |
| 9 მ. შუმახერი ფერარი, გერმანია | – | 2 | – | 8 | – | 2 | | | | | | | | | | | | | | 12 |
| 10 კულჰარდი რედ ბული, დ. ბრიტანეთი | 5 | 3 | 1 | – | 1 | – | | | | | | | | | | | | | | 10 |

ბარიკელო — 9, ვურცი (მაკლარენი)— 6, ვილნევი — 5, დე ლა როსა (მაკლარენი) — 4, კლიენი (რედ ბული) — 3, მასა — 2, ლიუცი —1 ქულა

| F1 | ავსტრალია | მალაიზია | ბაჰრეინი | სან მარინო | ესპანეთი | მონაკო | ევროპა | კანადა | აშშ | საფრანგეთი | დ.ბრიტანეთი | გერმანია | უნგრეთი | თურქეთი | იტალია | ბელგია | ბრაზილია | იაპონია | ჩინეთი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 რენო | 16 | 10 | 10 | 10 | 12 | 5 | | | | | | | | | | | | | | 63 |
| 2 მაკლარენი | 4 | 5 | 10 | 6 | 12 | 14 | | | | | | | | | | | | | | 51 |
| 3 ტოიოტა | – | 12 | 13 | 4 | 11 | 3 | | | | | | | | | | | | | | 43 |
| 4 უილიამსი | 4 | 6 | 3 | 5 | 3 | 14 | | | | | | | | | | | | | | 35 |
| 5 ფერარი | 8 | 2 | – | 8 | – | 3 | | | | | | | | | | | | | | 21 |

რედ ბული — 14, ზაუბერი — 7 ქულა

# ერთი კანადური თასი

დიდი ჰოკეი რომ ჩავარდა წლეულს ნჰლ-ის გაფიცვის გამო, ჰოკეი მაინც არ შენყვეტილა. კანადაში იმდენი ლიგა და იმდენი თასია და ჰოკეის იმდენი ხალხი თამაშობს, რომ საცქერი ყოველთვის იქნება. მემორიალის თასის ფინალი ონტარიოში „რიმუსკი ოუშენიქმა" მოუგო „ლონდონ ნაითსს". ეს გუნდები კი არ გაგვიგია აქამდე, მაგრამ ჰოკეი რომ ნაღდია, ყველა ხედავს.








# გოგოებს უხარიათ

სანტა ბარბარაში „ნისანის" საპლაჟო სერიები გახურებულა. ასე ზეიმობენ ნახევარფინალში გასვლას კერი უოლში (მარჯვნივ) და მისტი მეი — კალიფორნიაში კი მთელს გაყოლებაზე საპლაჟო ფრენბურთია.

# გოლოტა კვლავ წაიქცა

სამარცხვინოდ გაილახა ჩიკაგოს რინგზე ენდრიუ გოლოტა. ორგანიზაციის ტიტულისთვის ბრძოლის პირველ რაუნდში, 53-ე წამზე ლემონ ბრუსტერმა დაბერებული პოლონელი რინგზე გამხლართა და რეფერ ჯინო როდრიგესმაც ათამდე დაითვალა.




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს,
სამშაბათს, ოთხშაბათს,
ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

გამომცემელი [illegible]
დირექტორი [illegible]
მთავარი რედაქტორი [illegible]
რედაქტორი [illegible]
პასუხისმგებელი რედაქტორი [illegible]
ტექნიკური რედაქტორი [illegible]
ქართული ფეხბურთის რედაქცია: [illegible]
ევროპული ფეხბურთის რედაქცია: [illegible]

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: [illegible]
ინფორმაციის რედაქცია: [illegible]
ფოტორეპორტიორები: [illegible]
სტილისტები: [illegible]
კომპიუტერული ცენტრი: [illegible]

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ყაზბეგის გამზირი 42, II
კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge